DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Tsitlanadze,L. / წითლანაძე, ლ. / Цитланадзе, Л.Г.
- Title: ხევის არქეოლოგიური ძეგლები(ყაზბეგის განძი) / Археологические памятники хеви (казбекский клад)
- Publication Date: 1976
- Publisher: Georgian Academy Of Sciences, Center for Archaeological Studies
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_91e9236d26

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

ლეილა წითლანაძე



ხევის არქეოლოგიური ძეგლები

«მეცნიერება» 1976

IVE
3637

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
საქართველოს არქეოლოგიური კომისია

ლ. ფითლანაძე

ხევის არქეოლოგიური ძეგლები

(ყაზბეგის განძი)

1827/



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1976



902·6(с41)
902·6(47·922)
წ·544

ნაშრომი ეძღვნება გასული საუკუნის 70-იან წლებში ყაზბეგის რაიონში (ხევში), ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთების ბრწყინვალე არქეოლოგიური კომპლექსის, ყაზბეგის განძის პუბლიკაციას.

ნაშრომში თანამიმდევრობით განხილულია თითოეული ნივთი ან ნივთების ჯგუფი, მოტანილია მათი პარალელური მასალა და, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, გამოტანილია დასკვნები ძეგლის თარიღისა და არსის შესახებ.

წ 10602/M 607(03)—76 190—76

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976

წინასიტყვაობა

ყაზბეგის რაიონი ანუ ხევი არქეოლოგიურად შედარებით სუსტად შესწავლილ მხარეთა რიცხვს ეკუთვნის. ხევში ფართო ხასიათის არქეოლოგიური კვლევა-ძიება არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში აქ მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი.

ამ ხარვეზის თუნდაც ნაწილობრივ შევსების მიზნით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა მიზნად დაისახა ხევში ადრე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების საფუძვლიანი შესწავლა. შესწავლისას მთავარი ადგილი უნდა დათმობოდა გ. ფილიმონოვის მიერ 1877 წელს აღმოჩენილ ნივთების კომპლექსს, რომელიც მეცნიერებაში ყაზბეგის განძის სახელით არის ცნობილი. მასთან ერთად შესწავლილი უნდა ყოფილიყო ყაზბეგის რაიონში აღმოჩენილი სხვა მონაპოვრები.

ყაზბეგის განძი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანის მრავალმხრივი და ბევრისმთქმელი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც საკმაოდ კარგ წარმოდგენას გვაძლევს იმ დროის ხევის კულტურულ დონეზე, პოლიტიკურსა და ეკონომიურ კავშირებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხესთან, უფრო მეტიც, ხევის ურთიერთობაზე როგორც წინა აზიის, ისე ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ტრამალების მოსახლეობასთან. ურთიერთობათა ასეთი ფართო დიაპაზონი აიხსნებოდა, ერთი მხრივ, საქართველოს მაშინდელი ვითარების საერთო დონით, და, მეორე მხრივ, თვით ყაზბეგის რაიონის მდებარეობით უძველეს სახმელეთო გზებზე, რომლებიც მიემართებოდა თერგისა და არაგვის ხეობების გასწვრივ და სამხრეთს აკავშირებდა ჩრდილოეთთან.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა აკად. ნ. ბერძენიშვილის წინადადებით საფუძველი ჩაუყარა ხევის სისტემატურ არქეოლოგიურ შესწავლას.

ამ მიმართულებით პირველი სამუშაოები განხორციელდა 1962 წელს, როცა იქ მიავლინეს კავკასიონის სამხრეთ კალთების გვიანბრინჯაოს ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის ყაზბეგის რაზმი, რომელმაც ჩაატარა სადაზვერვო სამუშაოები. ამას თან მოჰყვა დაზვერვების შედეგების მიხედვით დაგეგმილი გათხრები. 1963 წელს ყაზბეგის რაიონში გაემგზავრა ხევის არქეოლოგიური ექსპედიცია. 1966, 1972, 1973 წლებში ხევის სხვადასხვა უბანზე კვლავ გრძელდებოდა არქეოლოგიური გათხრები.

ამ სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალები გარკვეულ შუქს ჰფენს ხევის უძველესი ისტორიის მთელ რიგ საკითხებს, მაგრამ ამ მხრივ მეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართო არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ყაზბეგის განძის თანადროულსა და მონათესავე ძეგლების აღმოჩენას, რომელიც გვიკარნახებს ყაზბეგის განძის განხილვას ამ ახალ აღმოჩენათა შუქზე.

ნაშრომი შესრულდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ნაშრომზე მუშაობისას ხელისშემწყობისათვის დიდი მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ აწ განსვენებული ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგე გ. გობეჯიშვილი და არქეოლოგთა მთელი კოლექტივი, რომელთა კონსულტაციებითა და რჩევებით ხშირად სარგებლობდა ავტორი.

შესავალი

არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია

ყაზბეგის რაიონში პირველ არქეოლოგიურ აღმოჩენებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში ჰქონია ადგილი. 1852 წ. სოფ. სტეფანწმინდაში ყაზახთა საგუშაგოებისათვის მიწის თხრისას წააწყდნენ ნივთებს, რომელთა შორის თითქოს ხარის ოქროს ქანდაკებაც ყოფილა[1]. იმავე სოფელში 1871 წელს პატარა სამლოცველოსთან გზის გაყვანისას მუშებს გაუთხრიათ რამდენიმე სამარხი, რომელთაც ფ. ბაიერნი სამთავროს ზედა სართულის სამარხების თანადროულად მიიჩნევდა[2]. ეს არქეოლოგიური მასალაც დაიკარგა, დარჩა მხოლოდ მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ფ. ბაიერნს ერმიტაჟისათვის გადაუცია[3].

1874 წ., კვლავ მიწის სამუშაოების დროს, სოფ. სტეფანწმინდაში (ახლანდელი ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოს გვერდით) მუშებს აღმოუჩენიათ ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც შეუსყიდია ვინმე ხატისოვს და 1876 წ. მოსკოვში ჩაუტანია. კოლექცია შეიცავს ბრინჯაოს მშვილდ-საკინძებს, სამაჯურებს, უმბონებს, ჭოლგისებურ ყღარუნებს[4].

აღნიშნულმა აღმოჩენებმა მკვლევართა ყურადღება იმთავითვე მიიპყრო. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იმ დროს მოსკოვში ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოება ამზადებდა გამოფენას, რისთ-

---

[1] მონაპოვარი უკვალოდ დაიკარგა, არ არის გამორიცხული, რომ ბრინჯაოს ქანდაკება ოქროდ იქნა მიჩნეული.

[2] Д. Н. Анучин, Доисторическая археология Кавказа, Журнал Министерства Народного Просвещения, 1884, январь, CCXXXI, с. 208.

[3] ნივთი დღესაც დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში საბჭოთა აღმოსავლეთის განყოფილებაში.

[4] ნივთები დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, კოლექცია № 54746.

ვისაც საჭირო იყო ახალი არქეოლოგიური მასალები. გამოფენის მოსამზადებელმა კომიტეტმა კავკასიაში ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენის ადგილზე, სოფ. სტეფანწმინდაში, გათხრების ჩატარების მიზნით მოავლინა იმ დროისათვის ცნობილი მეცნიერი გ. ფილიმონოვი. 1877 წ. ივი შეუდგა გათხრებს. ადრე აღმოჩენილი სამაროვნის აღმოსავლეთით მან გაჭრა 10 მ. სიგრძის თხრილი. აქ თავი იჩინა ქვებმა და ნაყარმა მიწამ, ხოლო შემდეგში წყლით გაჟღენთილმა ნიადაგმა, სადაც აღმოჩნდა ხუთსხივიანი საყურე, ოქროს ბალთა და ცისფერი პასტის მძივები. 1 მეტრის სიღრმეზე იგი წააწყდა ბრინჯაოს ჯაჭვის ნაწყვეტებს. შემდეგ ქვებს შორის აღმოჩნდა ლითონის ჭურჭლებში მოთავსებული ნივთები. ერთი ამ ჭურჭელთაგანი ვერცხლის თასია, ორი — ბრინჯაოს დაშლილი მათარა, ერთიც — სპილენძის პატარა სიტულა. ოთხივე ჭურჭელს ჯაჭვი ჰქონდა შემოხვეული და შიგ იდო ლითონის ორასამდე სხვადასხვა ნივთი.

მუშაობის პროცესში გ. ფილიმონოვს შემოაღამდა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული გათხრების ადგილი მეორე დღეს გაძარცული დაუხვდა. დატაცებული ნივთთა ერთი ნაწილი დაიკარგა, ხოლო ნაწილი მოხვდა სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში. გ. ფილიმონოვის აზრით, მის მიერ მოპოვებული მასალა სამარხეული ინვენტარი იყო, თუმცა მიცვალებულის ნეშტი ან სამარხის ნაგებობა არ შეუნიშნავს. აღნიშნულ მონაპოვარს ივი რკინის გამოჩენის პირველ პერიოდს მიაკუთვნებდა და თვლიდა ადგილობრივი მაღალგანვითარებული კულტურის ნაყოფად. ყოველივე ამის საფუძველს კი მეტალურგიაში ხედავდა[5].

გ. ფილიმონოვის მონაპოვარმა შემდეგში „ყაზბეგის განძის“ სახელწოდება მიიღო. მასალების ძირითადი ნაწილი დაცულია მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში (კოლ. 75942), ნაწილი — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმსა და ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ერმიტაჟში დაცული ნივთები მომდინარეობს კ. კომაროვის, კ. ოლშევსკის, ალ. ყაზბეგისა და რომანჩენკოს კერძო კოლექციებიდან. კ. კომაროვს შეუძენია გათხრების დროს და-

---

[5] Г. Д. Филимонов, О доисторической культуре в Осетии, Москва, 1878, 20, Из протоколов заседаний Комитета по устройству Антропологической выставки. Общество любителей естествознаний, антропологии и этнографии, с. 26—33.

ტაცებული ნივთების ერთი ნაწილი რომელიც შემდეგ კავკასიის მუზეუმს გადაეცა. მეორე ნაწილი კი კ. ოლშევსკის კოლექციაში მოხვდა და შემდგომ გადაეცა ერმიტაჟს (კოლექცია 1731). ყაზბეგის სახლის ეზოში და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი ალ. ყაზბეგს შეუწირავს კავკასიის მუზეუმისათვის.

გ. ფილიმონოვის მიერ გამოკვლეული ადგილი და მისი მომიჯნავე ფართობი 1878 წ. გათხარა ფ. ბაიერნმა, მაგრამ ერთიანი კომპლექსის ნაცვლად ნიადაგისეული წყლებით გაჟღენთილ კულტურულ ფენაში აღმოაჩინა დიდძალი ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ნახევრად ძვირფასი ქვებით შემკული სამკაულები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები და რკინის შუბისპირები. გათხრების ანგარიშში ფ. ბაიერნმა საკმაოდ უცნაურად ახსნა ეს მონაპოვარი: აღმოჩენის ადგილზე, მისი აზრით, ოდესღაც უნდა ყოფილიყო წყარო, მის ნაპირას კი პრიაპის სახელზე აღმართული ტაძარი; მას მოსახლეობა (ამორძალები) სწირავდა მსხვერპლსა და სხვადასხვა ნივთებს, რომლებმაც მოაღწია ჩვენს დრომდე[6].

ფ. ბაიერნმა, აგრეთვე, დაზვერა მდ. სნოს ხეობა. ხევსურეთით დასახლებული სოფელი ჯუთის ერთ-ერთ ეზოში მან გათხარა ქვის სამარხები[7]: ქალის ორი და ბავშვის ერთი სამარხი. უკანასკნელში მხოლოდ მძივები აღმოჩენილა, პირველ ორში კი რკინის ორი ისრისპირი, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები (7), ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ბრინჯაოს მშვილდსაკინძი. ისრისწვერებიდან ერთი — ბრტყელი, გრძელმასრიანი და ორფრთიანია, ხოლო მეორე — უფრო წაგრძელებული და სამწახნაგაა. ორპირლესული დანაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთ მათგანზე ხის ჭარჭაშის ნაშთებია შერჩენილი[8].

ფ. ბაიერნს სოფ. ართხმოში გაუთხრია ქვის დიდი, კოლექტიური სამარხი, რომლისგანაც, თუმცა გაძარცული ყოფილა, მაინც შემოუნახავს ზოგიერთი საყურადღებო ნივთი: ბოლოჩახვეული სასაფეთქლე რგოლები (5ც), ბრინჯაოს ორნამენტიანი სამაჯური,

---

[6] F. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien, Zeitschrift für Etnologie, Supplement, Berlin, 1885, XVII, გვ. 41—45.

[7] მოპოვებული მასალები დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში, № 929—956.

[8] П. С. Уварова, Г. Радде, Коллекции Кавказского музея, 1902, № 6—02.

ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები (6 ც), ბრინჯაოს ღილები (2 ც.), მოჭიქული ავგაროზი, რომბისებური ფორმის გრძელყუნწიანი რკინის ისრისპირები (6 ც). ჯუთასა და ართხმოში აღმოჩენილი სამარხების მთელი მასალა მეტყველებს, რომ ფ.ბაიერნს გაუთხრია შუა ფეოდალური ხანის სამარხები. აღნიშნული ნივთები ჰგავს ურბნისში, დმანისში, ხევსურეთში აღმოჩენილ ამ დროის მასალებს. ამავე დროს, რიგი ნივთებისა ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ფორმებს იმეორებს, ასეთ ნივთთა რიცხვს მიეკუთვნება სასაფეთქლე რგოლები ორივე სამარხიდან.

ფ. ბაიერნს მცირე დაზვერვითი სამუშაოები თამარის, იგივე დარიალის ციხის მიდამოებშიც უწარმოებია[9].

არქეოლოგთა V ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც თბილისში უნდა ჩატარებულიყო 1879 წ., კავკასიას ესტუმრა ცნობილ მკვლევართა ჯგუფი: ცოლ-ქმარი ს. და პ. უვაროვები, ვ. ანტონოვიჩი, კ. ოლშევსკი და სხვანი. ისინი მცირე გათხრების ჩატარების მიზნით ყოფილან სოფ. ყაზბეგში და ფ. ბაიერნის განათხარი ფართობის სამხრეთით ამოღებულ საცდელ თხრილში მიუკვლევიათ ცალკეული ნივთების შემცველი კულტურული ფენებისა და სამი სამარხისათვის. სამარხში ძვლები ცუდად ყოფილა დაცული, მაგრამ მიცვალებულის ჩონჩხის მიმართულების გარკვევა მაინც შესაძლებელი გამხდარა. იქ აღმოჩენილა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები. ეს კომპლექსი, გ. ფილიმონოვის მიერ აღმოჩენილ ნივთებთან შედარებით, უფრო გვიანდელი ჩანს[10].

1882 წ. სოფ. გველეთთან მცირე მასშტაბის გათხრები ჩაატარა არქეოლოგიის მოყვარულმა ხატისოვმა, რის შედეგადაც აღმოჩენილი იყო გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ნივთები: ზამბარიანი საკინძები, ბრინჯაოს სარკეები, სამაჯურები, მძივები და სხვ[11].

1888 წ. სოფ. ყაზბეგში და მის ჩრდილოეთით გათხრა აწარმოვა არქეოლოგიურმა კომისიის თავმჯდომარემ ა. ბობრინსკიმ[12]. ამ დროისათვის ყაზბეგების ეზოში ხილის ბაღი იყო გაშენებული,

---

[9] F. Bayern, დასახ. ნაშრომი, გვ. 41—51.

[10] В. Б. Антонович, Дневник раскопок веденных на Кавказе 1879 года, Сборник, V Археологический съезд в Тифлисе, М., 1882, с. 253—255.

[11] ნივთები დაცულია ლენინგრადის ერმიტაჟში, № 432, გვ. 11—19.

[12] ОАК за 1888 г. с. CC XXIX.

რის გამოც ბობრინსკიმ უმთავრესად გამოიკვლია ფართობი მხოლოდ ეზოს გალავნის გასწვრივ. ბაღში გაავლეს 2 მ სიღრმის თხრილი, რომელშიც უფორმო რკინის ნატეხებისა და ცხოველთა ძვლების გარდა, არსებითი არაფერი აღმოჩენილა. ა. ბობრინსკიმ სოფ. ყაზბეგში შარაგზაზეც გაჭრა ფართო თხრილი, სადაც 1 მ სიღრმეზე, დედაქანის ზემოთ აღმოჩნდა დიდი გათლილი ქვის ფილა, რომლის ირგვლივ ჯგუფ-ჯგუფად ეყარა ნივთები: ორნამენტიანი ოქროს ფირფიტა, ვერცხლის ავგუსტეს დენარი, ორი ბეჭდის თვალი (ერთ მათგანზე მხედარი იყო ამოჭრილი), 140 ცალი მძივი, სამი მთლიანი და ერთი გატეხილი ბრინჯაოს ბეჭედი, ბრინჯაოს ჟღარუნა, ბრინჯაოს ჯაჭვი, ბრინჯაოსა და ვერცხლის სამაჯურები, ზამბარიანი ფიბულის ნატეხი, რკინის ისრისწვერები, შუბისა და ლაგმის ფრაგმენტები. ადამიანის ძვლები არ აღმოჩენილა. კოლექციაში შემავალი მონეტა (ავგუსტეს დენარი ძვ. წ. 97 — ახ. წ. 14 წ.), ზამბარიანი მშვილდსაკინძი და გემები ამ მონაპოვარს კარგად ათარიღებს ახ. და ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეებით[13].

ასეთი საყურადღებო აღმოჩენების მიუხედავად, გათხრების დოკუმენტაცია ძალზე ნაკლული და ღარიბი აღწერითი ხასიათისაა.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ხევის სისტემატური არქეოლოგიური გათხრა არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით 1934—1935 წწ. ნ. მარის სახელობის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ ა. კრუგლოვის ხელმძღვანელობით ჩატარებულ დაზვერვით სამუშაოებს, რომელთა ძირითად მიზანს შეადგენდა ნამოსახლარების შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ამ ექსპედიციამ ყაზბეგის რაიონში 300-მდე ფეოდალური ხანის ნამოსახლარი დაადასტურა, ხოლო მდ. არმხის შესართავთან უძველესი ნამოსახლარის ნაშთები გამოავლინა. ექსპედიციისაგან შეგროვილი კერამიკული მასალის დიდი ნაწილი დაცულია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სავალე დოკუმენტაციის გარეშე. დაზვერვების ძირითადი შედეგების მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია[14].

---

[13] ОАК за 1888, с. CC XXIX.

[14] А. П. Круглов, Археологические работы на р. Терек, С. А. т. III, М.-Л., 1934 г.

ექსპედიცია ორგანიზებული იყო გაიმკის მიერ ჰიდროენერგოპროექტთან ხელშეკრულების შედეგად, რადგან გამიზნული იყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა თრუსოდან ბალთამდე და საჭირო იყო აღნიშნული ტერიტორიის არქეოლოგიური შემოწმება.

1958 წ. წყალდიდობის დროს, სოფ. ლარსის მახლობლად გადარეცხილი გზის ქვეშ აღმოჩნდა სამარხები. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა შესძლეს მხოლოდ ერთი სამარხის ინვენტარის გადარჩენა, დანარჩენი განადგურდა; კოლექცია ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და შეიცავს ბრინჯაოს, რკინის სხვადასხვა ნივთებს, ნაირგვარ მძივებს, რომლებიც თითქოს ერთი პერიოდისანი არიან[15].

1960 წ. ყაზბეგის რაიონში მუშაობდა გეოლოგთა ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა დარიალჰესის მშენებლობის ადგილის მიკროსეისმოლოგიური დარაიონება. ამ სამუშაოებთან დაკავშირებით, არქეოლოგმა ი. გძელიშვილმა მდ. ტერხენას მარცხენა ნაპირზე გათხარა ერთი ნამოსახლარი ბორცვთაგანი. გათხრისას გამოვლინდა თლილი ქვებით მშვენივრად ნაშენ საცხოვრებელთა ნაშთები, რომელსაც ქვის ფილები ჰქონდა დატანებული. შენობა, გამთხრელის აზრითა[16] და ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით[17], აღრეფეოდალურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ი. გძელიშვილმა საცდელი თხრილი ა. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოშიც გაატარა — ეკლესიასა და მუზეუმს შორის, ეზოს აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ არქეოლოგიურ აღმოჩენებს ადგილი არ ჰქონია.

1962 წ., ზაფხულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ყაზბეგის რაიონში მიავლინა კავკასიონის სამხრეთ კალთების ბრინჯაოს ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური რაზმი[18], რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა სახის ძეგლების მიმოხილვას თერგის სათავეებში. გათხრა ჩატარდა ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში, ძველი აღმოჩენების ადგილზე. სულ 4 თხრილი გაიჭრა. არქეოლოგიური მასალები მხოლოდ № 1 და № 3 თხრილში დადასტურდა. № 3 თხრილში გამოვლინდა გვიანფეოდალური ხანის უინვენტარო ქვისსამარხები. № 1 თხრილში მხოლოდ გ. ფილიმონოვისა და

---

[15] გ. გობეჯიშვილი, სოფ. ყაზბეგში 1958 წლის მივლინების ანგარიში.

[16] И. Гдзелишвили, Сейсмическое микрорайонирование территории Дариали ГЭС.

[17] ინვენტარს ნომერი არ ახლავს, მითითებულია მხოლოდ აღმოჩენის თარიღი.

[18] ლ. წითლანაძე, ყაზბეგის რაზმის ანგარიში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, 1963 წ.

ფ. ბაიერნის მიერ შესწავლილ ფენამდე დავიდნენ, რის შემდეგაც ტექნიკური მიზეზების გამო სამუშაოები დროებით შეწყდა.

რაზმმა, აგრეთვე, საცდელად გათხარა და მცირედ დაზვერა სხვა უბნებიც, მათ შორის დარიალის ციხის ტერიტორიაც[19]. აქ გაზსადენის გამყვანთა მიერ ციხის ნაწილის აფეთქების გამო, გაშიშვლებულა კულტურული ფენები, რომელშიც მრავლად გვხვდება ისტეოლოგიური მასალა და თიხის ჭურჭლის ნატეხები.

დარიალის ციხის კულტურული ფენებიდან და საცდელი თხრილებიდან მომდინარე მასალა ნათლად მოწმობს, რომ ციხეზე ფეოდალური ხანის მასალებთან ერთად, ადრეანტიკური ხანის ფენებიც უნდა იყოს.

რაზმმა აგრეთვე, იმუშავა სოფ. ზემო ლარსის მახლობლად. მოიხილა ისტორიული არქეოლოგიის თვალსაზრისით საინტერესო უბნები — სოფ. გველეთის, გორისციხისა და არმას ციხე-კოშკები, მიწისქვეშა აკლდამები და შეაგროვა ფეოდალური ხანის კერამიკული მასალები.

1963 წელს ყაზბეგის რაიონში მიევლინა ხევის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც გათხარა დარიალის ციხის პლატოზე მდებარე სათავსები, სამარხები და უფრო საფუძვლიანად დაზვერა მთელი რაიონი[20]. საცდელი თხრილი გატარდა ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოს ჩრდილო ნაწილში. გზის მახლობლად, თხრილში აღმოჩნდა ერთი მრგვალი, კარგად დამუშავებული მსხვილი სარდიონის მძივი, ერთიც — რომბული მოყვანილობის ქარვის მძივი, ორივე მათგანი ეხმაურება გ. ფილიმონოვისა და ფ. ბაიერნის აღმოჩენებს.

1966 წ., გაზაფხულზე, დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე ადგილ მცირე „არკასთან“ შემთხვევით გამოჩნდა სამარხების ჯგუფი, რომელიც ნაწილობრივ გათხარეს და შეისწავლეს არქეოლოგებმა. სამაროვანი ორსართულიანია. სამარხები დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. ზედა სართულის სამარხებს ინვენტარი არ ახლდა, ხოლო ქვედაში აღმოჩნდა თიხის

---

[19] ტერასა, სადაც ციხეა აშენებული, მთელს სიგრძეზე გადასერა გაზსადენის შილების ჩასაწყობმა თხრილმა, რომელშიც გამოვლინდა კულტურული ფენები.

[20] გ. გობეჯიშვილი, ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964 წ.

ჰურჭელი დიდი რაოდენობით, სამკაულები, პირადი მოხმარების ნაგნები, მონეტები. სამაროვანი IX საუკუნით თარიღდება[21].

1972 წ. სამაროვანის გათხრა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ხევის რაზმმა (რაზმის უფროსი გ. ღამბაშიძე). ამ წელს გათხრილი იყო 39 სამარხი, აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის მიწურულის საყურადღებო ინვენტარი. აგრეთვე ჩატარდა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები[22].

1973 წ. იმავე რაზმმა გათხრითი სამუშაოები ჩაატარა სოფლებში — ტყარშეთში, გარბანში, სადაც შეისწავლა ფეოდალური ხანის აკლდამები.

* * *

ყაზბეგის ძველ არქეოლოგიურ მონაპოვრებს, გარდა მისი უშუალო გამთხრელებისა, ეხებოდნენ სხვა მკვლევრებიც. დ. ანუჩინი თავის ნაშრომში იხილავს სოფ. ყაზბეგში აღმოჩენების ისტორიას და ეკამათება ფ. ბაიერნს რკინის ნივთების დათარიღების საკითხში[23]. გ. ფილიმონოვის, ფ. ბაიერნის, დ. ანტონოვიჩის ცნობები გამოაქვეყნა ე. შანტრმა, შრომას დაურთო მნიშვნელოვანი ნივთების ფოტოსურათები[24].

ყაზბეგის მონაპოვრების შესწავლის საქმეში საკმაოდ დიდი დამსახურება მიუძღვის პ. უვაროვას, რომელმაც 1879 წ. ჩატარებული გათხრების შედეგები გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის

---

[21] 1966 წლის აღმოჩენებთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან ხევში მივლინებული იყვნენ არქეოლოგები: ლ. წითლანაძე, ზ. შატბერაშვილი, ა. კახიძე, მხატვარი ქ. კვესი. ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად მათ ჩაატარეს სათანადო მუშაობა არქეოლოგიური მასალების გადარჩენისათვის. მოპოვებული ნივთები დაცულია სოფ. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[22] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ლ. წითლანაძე, გ. ღამბაშიძე და სხვები ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, კრებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები), თბ., 1973.

[23] Д. Анучин, Доисторическая Археология Кавказа Ж. М. Н. П. 1884 г., CC XXXI, январь.

[24] Ernest Chantre, Recherches Anthropologiques dans le Caucase, ტ. I, Paris-Lyon, 1885, გვ. 131.

დღიურში[25]. მანვე წარმოადგინა ყაზბეგში აღმოჩენილი მასალების მეტნაკლებად სრული აღწერილობა[26]. ავტორი გამოყოფს გ. ფილიმონოვისეულ მონაპოვარს და განძს უწოდებს. ცალკე აქვს აღწერილი კერძო კოლექციებიდან შემოსული ნივთები, მოტანილია ამონაწერი ვ. ანტონოვიჩის 1879 წ. გათხრების დღიურიდან. მაგრამ გ. ფილიმონოვის გათხრებამდე ყაზბეგში შემთხვევით აღმოჩენილ ნივთებს, კერძოდ, 1874 წლის მონაპოვრებს ის არ იხსენიებს. პ. უვაროვა დაკმაყოფილდა მხოლოდ მასალის აღწერილობით. ამას გარდა პ. უვაროვასა და გ. რადეს ერთად შეუდგენიათ კავკასიის მუზეუმში დაცული ყაზბეგური ნივთების ნუსხა[27].

ყაზბეგის განძში შემავალ ცალკეულ ნივთებს შეეხო ი. სმირნოვი, ა. მილერი, ა. კალიტინსკი. ი. სმირნოვმა ყაზბეგური ვერცხლის თასი აქემენიდურ ხანის ირანულ ნაწარმად მიიჩნია[28]. ა. მილერი განიხილავს ძაღლის გამოსახულებიან ბალთებს და სხვა კავკასიურ ქანდაკებებთან შეჯერების გზით ცდილობს გაარკვიოს ძაღლის ჯიში, ნივთის წარმოშობა და დანიშნულება[29].

ა. კალიტინსკი, ძირითადად, შეეხო ბრინჯაოს მშვილდსაკინძებს, მაგრამ დიდი ყურადღებით განიხილა ბრინჯაოს მათარებიცა და ვერცხლის ფიალაც. უკანასკნელს იგი ელინისტური ხელოვნების ნაყოფად მიიჩნევს, ხოლო, საერთოდ, ყაზბეგის განძსა და სამარხებს — ძვ. წ. III საუკ. ათარიღებს[30].

ა. ტალგრენმა ყაზბეგის განძს მიუძღვნა კარგად დასურათებული საკმაოდ ვრცელი ნაშრომი. იგი ყაზბეგური ნივთების პარალელებს ჩრდილო კავკასიაში ან შორეულ ქვეყნებში ეძებს (ჰალშტატი, საბერძნეთი) და არაპირდაპირი ანალოგებით კმაყოფილდება. ეს გასაგებია, რადგან ა. ტალგრენის ნაშრომის დაბეჭდვის პერიოდში არქეოლოგია ის-ის იყო იკიდებდა ფეხს საქართვე-

---

[25] П. С. Уварова, Путевые заметки, 1887.

[26] П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК VIII, 1900. с. 139—155.

[27] П. С. Уварова, Коллекции Кавказского музея, обработанные совместно с учеными спец. и издан. Г. Н. Радде, т. V. Тифлис, 1902.

[28] Я. И. Смирнов, Восточное серебро СПБ, 1909, III, № 13—14.

[29] А. А. Миллер, Изображение собаки в Древностях Кавказа, Известия РАИМК, т. II, 1922, с. 287—327.

[30] А. Калитинский, Из истории фибулы на Кавказе, Сборник статьей посвященных памяти Н. П. Кондакова. Археология, История, Искусство, Византиноведение. 1926, с. 54.

ლოში და სადღეისოდ არსებული დიდი მასალა უცნობი იყო. მას ადგილობრივი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები არ გამოუყენებია, რის გამოც გარკვეულად მცირდება ნაშრომის ღირებულება. მისი აზრით, ყაზბეგურ მონაპოვრებს უფრო მეტი აქვთ საერთო სირიულ ნივთებთან, ვიდრე კავკასიურთან. ამ მოსაზრებას, ცხადია, ახლა ვერ გავიზიარებთ[31].

ცნობილმა მკვლევარმა ჰანს ლუშეიმ ყურადღება გაამახვილა ყაზბეგურ ვერცხლის თასზე, გამოთქვა თავისი მოსაზრება მისი თარიღისა და წარმოშობის შესახებ[32].

უცხოელი არქეოლოგი ჰანს მობიუსი დაინტერესდა ყაზბეგური ბრინჯაოს ზარებით, როგორც სამოსზე აღმოჩენილი ზარების[33] პარალელური მასალით.

ყაზბეგის განძის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა აკად. შ. ამირანაშვილმა. იგი უმთავრესად ეხება ვერცხლის თასისა და ბრინჯაოს ჭანდაკებების მხატვრულ ხასიათს და დაასკვნის, რომ ეს ძეგლები, თუმცა შორეულად უკავშირდება მცირე აზიის ხელოვნების გარკვეულ წრეს, მაგრამ არსებითად წარმოადგენდნენ გენეტიკურად ბრინჯაოს ხანიდან მომდინარე ავტოქტონურ მოვლენას[34].

არქეოლოგი ბ. კუფტინი თავის ნაშრომებში ყაზბეგში აღმოჩენილ ცალკეულ ნივთს ხშირად ასახელებს და განძს ადრეაქემენიდური ხანის ძეგლთა ჯგუფს მიაკუთვნებს, ხოლო სამარხებს — გვიანაქემენიდურსა და ადრეელინისტურ ხანას[35].

ე ალექსეევა განიხილავს რა შუა კავკასიონის გვიანყობანური კულტურის ქრონოლოგიურ ეტაპებს, მოკლედ ეხება ყაზბეგის განძსა და სამარხეულ მასალას. ყობანური კულტურის ძეგლებთან შედარების საფუძველზე პირველს ის ძვ. წ. VI—IV საუკუნეს აკუთვნებს, ხოლო მეორეს, და აგრეთვე სხვა მონაპოვრებს, ძვ. და ახ. წ. III საუკ. ათარიღებს. იგი ყაზბეგის მასალებს ყობანური

---

[31] A. M. Tallgren, The Kazbek Treasure, ESA V, Helsinki, 1930.

[32] Heinz Luschey, Die Phiale, Bleicherode am Harz, 1939.

[33] Hans Möbius Kaukasische Glocken an Samos, marburgen studien ტაბ. 66, 67.

[34] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1944, გვ. 67—74.

[35] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси 1944, с 32—33, 45; Материалы к археологии Колхиды, т. I, т. II, 1949, 1950 гг.

კულტურის ტიპიურ ნივთებად თვლის, მაგრამ მათი ერთი ნაწილის ამიერკავკასიურ წარმოშობასაც არ გამორიცხავს[36].

ასევე ეხება ყაზბეგის მასალებს ე. კრუპნოვი. იგი ხსნის ზოგიერთი ნივთის შინაარსს და დანიშნულებას. ამავე დროს იშველიებს მათ ჩრდილო კავკასიური ძეგლების დათარიღებისას[37].

ყაზბეგის განძის თარიღს შეეხო, აგრეთვე, ფრანგი მეცნიერი კლოდ შეფერი[38]. მისი აზრით, განძად წოდებული მონაპოვარი მეტად არეულია და ძნელია გამოიყოს სამარხეული ინვენტარი შეწირული საგნებისაგან. რამდენადაც განძში შემავალი ნივთები ერთ ხანას არ ეკუთვნის, ამდენად გამოუსადეგარია კავკასიის ძველი კულტურის საკითხებზე მსჯელობისათვის. მიუხედავად ამისა, ვერცხლის თასს ავტორი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა საუკუნეებზე უფრო გვიანდელად არ თვლის, ხოლო ბრინჯაოს ქანდაკებებს — ძვ. წ. II ათასწლეულს უახლოებს. ცნობილი მეცნიერი პოპი თავის სქელტანიან ნაშრომში განიხილავს ყაზბეგში აღმოჩენილ ვერცხლის თასს აქემენდური ხანის ლითონის ნაკეთობებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას გედისა და პალმეტის შერწყმაზე ამახვილებს[39].

ყაზბეგურ მონაპოვრებს ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი ნაშრომში „საქართველოს არქეოლოგია“, სადაც ხაზგასმულია, რომ ყაზბეგის განძის ცალკეული ნივთი ძალიან ჰგავს რაჭაში (ბრილში) აღმოჩენილ ძვ. წ. VII—VI საუკუნის მასალებს. ეს ფაქტი საფუძველს აძლევს ხსენებულ ქვეთავის ავტორს გ. გობეჯიშვილს, დააზუსტოს ყაზბეგის განძის თარიღი[40].

ლიტერატურის ასეთი ზოგადი მიმოხილვიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ რა ცხოველი ინტერესი გამოიწვია ყაზბეგის აღმოჩენებმა მკვლევართა შორის, ძეგლის ხასიათი, რაობა, ასაკი, წარმომავ-

---

[36] Е. П. Алексеева, Поздне-кобанская культура центрального Кавказа, Ученые записи ЛГУ, 1949, с. 191—257.

[37] Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, с. 214.

[38] Cl. Schaffer, Stratigraphie Comparee et Chronologie de l'Asie Occidentale, London, 1948.

[39] Arthur Upham Pope, A survey of Persian art from prehistoric times to the present, ტ. I, London-New-York, 1938, გვ. 372.

[40] საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 199—202.

ლობა და სხვა მხარეები თავიდანვე გახდა მწვავე სამეცნიერო დისკუსიის საგანი, რომელიც დღესაც არ დასრულებულა. ძეგლისადმი ასეთ ინტერესს აპირობებს ის დიდი ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც ყაზბეგის მონაპოვრებს აქვს საქართველოს, ჩრდილო კავკასიისა და მცირე აზიის ხალხების უძველესი წარსულის შესწავლაში.

თავი პირველი

ლითონის ჭურჭელი და საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთები

ლითონის ჭურჭელი

№ 1 — თასი, ვერცხლის, ღრმა, პირგაშლილი, ომფალოსიანი, მხრები და ძირი შემკულია წვერით ომფალოსისკენ მიქცეული ექვსი ნუშისგულისებური ბურცობით და მათ შორის ერთმანეთისაგან პირშექცევით გამოსახული, ლამაზად ყელმოღერებული თითო წყვილი გედის თავით. ამ უკანასკნელთა შუაში ზემოთ და ქვემოთ გამოყვანილია შვიდ და ხუთფურცლიანი პალმეტი. ხუთფურცლიანის ზემოთ მოთავსებულია ლოტოსის თითო სამკვირტიანი ყვავილი. თასის პირი ორ ადგილას ერთმანეთის პირდაპირ, გახვრეტილია. გარედან ამოკაწრულია ხუთასოიანი არამეული წარწერა. ნივთი დაზიანებულია და ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი[1]. (ტაბულა I).

ვერცხლის თასმა აღმოჩენის დღიდანვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. მართალია, მრავალმა სწავლულმა გამოთქვა თავისი მოსაზრება ამ შესანიშნავი ჭურჭლის წარმოშობისა და თარიღის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეული მაინც არ არის.

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ბევრი საინტერესო ძეგლი გამოავლინა, მათ შორის ვერცხლის თასებიც. საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩნდა ყაზბეგური ფიალის ანალოგიური ჭურჭელი, რომელთა უმეტესობა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანის კომპლექსებს მიეკუთვნება. საქართველოში ჭიპიანი ვერცხლის თასების რამდენიმე სახესხვაობაა აღმოჩენილი: 1. ურთიერთმოპირდაპირე

[1] ვერცხლის თასი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, კოლექცია № 75942, გამოქვეყნებულია მრავალგზის.

1824

ნუშისგულისებური ბურცობებით შემკული, 2. სადა, ე. წ. ერმოლკის (ჭუდის) მოყვანილობის, 3. ვარსკვლავისებური სახეებითა და 4. ცხოველის თუ ადამიანის გამოსახულებით შემკული.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ თასთაგან ყაზბეგურ ფიალასთან ყველაზე ახლო დგას ახალგორში აღმოჩენილი ოთხი ჭურჭელი, რომლებსაც ჭიპის გარდა ყაზბეგურთან ახლოებს საერთო მოყვანილობა — გაშლილი პირი, შემაღლებული კედელი, აგრეთვე, შემკულობა — ნუშისგულისებური ბურცობები, ლოტოსის ყვავილის მოტივი[2].

ჭიპიანი და ურთიერთმოპირდაპირე ნუშისგულისებური ბურცობებით შემკული ოქროს თასი აღმოჩნდა 1961 წ. ვანში, ქალის მდიდრულ სამარხში, რომელიც ძვ. წ. V ს. თარიღდება[3]. მსგავსი ფიალა მომდინარეობს სოფ. ფიჭვნარიდან ძვ. წ. V ს. სამარხეულ მასალასთან ერთად[4]. საყურადღებოა, რომ ჭვემო ქართლში, ალგეთის ანტიკური ხანის (ძვ. წ. V ს.) სამარხში, ვერცხლის თასებთან ერთად იდო მინის ფიალა, რომელიც ფორმით ყაზბეგური და ახალგორული ვერცხლის თასების განმეორებაა[5].

ყაზბეგური თასის ყველაზე ახლო ანალოგი ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია 1923 წ. კ. როდოსზე, იალისოსის სამაროვანზე. იქ მოპოვებული ორი ვერცხლის თეფში ფორმითა და პალმეტისებური შემკულობითაც ყაზბეგური ფიალის განმეორებაა. სამარხები, რომლებშიც ეს თეფშები აღმოჩნდა ღარიბულია, ამიტომ მათი დათარიღება მხოლოდ სამარხის ტიპის მიხედვით ხერხდება. ასეთი სახის სამარხები კ. როდოსზე ძვ. წ. VII ს. მიწურულსა და VI ს. დასაწყისში ყოფილა გავრცელებული[6].

ყაზბეგური თასის თარიღისა და სადაურობის საკითხს მრა-

---

[2] Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, 1934, с. 44, 45, 46, IX, X, XI, XII.

[3] Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани. კავკასიური აღმოსავლური კრებული, თბ., 1962, გვ. 69—70.

[4] რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, 1962 (ხელნაწერი), ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 76;

[5] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 34, მსგავსი მინის თასები აღმოჩენილი ყოფილა კ. კვიპროსზე, მარიანში, ძვ. წ. VI ს. ინვენტარითურთ.

[6] Luciano Laurenzi, Necropoli Ialisie, Clara Rhodos, VIII, 1936, გვ. 179, 180, სურ. 168, 169.

ვალი მეცნიერი შეეხო. ი. სმირნოვი[7] მას აქემენიდური სპარსეთის ხელოვნების ნიმუშად თვლის, ა. კალიტინსკი[8] — ელინისტური ხანის სირიელი ხელოსნის ნამუშევრად, პერო და შიპიცი[9] — ძვ. წ. V ს. ფინიკიურ ნაკეთობად მიიჩნევდნენ, ა. ტალგრენი ყაზბეგურ თასს სირიულ-ასურული სამყაროდან წარმომდგარ ნივთად სახავდა და პროტოტიპებს გვიან ხეთურ სამყაროში უძებნიდა[10]. შ. ამირანაშვილის აზრით, ყაზბეგურ თასში შერწყმულია იონური და აქემენიდური ხელოვნების ელემენტები[11]. ჰ. ლუშეი, რომელიც საგანგებოდ სწავლობდა ლითონის ჭურჭელს, ყაზბეგური ტიპის თასს მცირე აზიურ ან სირიულ ნახელავად თვლიდა[12]. გ. გობეჯიშვილი[13], ლაურენსის[14] აღმოჩენებზე დაყრდნობით, თასის იონურ წარმომავლობას ეხმრობა. გალიის უნივერსიტეტის პროფესორმა კ. შლოტმანმა თასზე არსებული წარწერა წაიკითხა და აღნიშნა: წარწერას იმ არამეული დამწერლობის სახე აქვს, რომელიც ფინიკურ ანბანიდან განვითარდა. ასეთივე წარწერას ვხვდებით ძვ. წ. VI—IV სს. სპარსთა მეფის მონეტებსა და გემებზე, პონტოს სპარსელ სატრაპთა მონეტებზე და კ. კვიპროსზე აღმოჩენილ აქემენიდური ხანის ძეგლებზე. ყაზბეგურ თასზე მოცემული წარწერა ამოკითხულ იქნა, როგორც „„კაბირ“ — ძლიერი, რაც უნდა მიუთითებდეს არა კაბირების კულტსა და ღვთაებაზე, არამედ უნდა წარმოადგენდეს პიროვნების საკუთარ სახელს, შესაძლოა მესაკუთრის სახელსაც კი. წარწერა თავისი სტილით ძვ. წ. VI—IV საუკუნისაა უფრო კი ძვ. წ. VI საუკუნისაკენ იხრება. შლოტმანი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ წარწერა შემდეგ იქნა ამოფხაჭნილი, ფიალა კი უფრო ძველია[15]. შაბომ წარწერიდან აზრი ვერ გამოიტანა, თუმცა აღნიშნა, რომ შესაძლოა რაიმე უცნობი

---

[7] Я. И. Смирнов, Восточное серебро, 1909, с. 7.

[8] А. Калитинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[9] Perrot et Chipiez, Histoire de l'art dans l'anttiquite, 1885. III, გვ. 791, სურ. 554.

[10] A. M. Tallger, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

[11] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, 1944, გვ. 101;

[12] Heinz Luschey, Die Phiale, Bleicherode am Harz, 1939, გვ. 51.

[13] საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 201.

[14] L. Laurenzi, Cl Rh. VIII, გვ. 179, 180.

[15] K. Schlottmann, (Письмо В. Ф. Миллеру о финикийско-арамейской надписи), Изв. Общ. любителей Естеств. антропологии и этнографии, XXXV, Москва, 1879, 34—35.

საკუთარი სახელია მოცემულიო. წარწერაში შეინიშნება არამეულის ძველიცა და უფრო ახალი ფორმაც, რაც წარწერის შემსრულებლის დაბალ ცოდნაზე მეტყველებს[16].

ყაზბეგური თასის წარმომავლობის დასადგენად ძირითადი მნიშნელობა მის შემკულობას ენიჭება. ორნამენტული მოტივი შესაძლებლობას გვაძლევს, მიახლოებით მაინც გავარკვიოთ მისი წარმოშობის საკითხი. გარკვეულ პერიოდში, ჭიპიანი ვერცხლის თასები საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. ისინი ყველაზე ადრე ძვ. წ. IX—VIII სს. მიჯნაზე ასურეთში ჩნდება, როგორც ადგილობრივი ფორმა, და ასურეთის სამეფოს დასასრულამდე არსებობს.

აღმოსავლურ ფიალებს ჰქონიათ მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობის მცირე ზომის ჭიპები ვარდულებით შემკული.

ჩვეულებრივი ტიპის ჭიპიანი თასები ჩამოყალიბდა საბერძნეთში ძვ. წ. VII ს მეორე მეოთხედში[17]. თავდაპირველად მათ წვეტიანი ფორმა ჰქონდათ, ხოლო შემდეგ ნახევარსფეროს სახე მიიღეს. ასეთი ფიალები საბერძნეთიდან სხვადასხვა ქვეყნებში უნდა გავრცელებულიყო, სადაც შემდეგ შესაძლოა მათი წარმოება ადგილობრივად ხდებოდა.

რაც შეეხება ურთიერთმოპირდაპირე ნუშისგულისებურ ბურცობებს, რომლითაც შემკულია ყაზბეგური ახალგორული, ვანური ფიალები, ჰ. ლუშეის აზრით, ასურული მოტივია. ორნამენტაციის ეს სახე ასურეთში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ძვ. წ. IX—VIII ს[18]. ა. კალიტინსკი კი ურთიერთმოპირდაპირე კოვზისებური ბურცობების საწყისს ბერძნულ ორნამენტიკაში ხედავს, კერძოდ, იონური ჭურჭლის (ვაზების) მოხატულობაში[19]. მაგ., ასეთი ბურცობები ახლავს ნიმფეონში აღმოჩენილ ჭურჭელს.

ა. კალიტინსკი, როგორც აღვნიშნეთ, თასს ელინისტურ ხანაში მცხოვრებ სირიელი ხელოსნის ნამუშევრად მიიჩნევს. იგი არ უარყოფს თასის შემკულობაში აღმოსავლურ გავლენასაც და ლოტოსის მოტივს, მარაოსებურად გაშლილ ნახევარპალმეტებს აღმოსავლურად თვლის.

---

[16] А. Калитинский, დასახ. ნაშრომი (შაბოს წერილი), 1939, გვ. 54.

[17] Heinz Luschey, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—37.

[18] იქვე.

[19] А. Калитинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

პალმეტი და ნახევარპალმეტი, როგორც მხატვრული მოტივი, მეტად მიღებული ყოფილა ძველ ასურულ ხელოვნებაში. იგი გამოიყენებოდა შენობათა ფრიზების შესამკობლად და ფონად სხვადასხვა საბრძოლო და საყოფაცხოვრებო სურათების გადმოცემისას. აქემენიდურ ხელოვნებაში იგი კვლავ აგრძელებს არსებობას. მაგ. სუზას სასახლეში შენობის ფრიზი მთლიანად ნახევარპალმეტებით არის შემკული.

პერსეპოლისში, აქემენიდური სპარსეთის სატახტო ქალაქში, სხვადასხვა ნივთთა შორის აღმოჩნდა ლანგარი, რომლის ორივე ბოლო შემკულია გედის თავებით. თავებს შორის ნახევარპალმეტებია მოთავსებული, ეს ორნამენტი იმდენად ემსგავსება ყაზბეგური თასის შემკულობას, რომ წარმოშობის იგივეობაზე გვაფიქრებინებს[20]. რაც შეეხება გედის თავების გამოსახულებას, მას ვხედავთ ამუდარიის განძში შემავალი ხმლის ოქროს ქარქაშსა და სამაჯურთა ბოლოებზე[21]. ერთ-ერთ შემონახულ სურათზე დარიოსს ხელთ უპყრია გედის თავებით დაბოლოებული მშვილდი. ბ. კუფტინის აზრით[22], აქემენიდურ ხელოვნებაში გედის მოტივი შემოსულია. აღნიშნული მოტივი ძველ ბერძნულ ხელოვნებაში იყო მიღებული. გედის თავებით ამკობდნენ ღვინის ამოსაღებ ხაპებს, საცრის ტარებს. ბერძნები გედს თვლიდნენ ფრინველად, რომელსაც განსაკუთრებული სიმამაცე და აღმაფრენა ახასიათებს. მითოლოგიაში მას უკავშირებენ აპოლონ ჰიპერბორიელსა და მზის მითს. მრავალრიცხოვანია გამოსახულებები, რომლებზეც ვხედავთ გედშებმულ ეტლში მჯდომ აპოლონს. ჩრდილო იტალიაში, დუნაის ქვეყნებში, აღმოსავლეთ გალიაში რკინის ხანის დასაწყისში ხშირადაა გამოსახული მზიური ნავი, რომელიც გედის პროტომებით ბოლოვდება[23].

გედის გამოსახულებიანი ნივთები საქართველოს ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი. მაგ., ვანში მცხეთაში (ბაგინეთი). მცხეთაში ანტიკური ხანის სამარხიდან მომდინარეობს ჭურჭელი, რომლის ყური შემკულია გედის თავებით. ამ ჭურჭელს ბ. კუფტინი

---

[20] Contenan G, Manuel d'archeologie orientale IV Paris, 1947, გვ. 2258, ნახ. 1281.

[21] O. M. D a l t o n, Ihe Treasure of the Oxus, London,. 1926, ტაბ. XIX, სურ. 142, ტაბ. XIII, სურ. 47.

[22] Б. А. К у ф т и н, Материалы арх. Колхиды I, 1949, გვ. 50, 51.

[23] Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

შემოტანილად თვლის და რომაული ხანით ათარიღებს. ამგვარად, გედის მოტივი, შესაძლებელია, ბერძნული წარმოშობისაა ისევე, როგორც ასურული წარმოშობისაა პალმეტებით შემკობა.

აქემენიდთა ბატონობის ხანაში, როდესაც შეიქმნა ერთიანი სპარსეთის სახელმწიფო, გაყვანილი იქნა სავაჭრო და სამიმოსვლო გზების მთელი სისტემა; გაძლიერდა სხვადასხვა ქვეყნებს შორის კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა, ამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყნისა და კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთის აღმოჩენა მეორე ქვეყანაში.

ამგვარად, ყაზბეგურ თასში ერთნაირად შერწყმულია ბერძნულ-იონური და აქემენიდურ-ირანული კულტურის ელემენტები.

ამიერკავკასიაში აღნიშნული თასის მოხვედრის გზების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. გობეჯიშვილს[24]. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგეოსის სამყაროში განსაკუთრებით დაწინაურდნენ კუნძულები კვიპროსი, როდოსი, სამოსი, რომლებიც ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებს შორის კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობაში შუამავლის როლს ასრულებდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამ მხრივ კუნძ. როდოსი, რომელიც თავისი ბრინჯაოს ნივთების ექსპორტს აწარმოებდა ჰალშტატის დროინდელ იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში, ფინიკიაში. ბ. ფარმაკოვსკი ეხება რა სამხრეთ რუსეთის ველების კულტურულ ვითარებას, აღნიშნავს, რომ იონურ-მცირეაზიული კულტურის ნაკადები კავკასიის გავლით მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ[25]. შესაძლოა, ამ ურთიერთობის შედეგი იყო კავკასიონზე ყაზბეგური თეფშის აღმოჩენა — მით უმეტეს, რომ კუნძ. როდოსზე ზუსტად ანალოგიური ორი თასია აღმოჩენილი. ხმელთაშუა ზღვის კუნძულებისა და კავკასიის ურთიერთობის დამადასტურებელია კუნძ. სამოსზე (ძვ. წ. VII—V ს.-ის ნახანძრალში) ყაზბეგური ტიპის ზარების აღმოჩენაც[26]. რაც შეეხება თასების დანიშნულებას, მათ საკულტო-საცერემონიალო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. ძნელი დასადგენია რა მოვალეობას ასრულებდნენ ისინი ამიერკავკასიაში (აქაც რაიმე საკულტო-სარიტუალო მნიშვნე-

---

[24] არქეოლოგიის სახელმძღვანელო, 1959, გვ. 201.

[25] Б. В. Фармаковский, Архаический период в России, материалы по археологии России, № 34, II, 1914, С. 15—78.

[26] Hans Mobius, Kaucasische Gloken in Samos, Marburgen Studien, 1938, გვ. 156—166.

ლობა ენიჭებოდათ, თუ მხოლოდ საყოფაცხოვრებო ჭურჭლის როლს ასრულებდნენ?), მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ ფიალებს ძვ. წ. I ათასწლეულის შუა საუკუნეებში ვხვდებით და ისიც მხოლოდ მდიდრულ სამარხებში. ამავე ხანის ღარიბულ სამარხებში თეთრწყაროში[27], არდასუბანში[28], ნერონ-დერესში აღმოჩნდა განლექილი თიხიდან ამ ფიალების ფორმების მიხედვით დამზადებული თიხის ჭურჭელი[29]. ხომ არ წარმოადგენდა იგი დაკრძალვის ცერემონიალის აუცილებელ ატრიბუტს, სარიტუალო წესის შესასრულებლად აუცილებელ პირადმოსახმარ საგანს, ან ინსიგნიას — ძლიერი პიროვნების განმასხვავებელ ნიშანს, რომლის ჩატანება მიცვალებულისათვის საჭირო იყო?

№ 2,3 — ბრინჯაოს მათარები*, მათარები თხელი სპილენძის ფირფიტებისაგანაა დამზადებული, ძირი მრგვალი აქვთ, გვერდები შეზნექილი, ყელი მაღალი და ვიწრო, პირთან ოდნავ გადაშლილი; ჭურჭლის ქვედა ნაწილის ირგვლივ ვხედავთ ღრმა ღარს. რაც მრგვალ ძირსა და შებრტყელებულ გვერდებთან ერთად იმაზე მიგვითითებს, რომ იგი ჩამოსაკიდებელი ჭურჭელი ყოფილა. მათარების ჩაზნექილი გვერდები ჭდეული წრეებითაა შემკული, ხოლო მოპირდაპირე გვერდებზე ჭდეული წერტილებით გამოყვანილია ცხოველთა გამოსახულებები. ერთ მათგანზე გამოსახულია თევზი და შემორჩენილია კენტჩლიქოსანი ცხოველის სამი ფეხი, მეორე მათარაზე ვხედავთ რაღაც ფანტასტიური ცხოველის მაღალ მკერდსა და ფრთას, შემკულს პალმეტებითა და სწორად განლაგებული ზოლებით. სამწუხაროდ ნამსხვრევებზე სხვა სახეების გარჩევა არ ხერხდება, როგორც ყელი, ისე ჭურჭლის სხვა ნაწილები მიკერებულია მანჭველებით, რაც მათარების დამზადების ჭედურ ტექნიკაზე მიგვითითებს. მათარის სიმაღლე — 28 სმ, ყე-

---

[27] ა. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრწყაროს მახლობლად, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, 1963, ტაბ. V.

[28] ნ. თუშიშვილი, არქეოლოგიური ძეგლები, სოფ. არდასუბნიდან, 1962 წელი (ხელნაწერი).

[29] Б. А. Куфтин, Арх. раск. Триалети, გვ. 31, ტაბ. IV.

* მათარები დაშლილი სახით დაცულია მოსკოვის ისტ. მუზეუმში. კოლ. 54746; П. С. Уварова, МАК, VIII, 140, 141, 120, 121; П. С. Уварова, Г. Радде. Коллекции Кавказского музея, V; А. Калитинский, Из истории фибулы на Кавказе, Прага, 1928; A. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

ლის სიმაღლე 14 სმ, ბურთისებური ნაწილის დმ — 21 სმ (ტაბ. II, 1,2).

1953 წ. რაჭაში ყაზბეგური მათარების მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა ბრილში (მე-19 სამარხი). ნივთი დამსხვრეული იყო, დეკორირებული არ იყო, ელემენტებით იგი განსხვავდება ყაზბეგური ჭურჭლისაგან, მაგრამ დამზადების ტექნიკა, აღნაგობა — საერთოა.

სამარხი, რომელშიც ეს ნივთი აღმოჩნდა, ძვ. წ. V ს. თარიღდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამავე სამარხეულ კომპლექსში შემავალი სხვა ნივთები (ეჟვნები, ზარები) მსგავსებას ავლენს ყაზბეგის განძის სხვა მასალებთან. ბრილის სამაროვანზე ბევრი სხვა ლითონის ჭურჭელი იქნა მოპოვებული. რამაც გარკვეული შუქი მოჰფინა ბრინჯაოს ჭურჭლის დამზადების ტექნიკასა და წარმომავლობის საკითხს[30].

მსგავსი ლითონის ჭურჭელი აღმოჩნდა ასევე სოფ. ითხვისში (ჭიათურის რაიონი) 1962 წ.[31] სამარხეული კომპლექსი, საიდანაც ეს ნივთი მომდინარეობს ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება. სხვაობას ვხვდებით ტუჩის მოყვანილობაში, ზომებში. მაგრამ ძირითადში მოყვანილობა, დამზადების ტექნიკა — საერთოა. მსგავსი ფორმის სურა მომდინარეობს სოფ. ყანჩაეთიდან (ძვ. წ. V ს.)[32].

ზემო აღნიშნული ლითონის ჭურჭლის ადგილობრივ, კავკასიურ წარმოშობაზე დღეს ეჭვი აღარავის ეპარება. თუმცა მათარაზე მოცემული გამოსახულებანი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჯერ კიდევ პ. უვაროვამ[33] ყაზბეგური მათარების დეკორირება დაუკავშირა ყობანური ნიმუშების დეკორირებას, კერძოდ, რ. ვირხოვის კოლექციაში შემავალ ბრინჯაოს ცულისა[34] და სარტყლის შემკულობას. ა. კალიტინსკიმ[35] უარყო პ. უვაროვას ეს მოსაზრება და გამოსახულებათა ანალოგიები არქაულ ბერძნულ ხელოვნებაში მონახა. იგი შენიშნავდა, რომ მათარებზე გამოსახულ ცხოველთა

---

[30] გ. გობეჯიშვილი, რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის 1953 წლის ანგარიში, ხელნაწერი.

[31] რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის 1962 წლის ანგარიში.

[32] ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ჭსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 65—67, სურ. 4.

[33] П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК VIII, 1901.

[34] P. Virchow, Über die Culturgesichtliche stellung. der Kaucasus APAV, 1895, pl IV. XVI.

[35] А. Калитинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, 52.

ტანის შემკულობა წერტილებით, ცხოველის მაღალი და წვრილი ფეხები მოგვაგონებს ადრე ატიკური ხანის ბერძნული ხელოვნების ნიმუშებს, კვიპროსული ჭურჭლების მოხატულობას, ბეოტიური ბრინჯაოს საკინძების მხატვრობას. მას ორივე მათარის გამოსახულება ცხენის გამოსახულებად მიაჩნია. ა. ტალგრენი[36] მათარის მხატვრობას ადგილობრივი კავკასიური სარტყლების შემკულობას ადარებს და არ იზიარებს კალიტინსკის აზრს მისი ბერძნული წარმოშობის შესახებ, რადგან ცალჩლიქიანი ცხოველი შესაძლოა ირემიც ყოფილიყო და თხაც. რაც შეეხება მათარების წარმომავლობასა და დანიშნულებას, ა. ტალგრენი მათ ადარებს დანიურ-ცენტრალურ ევროპულ (collarad bottles), მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ კავშირი მხოლოდ გენეტიკურია. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს არ იყო ცნობილი კავკასიაში აღმოჩენილი ანალოგიური ჭურჭელი, ა. ტალგრენი მათარებს სამართლიანად კავკასიურ ნაწარმად მიიჩნევს.

მათარების მოხატულობას შეეხო შ. ამირანაშვილიც[37], რომელმაც ა. კალიტინსკის მიერ მოყვანილი დასაბუთება ნაწილობრივ მართებულად მიიჩნია. მან შეადარა მათარები სამთავროში აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყლებს და აღნიშნა, რომ სამთავროს ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახული ცხოველების სტილი, დეკორის წესი, მოძრაობის ხასიათი, ენერგიულად მოხაზული კისერი დიდ მსგავსებას იჩენს ბრინჯაოს მათარების გამოსახულებებთან; თუმცა მათ შორის მაინც შეიმჩნევა განსხვავება. მათარებზე მოცემული ცხოველთა ტანები წელში უფრო დავიწროებულია, ფეხებიც სხეულთან შედარებით უფრო წვრილია და მაღალი ვიდრე სარტყლის მოჭედილობაზე გამოსახული ცხოველისა. წვრილი ფეხებითა და ტანის შემკულობით ეს ცხოველები მოგვაგონებენ ადრინდელი ანტიკური ხანის ბერძნულ ხელოვნებაში გამოსახულ ცხოველებს. შ. ამირანაშვილი იზიარებს ა. კალიტინსკის იმ მოსაზრებებსაც, რომ სურებზე ცხენებია გამოსახული. ამ დებულების დასადასტურებლად მას მოჰყავს გ. სიზოვის მიერ სოხუმის ტერიტორიაზე მოპოვებული კერამიკული მასალა[38]. დღეისათვის ყაზბეგური მათარები დამსხვრეული და დაზიანებულია, ამიტომ მხატვრობის შე-

---

[36] A. M. T a l l g r e n, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

[37] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1944, გვ. 97.

[38] В. С и з о в, От Новороссийского до Сухуми, МАК, II. 1889.

სახებ მსჯელობა საკმაოდ ძნელია. მათზე შედარებით გარკვევით თიევზის გამოსახულებაა შემორჩენილი, რომელიც მეტად ხშირია ბრინჯაოსა და მომდევნო ხანაში, განსაკუთრებით ყობანურ ცულებსა და ბალთებზე[39].

თუ დავეთანხმებით ხელოვნებათმცოდნეებს, შესაძლოა მხატვრობაში მართლაც ერიოს ბერძნული ელემენტი, მაგრამ მათარების ფორმა ადგილობრივია და იგი ადგილობრივი ხელოსნის მიერ არის დამზადებული. რაჭაში (ბრილში) აღმოჩენილ ნივთებზე ვხვდებით პუნქტირით შესრულებულ ნახატებს. წერტილებით შესრულებული ნახატები აღმოჩნდა დაბლა-გომის ქვევრსამარხებზე. ამგვარად, ნახატების შესრულების აღნიშნული ტექნიკა დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული ყოფილა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში.

№ 4 — სიტულა ბრინჯაოსი[40], დაშლილი, პირგაშლილი, დაბალმუცლიანი, ძირჭუსლიანი. ჭურჭლის გვერდზე შიგნიდან ყურის დასამაგრებლად მიუჩრილავთ მასიური ლითონის ნაჭერი (ტაბ. III). ჭურჭელს ახლავს მრგვალი ხუფი, ხუფის კიდეები ტეხილი ხაზებითა და წერტილებით არის შემკული, ხოლო შუაში აქვს ყუნწი, რომელიც უხვად გამოყვანილი ვარსკვლავის ცენტრს წარმოადგენს (ტაბ. IV). ხუფის დიამეტრი 13 სმ-ია, მასაც ზუსტი შესატყვისები არ მოეპოვება. ფორმით იგი მოგვაგონებს ძვ. წ. პირველ ათასწლეულში და უფრო ადრეულ ხანაში გავრცელებულ თიხის ჭოთნებს, განსაკუთრებით მსგავსება შეინიშნება ყელის ფორმაში, ტუჩის მოყვანილობაში. ამ ჭურჭლის მიხედვითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ კავკასიაში ბრინჯაოს ჭურჭლის დამზადების ტექნიკა მაღალ საფეხურზე იდგა და მრავალსახეობით გამოირჩეოდა. გ. გობეჯიშვილის მიერ ზემო რაჭაში, ბრილის სამაროვანზე მიკვლეულ იქნა ძალზე დიდი რაოდენობით ლითონის ჭურჭლის ფრაგმენტები, რამაც მისცა საფუძველი მკვლევარს აღენიშნა, რომ ასეთი ნაწარმი გვხვდება უმთავრესად კოლხური კულტურის გავრცელების რაიონებში (რაჭა, ლეჩხუმი, ჯავის რაიონი, ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო). სხვაგან აღნიშნული ნაწარმი ერთეულების სახით არის აღმოჩენილი უკრაინაში (პოდგორცი), არარატის მთის ძირში (მალაქლუ). ამგვარად, მისი დიდი რაოდენობით

---

[39] П. С. Уварова, МАК, VIII, ტაბ. XXIV.

[40] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 220.

აღმოჩენა რაჭა-ლეჩხუმში და მსგავსება ადრეულსა და იმავე პერიოდში გავრცელებულ თიხის ჭურჭელთან მათი ადგილობრიობის დამამტკიცებელი საბუთია[41].

ბრინჯაოს ჭურჭელს უნდა გაევლო დამზადების მეტად რთული პროცესი; ცალკე ხდებოდა მისი მასიური ფსკერის ჩამოსხმა, ცალკე გამოიჭედებოდა, გამოიკვერებოდა ლითონის ორი თხელი ფურცელი, რომლიდანაც შემდეგ გვერდები მზადდებოდა, სახელურები ცალკე ჩამოისხმებოდა ლითონის ყალიბში, ცალკე მზადდებოდა მანჭველებიც. თარგზე კედლების გამოჭრის შემდეგ იწყებოდა ჭურჭლის აწყობა, სიტულების ნაწილების ერთმანეთთან მიკერება, შედუღება. ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში ჭურჭელს ძირის (ქუსლის) ნაცვლად თხელ ბრინჯაოს ფურცელს უკეთებდნენ.

ზარები

ყაზბეგის განძში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოს ზარები, რომლებიც ძირითადად მოყვანილობით ერთნაირია, განსხვავება შეინიშნება ზომებსა და ზოგიერთ წვრილმანში. (ტაბ. V, VI).

№ 5—8, 4 ცალი დიდი ზომის ზარია[42]. ერთი მათგანი ცილინდრული ფორმისაა, ოდნავ შებრტყელებული და გვერდჩაჭრილი. ზედაპირი დაფარული აქვს რელიეფური ნაძვის ხის მსგავსი წიწვისებური სახეებით, ზარის დაბრტყელებულ თავზე სამკუთხა მოყვანილობის საკიდი ყურია, რომლის ძირში გაკეთებულია ენის გასაყრელი ნახვრეტი (ენა არ არის შემორჩენილი). ზარის სიგრძე — 12,5 სმ-ია, პირის — 7,5 სმ, თავის — 5,3 სმ, ყურის სიგრძე — 4 სმ (ტაბ. V, 1).

№ 9, 10 — კოლექციაში შემავალი ორი სხვა ზარი[43] სავსებით იმეორებს ზემოთ აღწერილი ზარების მოყვანილობასა და შემკულობას. მათ შორის სხვაობა ზომებში შეინიშნება. ერთ-ერთის სიმაღლეა 11,5 სმ, ყურის სიმაღლე — 3,5 სმ, დიამეტრი — 7 სმ, ზემოაღწერილთაგან განსხვავდება ზარი, რომელსაც ყურის

---

[41] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. 75942.

[42] დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (გ. ფილიმონოვის აღმოჩენა), კოლ. 759242.

[43] იქვე.

ქვემოთ თავი მომრგვალებული აქვს. მისი სიმაღლეა 11,5 სმ, დმ. 6 სმ, ყურის სიმაღლე — 2,5 სმ.

№ 11, 12 — ზემოაღწერილ ზართაგან ოდნავ განსხვავდება კიდევ ორი ზარი. ერთი მათგანი გვერდჩამოტეხილია, მისი საკიდი ყური სამკუთხა მოყვანილობისაა, ხოლო თავი მომრგვალებულია. ზედაპირი დაფარული აქვს რელიეფური გრეხილი ხაზებით, რომლებიც თავზე გადაუდის და ვერტიკალურად დაუყვება ზარის გვერდებს მთელს სიგრძეზე. ზარის საერთო სიმაღლე 14 სმ-ია. დიამეტრი — 7,2 სმ, ყურის სიგრძე — 2,9 სმ, (ტაბ. V, 2).

№ 13—17 — ყაზბეგში აღმოჩენილია ხუთი უფრო მომცრო ზომის ზარი[44] მოგრძო გვერდჩაჭრილი, სამკუთხა მოყვანილობის საკიდი ყურითა და მომრგვალებული თავით (ენა არ გააჩნია). ზარები ოდნავ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პირის დიამეტრითა და სიგრძით. (ტაბ. V, 4)

სიმაღლე 8,2 სმ, პირის დიამეტრი 4,5 სმ.

„ 8 „ „ „ 4,5 „
„ 7,8 „ „ „ 4,4 „ საკიდი ყურის
„ 7,7 „ „ „ 5 „ სიგრძე 1,2 სმ
„ 8,2 „ „ „ 4,2 „

ზოგიერთი მათგანი ნაკლულია, ხოლო ზოგიერთი ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი.

№ 18, 19, 20 — ყაზბეგის განძში წარმოდგენილია კიდევ უფრო პატარა ზარებიც, რომლებიც, მოყვანილობით გვანან დიდი ზომის ზარებს[45]. ერთ-ერთ ზარზე შემორჩენილია საკიდი რგოლი, რომლის საშუალებით იგი უკავშირდება რაღაც ბრინჯაოს საგანს. ზარის სიმაღლეა — 3,7 სმ, დიამეტრი — 1,6 სმ. მეორე ცილინდრული მოყვანილობის გვერდჩაჭრილი, თავმომრგვალებული ზარის სიმაღლე — 2 სმ-ია, დიამეტრი — 1,7 სმ. აღწერილი ზარებისაგან არსებითად განსხვავდება პატარა ზარაკი[46], რომლის გვერ-

---

[44] დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. კოლ. 75942.
[45] დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში კოლ. 75942.
[46] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი 75942. П. С. Уварова, МАК VIII, 150 Коллекции Кавказского музея, 1902, V, 7, II.

დები დაფანჯრულია, პირისაკენ ფართოვდება, გააჩნია საკმაოდ დიდი რკალისებური ყუნწი, დიამეტრია — 1,8 სმ., ყურის დიამეტრი — 7 სმ. ამათაც რკინის ენა ჰქონდათ.

№ 21, 22 — ცნობილია კიდევ ორი ასეთი სახის ზარი — მოვრძო, გვერდშეჭრილი, უენო, სამკუთხა ყუნწიანი, პირველის სიგრძე — 5,8 სმ, დიამეტრი — 2 სმ. ყურის სიგრძე — 1,5 სმ. მეორის სიგრძე — 6,4 სმ, დიამეტრი 1, 2 სმ[47].

ბრინჯაოს ზარი იმ დროს მეტად გავრცელებული სარიტუალო-საპარადო დანიშნულების საგანი იყო. ყაზბეგში აღმოჩენილი ყველა ზარი ძირითადად ერთი ტიპისაა — ცილინდრული, გვერდშეჭრილი, ზოგჯერ ორნამენტული. მათგან განსხვავდება მხოლოდ ერთადერთი დაფანჯრული ზარაკი. ზარი გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ანტიკური ხანის თითქმის ყველა არქეოლოგიურ კომპლექსში. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ბრილის სამაროვანზე აღმოჩენილი ანალოგიური ზარები. განსხვავებით ყაზბეგურისაგან, აქ, ერთ-ერთ დიდი ზომის ზარზე ფრთებგაშლილი არწივის რელიეფური გამოსახულებაა მოცემული ტოტებდამშვენებული ხეების ფონზე. დამწვარი ფენა, სადაც ასეთი სახის ნივთებია აღმოჩენილი, ძვ. წ. VII—V სს. თარიღდება[48] (თვით ნივთს დამწვრობის კვალი არ ეტყობა).

დიდი ზომის არწივის გამოსახულებიანი გვერდშეჭრილი ზარი აღმოჩნდა სოხუმის მთაზე. გათხრების ავტორის ა. კალანდაძის აზრით, ნივთი დანგრეული კრემაციული სამარხიდან მომდინარეობს და ძვ. წ. VII—V სს მიეკუთვნება[49].

ასეთივე სახის ზარები მოპოვებული იქნა სოფ. არდასუბანში, ძვ. წ. VI ს სამარხში[50]. ბადისებრი სახეებით შემკული ზარი ცნობილია ახალციხის რაიონიდანაც[51].

---

[47] მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულია კამაროვის კოლექციიდან მომდინარე 2 ცალი ზარი 8/5 (1,2), პ. უვაროვის სიტყვით კამაროვის კოლექციაში 7 ცალი ასეთი ზარი ყოფილა.

[48] გ. გობეჯიშვილი, რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის 1961 წ. ანგარიში. ნივთი დაცულია არქეოლოგიის განყ-ბაში, საველე № 5;

[49] ა. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954. გვ. 53, 56.

[50] ნ. თუშიშვილი, არქეოლოგიური ძეგლები სოფ. არდასუბნიდან, 1962 წ. (ხელნაწერი).

[51] არქეოლოგიური მასალების კატალოგი, II, თბ., 1955 № 170 (56—14/3).

ხსენებულ მასალებს, აგრეთვე პარალელები მოეპოვება ჩრდილო კავკასიის ძვ. წ. VIII—VI სს. ძეგლებში [52] და სომხეთში, კერძოდ კარმირ-ბლურზე ძვ. წ. VIII—VII სს. ფენაში აღმოჩენილი დიდი ზომის ზარის სახით[53].

მეტნაკლებად შორეული ანალოგიებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მეცნიერ ი. ბოილაოს მიერ კუნძ. სამოსზე ერთ-ერთ ნეკროპოლის გათხრის დროს, სამარხებს შორის აღმოჩენილი ზარები, რომლებიც ყაზბეგური ზარების სავსებით იდენტურნი არიან როგორც ფორმით, ასევე ორნამენტით. ამ ნივთთა მკვლევარი მობიუსი შენიშნავს, რომ მათ პარალელები არა თუ თვით კუნძ. სამოსზე, არამედ საბერძნეთშიაც კი არ მოეპოვებათ: აღიარებს მათ აღმოსავლურ წარმოშობას და ყაზბეგურ ზარებს ადარებს[54].

კავკასიური ზარების მსგავს ცილინდრულ, გვერდშეჭრილ, ოქონდ ოდნავ განსხვავებულ ზარებს ვხვდებით ლურისტანშიც[55].

საშუალო ზომის გვერდშეჭრილი 71 ზარი აღმოჩნდა ახალგორის განძშიც, რომელშიც წამყვან ტიპად ცილინდრული ფორმის, გვერდშეჭრილი, სამკუთხა, თუ რკალურყურიანი ზარი რჩება. ყველაზე დიდი ზომის 5 სმ-ს არ აღემატება, დანარჩენები ძალზე პატარებია[56].

პატარა ზომის გვერდშეჭრილი ზარები უფრო გვიანდელი ჩანს, მათ ვხედავთ დაბლა-გომის ერთ-ერთ ქვევრსამარხში[57], აგრეთვე ზუგდიდის სახერხ ქარხანასთან აღმოჩენილ განძსა თუ სამარხში, რომელიც მასში აღმოჩენილი კოლხური მონეტების საშუალებით ძვ. წ. VI—III სს. თარიღდება[58]. აღნიშნული ზარები უფრო მოგვიანო პერიოდშიც გვხვდება — ძვ. წ. I საუკ. დამლევს და ახ. წ. ღამდეგს (ე. წ. რომაულსა და პართულ ხანაში) მაგ., თრიალეთში[59].

---

[52] Е. П. Алексеева, Поздне Кобанская культура центрального Кавказа уч. записки ЛГУ, 1949, XI, 35, № 5.

[53] Б. Б. Пиотровский, Камир-Блур III (1951—1953), Ереван, 1955, 46, 35.

[54] Hans Möbius, Kaukasische Glocken in Samos, 1938, 156—166.

[55] E. Herzfeld, Iran in the Ancient East, London-New-York, 1941.

[56] Я. И. Смирнов, Ахалгорский клад, 1934, с. 58.

[57] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, с. 46—47.

[58] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[59] Б. А. Куфтин, Триалети... 1941, с. 25, სურ. 27, 8.

ყაზბეგის განძის ერთადერთი ბრინჯაოს დაფანჯრული ზარი ემსგავსება ახალგორში (ძვ. წ. V—IV ს.)[60], მანგლისში[61] (ძვ. წ. I ს.), სამხრეთ ოსეთში — ჯრიას სამარხში (ძვ. წ. II ახ. წ. II სს.)[62], დიდომსა[63] (სპარსულ დრაქმებთან — I საუკ. და ავგუსტეს ვერცხლის დენართან ერთად — ძვ. წ. 47 წ., ახ. წ. 14 წ.) და ჩრდ. კავკასიაში — ჭამუნთაში[64] აღმოჩენილ ზარებს. ჯრიასა და ჭამუნთაში დაფანჯრული ზარაკი ირმის ქანდაკებას უკავშირდება.

დ. ჭორიძე საგანგებოდ იხილავს აჟურულ ზარებს ანუ ზანზალაკებს და წერს, რომ ისინი არსებობენ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ბოლომდე. ფორმის მიხედვით იგი არჩევს ორი ტიპის დაფანჯრულ ზანზალაკს: მაღალყუნწიანს, ორწყება სამკუთხედებით დაფანჯრულსა და უწესრიგოდ დაფანჯრულ ზარაკებს. პირველი გვხვდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანიდან, ხოლო მეორე — ძვ. ღა ახალი წ. მიჯნით თარიღდება[65]. ყაზბეგის განძში შემავალ ნივთთაგან ეს ზარი ყველაზე „ახალგაზრდაა“. იგი ქრონოლოგიურად არ ერწყმის განძის სხვა მასალებს და საეჭვოდ გამოიყურება. ამ ეჭვის დასამტკიცებლად გადამწყვეტი საბუთი არ მოგვეპოვება, ამიტომ განვიხილავთ მთელ კომპლექსთან ერთად.

ყაზბეგში აღმოჩენილი დიდი ზარები, როგორც ჩანს, უმთავრესად ბუნიკის თავებზე თუ შტანდარტებზე მაგრდებოდა (ზოგიერთი დღესაც შემორჩა (ტაბ. IX) საშუალო ზომის ცილინდრული ზარები ეშვისებური ფორმის ნივთებს უკავშირდებოდა, ან მშვილდსაკინძებს ამკობდა, იშვიათად კი დამოუკიდებლადაც გვხვდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ზარებს სარიტუალო-საპარადო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. არწივის გამოსახვა მასზე შემთხვევითი არ არის (რაჭა, აფხაზეთი). ფრინველი ცისა და დედამიწის შემაკავშირებელ არსებად ითვლებოდა, მით უმეტეს არწივი უძველესი დროიდან ძლიერებისა და უფლების სიმბოლოს

---

[60] Я. И. Смирнов, Ахалгорский клад, 1934, с. 57, სურ. 89, 90.

[61] Б. А. Куфтин, Арх. раскопки, в Триалети, с. 26—27, სურ. 30/1,2.

[62] Б. А. Куфтин, Арх. маршр. экспед. 1945 г. в Юго-Осетии и Имеретии Тб., 1949, с. 25, ტაბ. VI, 3.

[63] ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 167, 173; დ. ჭორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1958, გვ. 69, ტაბ. XXI, სურ. 14, 15, 16.

[64] П. С. Уварова, МАК VIII, ტაბ. XXII და სურ. 236.

[65] დ. ჭორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72, 74.

განასახიერებდა. ზარზე მოცემული წიწვისებური ორნამენტი საღვთო ტყეს უნდა წარმოსახავდეს.

რაც შეეხება პატარა ზარაკებს, სუსტი ხმის გამო არ შეიძლება მათ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონოდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ სამკაულებად ან თილისმებად გამოიყენებოდნენ[66]. ჰ. მობიუსის აზრით, ზარებს ატანდნენ როგორც თილისმას, პატარა ზარაკებს, გარდა სამკაულებისა, თილისმა-მაგიის მნიშვნელობაც ჰქონდა[67].

უნდა შევნიშნოთ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დიდი ზომის გვერდშეჭრილი ზარები აღმოჩენილია გადამწვარ ფენებში (მაგ., ბრილში, სოხუმის მთაზე, კარმირ-ბლურზე, ა. სამოსზე, ყაზბეგში). ხშირად ეს ფენები სამარხებს შორისაა მოქცეული (ბრილი, სამოსი, ყაზბეგი), რაც შესაძლოა მეტყველებს მის გამოყენებაზე სამგლოვიარო, განსაკუთრებით კრემაციის აქტის შესრულების დროს. ზარი — გლოვის საგალობელი დღემდე შემორჩენილა სვანეთში და მას ადამიანები ასრულებდნენ, მაგრამ შესაძლებელია ადრე გლოვა დიდ-პატარა ზარების ჟღერადობით გადმოიცემოდა, რაზეც მეტყველებს ამ საგალობელის სახელწოდება ზ ა რ ი. თუ ეს ასეა, ზემოხსენებულ ფაქტებში უნდა დავინახოთ უძველესი ქართული მუსიკის ისტორიის ფესვები, მითუმეტეს, რომ ზარს უძველეს მუსიკალურ ინსტრუმენტად თვლიან[68].

წარმართობის დროიდან შემორჩენილმა ზარმა ქრისტიანობის ხანაშიც არ დაკარგა თავისი დანიშნულება და „ღმერთთან დამაკავშირებელ“ საშუალებად დარჩა „სარეკელად ღვთისა“. ზარი ხევში გვიანამდე შემორჩა, როგორც დროშის შემადგენელი ნაწილი. რაიმე ღირსშესანიშნავი შემთხვევის დროს დროშა ხევისბერს ეპყრა ხოლმე ხელთ, როგორც უფლების ნიშანი. ჟღარუნის მეშვეობით იგი ხალხის, ღვთის ყურადღებას იპყრობდა და ამწყალობებდა. ხატისათვის ზარის შეწირვა უკანასკნელ ხანამდე გავრცელებულია საქართველოს მთაში[69]. მაგ., მთიანეთში ლომისობის დღეობისას, როცა ჯვარს სამყოფიდან სხვაგან „მიაბრძანებდნენ“ სალოცავად, წინ მიმავალ საწირავ ხარს, როგორც წესი, ზარს

---

[66] Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[67] Hans Möbius, დასახ. ნაშრომი, გვ. 156—166.

[68] დავით ალავიძე, ნიკოლოზ რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35—38.

[69] ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934, გვ. 34.

შეაბამდნენ და ზვარაკს და ზარსაც ხატს სწირავდნენ ხოლმე[70]. იყო შემთხვევები, როცა ზარს ხატს შეუთქვამდნენ და შეთქმულნი თვით ჩამოკიდებდნენ ზარაკს კისერზე საწირავს. როცა ხატობა დეკანოზთან მივიდოდა, იგი დამწყალობების შემდეგ ზარაკს ახსნიდა და ხატის ნიშში შედებდა[71]. დღესაც ხევში ხშირად ვხვდებით ზარებით შემკულ ხატებს და ქვაჯვარებს, ხშირად ზარები დროშაკზეა ჩამოკიდებული.

რაც შეეხება ყაზბეგური ზარების თარიღს, ანალოგიური მასალების მოშველიებით შესაძლებელი ხდება მათი შემდეგნაირი დათარიღება: დიდი ზომის ზარებისა — ძვ. წ. VII—VI სს., საშუალო ზომის ზარებისა — ძვ. წ. VII—III სს. რაც შეეხება წვრილ ზარაკებს, ისინი ახალი წელთაღრიცხვის დამდეგამდე ვრცელდება.

№ 23—29 — ყაზბეგიდან მომდინარეობს მცირე ზომის ანთროპომორფული ითიფალური ბრინჯაოს ერთნაირი დანიშნულების ქანდაკებები, რომლებიც მხატვრული დამუშავების მიხედვით ერთ წრეს ეკუთვნიან. ქანდაკებები რგოლების საშუალებით უკავშირდებიან ბრინჯაოს ძეწკვს. ქანდაკებათა შიშველ ფიგურებს, ერთი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ წელზე აქვთ მკაფიოდ გამოსახული სარტყელი და ფეხებზე ყელიანი ფეხსაცმელი აცვიათ. თავზე ხურავთ მომრგვალებული, ზემოდან ბრტყავ წვერაწეული თავსაბურავი. ერთი ქანდაკება უქუდოა. მას ხუჭუჭა თმა აქვს.

ქანდაკებები სტილის მიხედვით საერთო ნიშნებით განისაზღვრება. ისინი ცალ-ცალკე არიან ჩამოსხმულნი — ყალიბი არ მეორდება თითოეულს დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ორივე ხელი წინ გაწვდილი აქვს (ტაბ. VII, VIII).

მარცხენა ხელში, ორ შემთხვევაში კი მარჯვენაში, ქანდაკებას ყანწი უჭირავს. აღსანიშნავია, რომ მათ ერთი თითი ყანწის წვერზე აქვთ ამოდებული. სამ ქანდაკებას ზურგსა და სხეულის უკანა ნაწილზე ორმაგი ხვეული აქვს. ქანდაკებებს ფეხები ოდნავ მოხრილი და ქვევით ღერძით შეერთებული აქვთ. ყაზბეგში აღმოჩენილი ქანდაკებების სიმაღლეა —11-12 სმ. გამონაკლისს წარმოადგენს ორი მცირე ზომის გამოსახულება, რომელთა სიმაღლე 5—6 სმ-ია[72].

---

[70] დ. ალავიძე, ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35—38.

[71] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[72] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 128, სურ. 27 (a—b). შ. ამი-

მხოლოდ ერთი ღია ფერის ბრინჯაოსაგან დამზადებული ქანდაკება განსხვავდება დანარჩენებისაგან[73]. ქანდაკებას მაღალი კისერი, პატარა თავი და დიდი ყურები აქვს, სახეც ოდნავ სხვაგვარად არის გადმოცემული. თავზე ხურავს ქუდი, რომელსაც გარშემო რელიეფური ხაზები შემოუყვება; ასეთივე რელიეფური ხაზები გადადის ქუდის შუა ნაწილზე. ორივე ხელზე სამაჯური უკეთია, ტანზე გრეხილი ქამარი აქვს შემორტყმული, მკერდზე, ზურგსა და უკანა ნაწილზე კი სპირალური ხვიები ახლავს. მკერდზე ხვიები ვერტიკალურადაა განლაგებული. ქანდაკებას წელიდან ტერფამდე გველისებური ტეხილი ხაზი ჩასდევს. კეფასა და ზურგს აერთებს საკიდი ყუნწი, რომელშიც ჯაჭვია გაყრილი.

მამაკაცის ეს გამოსახულებანი საკიდებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ამის დამადასტურებელია ჯაჭვი, რომელიც თითოეულს ზურგზე მოთავსებულ ყუნწში აქვს გაყრილი. მაგრამ რა საგანთან იყო ეს საკიდი დაკავშირებული, ცნობილი არ არის. შესაძლოა, ეს ყანწისებური ფორმის ნივთზე მაგრდებოდა, შესაძლოა, უკავშირდებოდა რიტონს, ბუნიკს ან ბალდახინს ამკობდა. პარალელური მასალა ამ საკითხის გადაწყვეტაში საკმაო დახმარებას ვერ გაგვიწევს, რადგან ზუსტად ასეთი საკიდი ქანდაკებები ყაზბეგის გარდა, არსად არ არის ცნობილი, თუმცა გვხვდება ამა თუ იმ ნიშნით მათი მონათესავე სხვა ანთროპომორფული ქანდაკებები. ამათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ზეკარში 1913 წ. შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკება[74], რომელიც პირისახის

რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69. ყაზბეგის განძში შემავალ ნივთთა სიაში გ. ფ ი ლ ი მ ო ნ ო ვ ი, მხოლოდ ორ ბრინჯაოს ანთროპომორფულ გამოსახულებას მოიხსენიებს (იხ. Г. Д. Филимонов, О доисторической культуре..) დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია 7 ანთროპომორფული გამოსახულება; 6 ქანდაკება ისტორიულ მუზეუმში ინახება, კოლ. 75942, ხოლო ერთი — სახ. ერმიტაჟშია დაცული. П. С. Уварова, МАК VIII, სურ. 127, 128, ტაბ. XXI, სურ. 8. A. M. Tallgren, დასახ. ნაშრ., გვ. 129, სურ. (a—b); სურ. 26, გვ. 130 (a—b). შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1944, ტაბ. II 27, 28.

[73] ქანდაკება აღმოჩნდა 1872 წ. მიწის სამუშაოების დროს, დაცულია სახ. ერმიტაჟში, საბჭოთა აღმოსავლეთის განყოფილებაში, ერმიტაჟს გადასცა ფ. ბაიერნმა, Р. В. Кинжалов, Неизданная бронзовая статуэтка из Казбекского святилища. Сообщения Гос. Эрмитажа, VII, 1955.

[74] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფალოსის კულტი საქართველოში, მიმომხილველი, № 1, თბ., 1926.

გამოსახვის წესით, სიშიშვლით, ითიფალობით, ხელების მდგომარეობით, თითქმის ქუდითაც ყაზბეგურ ქანდაკებებს წააგავს. შ. ამირანაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ამ გამოსახულებას უფრო არქაული სტილის ნიშნები ეტყობა, ვიდრე ყაზბეგურს, მაგრამ ჩანს მხატვრულ ფორმათა ნათესაობა[75].

სახის მოყვანილობით ყაზბეგურ ქანდაკებებს ძლიერ ემსგავსება სამთავროში ძვ. წ. VII—VI საუკ. დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთზე შესრულებული ადამიანის სახის გამოსახულებები[76].

ითიფალობა აკავშირებს ყაზბეგის ქანდაკებებს მელაანში აღმოჩენილ ორ გამოსახულებასთან. ყაზბეგურისაგან განსხვავებით, ისინი შემოსილი არიან და იარაღიც — კახური ტიპის სატევარი — ასხმული აქვთ. საწესო ითიფალობა აქ უფრო აშკარად შეინიშნება. ქანდაკებები აღმოჩენილია საკულტოდ მიჩნეულ ადგილზე, სადაც სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალაა დადასტურებული. გამთხრელი კ. ფიცხელაური ამ ანთროპომორფულ გამოსახულებებს ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით ათარიღებს[77].

რამდენადმე უფრო განსხვავებული ტიპისაა კახეთში აღმოჩენილი, უხეშად ჩამოსხმული ორი ითიფალური ქანდაკება, მრგვალი, რქისებური შვერილით თავზე[78]. ამ ქანდაკებებს თან ახლდა ბრინჯაოს საკისრე რგოლი და წელშეზნექილი, საკმაოდ მასიური, ცხოველთა თავებით დაბოლოებული სამაჯური. ნ. ხოშტარია[79] ასეთი ტიპის სამაჯურებს ძვ. წ. V—IV საუკუნით ათარიღებს. ითიფალური ქანდაკება გვაქვს ბიჭვინთაშიც[80], მაგრამ მას რომაული ტანსაცმელი აცვია, აშკარად უცხოურ იერს ატარებს, თუმცა თავ-

---

[75] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1944, გვ. 69.

[76] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 1952, ტაბ. XXI, გვ. 89.

[77] კ. ფიცხელაური, კახური ტიპის სატევარი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, თბ., 1959, ტაბ. II; მისივე, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლები სოფ. მელაანთან, თბ., 1962 წ. (ხელნაწერი).

[78] ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტში. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

[79] Н. В. Хоштария, Древнее поселение в Даблагоми, Тб., 1941 рукопись.

[80] რ. რამიშვილი, ორი ქანდაკება ბიჭვინთიდან, მასალები საქ. და კავ. არქეოლოგიისათვის, ტ. III, გვ. 133.

ზე არსებული შვერილ-შპილი ადგილობრივ ქანდაკებებთან ახლოებს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ფალიური მამაკაცის ქანდაკება ბომბორის განძიდან. ის სავარძელში ზის, ყანწით ხელში. ასეთივე ტიპისაა ნ. პანტიუხოვის მიერ გამოქვეყნებული ქანდაკებები ანდიის ოლქიდან[81]. გამოსახულებები ტლანქად და უხეშადაა დამზადებული, ზოგ მათგანს ფეხები არც კი აქვს გამოყვანილი. თავზე ერთი ან ორი რქისებური შვერილი აქვთ, ხელები ყველას, ერთის გარდა, ზეაპყრობილი აქვს და სახე იმდენად სტილიზებულია, რომ ნიღბის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამგვარად, ყაზბეგურ გამოსახულებასთან მათ აკავშირებთ მხოლოდ ფალიურობა და ყანწი.

უამრავი ქანდაკება მომდინარეობს დაღესტნის სხვა ოლქებიდანაც. ა. იესენმა[82], ა. კრუგლოვმა[83], ი. მეგრელაძემ[84] დაღესტანში მუშაობის დროს შეკრიბეს ათეულობით ანთროპომორფული ქანდაკება — ბრტყელი, მრგვალი და ითიფალური; ზოგ მათგანს ხელები ზეაპყრობილი აქვს და თითები გაშლილი, ზოგიც დოინჯშემორტყმულია. ზოგიერთი ყაზბეგურ, ურარტულ და სირიულ გამოსახულებებს წააგავს. მაგ, დაღესტანში, სოღრატელში აღმოჩენილი ქანდაკება, კრუგლოვის აზრით, უახლოვდება ყაზბეგურს და მაღლა დგას ხელოვნების თვალსაზრისით. მას ა. კრუგლოვი ძვ. წ. V ს. ათარიღებს. დაღესტნური ქანდაკებების დიდი ნაწილი, უწესრიგოდ ჩაფლული, აღმოჩენილია საკულტო ბორცვებზე. თუ გავიხსენებთ, რომ კავკასიაში მიღებული იყო ქანდაკებების ჩაფლვა მიწაში განსაკუთრებული რიტუალის შესრულების დროს (მაგ., ვანის რკინის კაცი)[85], მაშინ გასაგები გახდება დაღესტანში გარკვეულ ბორცვებზე მათი ასეთი დიდი რაოდენობით არსებობა. მათი დათარიღება ძნელდება, ა. იესენი კი დიდ ქრონოლოგიურ

---

[81] Н. И. Пантюхов, О пещерных и позднейших жилищах на Кавказе. Тифлис, 1896, стр. 58, таб. XVI.

[82] А. А. Иессен, Арх. работы на р. Сулак Изв. ГАИМК, вып. 110, М.-Л., 1936.

[83] А. П. Круглов, დასახელებული ნაშრომი.

[84] И. Н. Мегрелладзе, Археологические находки Дидо., -А., -XV, 1951.

[85] საქ. ეთნოგრაფიულ სინამდვლეში მიღებული იყო რკინის ანთროპომორფული გამოსახულების შეწირვა სხვადასხვა წმინდანებისადმი. ამ გამოსახულებას მძევლებს უწოდებდნენ. თითქოს ადამიანის გამოსაყიდად მიეძღვნებოდა ხატს. საქ. არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 236, ტაბ. XXIII, ცნობა მოგვაწოდა ეთნოგრაფმა ნ. რეხვიაშვილმა.

საზღვარს ხაზავს ძვ. წ. I ათასწლეულიდან, ახალ წ. ა. I ათასწლეულამდე.

საინტერესოა სარაყამიშში აღმოჩენილი ქანდაკებები[86], რომელთაც სწავლობდა პროფ. ზახაროვი[87]. შ. ამირანაშვილი რქებიან და მოცეკვავე ქანდაკებებს ბერიკაობას და ყეენობას უკავშირებს. კავკასიის ბევრი ქანდაკებისაგან განსხვავებით, ყაზბეგური ქანდაკებები ურქოდაა გამოსახული და არც მოცეკვავეთა ნიშნები ახასიათებთ, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ რაღაც სარიტუალო წესს ასრულებენ. ამის მიხედვით, საეარაუდოა, რომ თუ თვით არ არიან ღვთაებანი, რაღაც საღვთო ცერემონიალის მონაწილენი მაინც უნდა იყვნენ, — ზენისებური ხვიები, რიტუალური სიშიშვლე, ითიფალობა, ხელში სასმისი — ყოველივე ამის მაუწყებელია. თუმცა ანთროპომორფულ ქანდაკებებს უშუალოდ არ ადგათ რქები, მაგრამ ნივთებზე, რომლებზედაც ისინი დგანან, ხშირად ცხვრის ან სხვა ცხოველის რქებიცაა გამოსახული. ეთნოგრაფი ჯ. რუხაძე[88] წერს, რომ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც მეცხვარეობა იყო განვითარებული, არსებობდა სალოცავი კოშკები, რომლებიც თითქოს ინახავდნენ წმინდა ცხვარს (გადმოცემით, ცხვარი მარტო შესაწირავი ცხოველი კი არ იყო, არამედ ღვთაებასაც განასახიერებდა), ცხვარი — ორაკული თავის ნება-სურვილის სხვადასხვა ნიშნით წინასწარმეტყველებდა. ამ გარემოებას თვალყურს ადევნებდნენ ხატის მთავარი მსახური და „წმინდა კაცები“. თუ ცხვრის გამოსახულების წინაშე სრულდებოდა სადღესასწაულო ცერემონიალი, ღვთაების (ხატის) წინაშე ვერცხლის ჭურჭელში ჩასხმული ღვინო იდგმებოდა. ამავე დროს იწყებოდა ხატიონისაკენ მსვლელობა მუხლმოდრეკილი „წმინდა კაცებისა“, რომელთაც წინ ხვდებოდნენ ხატიონი (მსახურნი). ამ უკანასკნელთან მიახლებისას „წმინდა კაცები“ ფეხზე დგებოდნენ, ადიდებდნენ ღმერთს, სვამდნენ ხატიოთაგან შეთავაზებულ ღვინოს და ხატს წირავდნენ ფულს. ყაზბეგის რაიონში ცხვრის გამოსახულება — ხატები — უკა-

---

[86] С. В. Безсонов, Бронзовые статуэтки из Саракамыша, Изв. Инта наук и Искусств Арм. ССР., Ереван, 1929.

[87] А. Захаров. Кавказ, Малая Азия и Эгейский мир. Труды секции Арх. НИИ арх. и искусств, № 2 1928 г.

[88] ჯ. რუხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, სადისერტაციო ნაშრომი, 1954 წ. (ხელნაწერი).

ნასკნელ ხანებამდე არსებობდა. ა. ბობრინსკი[89] და ს. მაკალათია[90] ადასტურებენ ასეთი სალოცავი ხატის არსებობას სოფ. ცდოში, ხოლო ა. კრუგლოვი[91] წერს, რომ სოფ. ყაზბეგში ქვების გროვაში აღმოჩნდა ანდეზიტისაგან დამზადებული ცხვრის ქანდაკება. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი ყაზბეგური ქანდაკებებიც ასევე ხატს „ემსახურებოდნენ“. ქანდაკებათაგან, როგორც ითქვა, ზოგიერთს ახლავს ზენური ხვიები, რომელიც მზის კულტს უკავშირდება. ცხვრის ღვთაებასაც მზის კულტს უკავშირებენ.

არ არის გამორიცხული, რომ ყაზბეგური ქანდაკებები ოჯახში ინახებოდა, როგორც კერის ღვთაებანი.

აკად. ნ. ბერძენიშვილი ჭაჯვზე ჩამოკიდებულ მამაკაცის ქანდაკებაში ე. წ. ხატის მონებს ხედავს[92].

ე. კრუპნოვი, წერს, რომ ჩრდ. კავკასიაში ჯერ კიდევ ახლო წარსულში ოსები, ჩერქეზები, ყაბარდოელები საეკლესიო დღესასწაულის დროს ხატებთან არა მარტო სანთლებს ათავსებდნენ, არამედ ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილის სპილენძის ან ვერცხლის ქანდაკებას — ავადმყოფი სხეულის სიმბოლოს, თან შესთხოვდნენ ავადმყოფის ან სხეულის დავადებული ნაწილის გამრთელებასა და გაჯანსაღებას[93].

შტანდარტები ან ბუნკის ბოლოები

ყაზბეგის განძში, შედის ჯგუფი მეტად თავისებური ნივთებისა, რომელთა დანიშნულება დღემდე საბოლოოდ დადგენილი არ არის; გ. ფილიმონოვი[94] და პ. უვაროვა[95] მათ ბუნიკის თავებად თვლიან ა. ტალგრენი[96] — ზარდამჭერს უწოდებს, ხოლო გ. გობეჯიშვილი[97] — დროშის თავად მიიჩნევს. აღნიშნული ნივთები მეტ-

---

[89] А. А. Бобринский, ОАК, за 1888 год, таб. CC... XXIX, 84,

[90] ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934.

[91] А. П. Круглов, Археологические работы на р. Терек, С. А. т. III. М.-Л., 1937.

[92] განსვენებულმა აკადემიკოსმა ეს მოსაზრება გამოთქვა კერძო საუბრის დროს.

[93] Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, 367.

[94] Г. Д. Филимонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

[95] П. С. Уварова, МАК VIII, გვ. 148, 150.

[96] А. М. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 153, 123, 124, 125.

[97] საქართველოს არქეოლოგია (სახელმძღვანელო), 1950, გვ. 202.

ნაკლებად დაზიანებულია, მაგრამ მათი თავდაპირველი სახის აღდგენა ხერხდება. თითოეულის შუა ნაწილში მოთავსებულია მთკლე მილი, რომლის ბოლოზე ნაპირიდან ნაპირამდე გადადის ჩამოსაკიდებელი ყურისებრი რკალი, ხოლო გვერდები გამჭოლადაა გახვრეტილი მანჭვლის გასაყრელად. მილის კედლებიდან გამოდის ცხოველთა თავებით დაბოლოებული ორ-ორი ან ოთხ-ოთხი შვერილი. ყოველ ქანდაკებას ჰკიდია გვერდშეჭრილი ზარი.

№ 30, 31, 32 — შტანდარტები, რომელსაც ახასიათებს ოთხ-ოთხი შვერილი, ბოლოვდება სამ სართულად განლაგებული ჯიხვის თავებიდან შემდგარი ქანდაკებებით. თითოეულ შტანდარტს ოთხი ასეთი მწკრივი აქვს. სულ ზედა ჯიხვის თავზე აღმართულია კვერთხიანი ან ლახტოსანი მამაკაცის შიშველი გამოსახულება. ადამიანის ქანდაკებისათვის დამახასიათებელი, სხეულის ნაწილების დისპროპორცია. ტანთან შედარებით დიდი თავი, თვალები ზომაზე მეტად გამობურცული, მხრები და ხელები უკუნთო, ხოლო ისედაც წაგრძელებული ნიკაპი გრძელი წვერით დაფარული (ტაბ. IX, სურ. 1,2.)

. თავსაბურავი და ტანსაცმელი ქანდაკებებზე არ შეიმჩნევა, ფეხებზე კი თითქოს დაბალყელიან ჩექმებს ვხედავთ, მაგრამ, შესაძლოა, ისინი მხოლოდ უბრალო საწვივეები იყოს, რადგან ფეხის ტერფებზე მოჩანს დანაწევრებული თითები. სახით ქანდაკებები მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უფრო მეტი განსხვავებაა იმ იარაღში, რომელიც ხელთ უპყრიათ მათ. ერთი შეიარაღებულია კვერთხისებური თუ ლახტისებური (ტაბ. IX, 2) ორი კი ჩაქუჩისებური იარაღით[98]. (ტაბ. IX, 1).

№ 33, 34 — ორშვერილიანი შტანდარტები უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალნაირია. მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს

---

[98] სამშვერილიან ბუნიკის ბოლოთაგან ერთი დაცულია მოსკ. ისტ. მუზეუმში (გამოფენა), მეორე — ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმში დაშლილი სახით № 2—02—177, 178, 179 (ა) ანთროპომორფულ გამოსახულებიანი ერთი მწკრივი ინახება სახ. ერმიტაჟში, 1731/167 გამოქვეყ. П. С. Уварова. Г. Радде, Коллекции Кавказского Музея. 1902, ტაბ. II, გვ. 13/61. П. С. Уварова, МАК VIII, გვ. 144, სურ. 124, ტაბ. XX(1). დასახ. ნაშრომი, გვ. 123, სურ. 12, 13. შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 10 (24, 25), ტაბ. 13 (34);

მილის ზომები. ერთ შემთხვევაში მილი ცილინდრულ მოყვანილობას კარგავს და ბოლოში ფართოვდება[99] (ტაბ. XI, 5). მეორე შემთხვევაში ცილინდრი ცალი მხრიდან დახშულია და ბოლოვდება ორი განსაკუთრებული გულმოდგინებით დამუშავებული ცხვრის თავით, რომელთა დრუნჩი მკვეთრად არის მოხაზული, რქები ლამაზად გადაგრეხილი, თვალები ამობურცული, თავის სიგანე 3,3 სმ-ია სიგრძე — 2,5 სმ². როგორც ჩანს, ეს ნივთი ბუნიკის თავს წარმოადგენდა (ტაბ. XI, 2).

№ 35, 36, 37, 38, 39 — მოკლე ცილინდრიანი ბუნიკის ბოლოებზე ცხვრის თავები შედარებით პრიმიტიულად არის შესრულებული: ერთგან ცხოველს რქები რამდენჯერმე აქვს გადაგრეხილი, დრუნჩი ბოლოში თითქოს წაკვეთილია, ზოგიერთ მათგანს შუბლზე კოპი აზის[100] (ტაბ. XI, სურ. 3—5). მეორე შემთხვევაში ცხვარს აქვს უფრო ჩამოგრძელებული დრუნჩი, რომელიც ბოლოში ზარის ჩამოსაკიდად განკუთვნილი ნახვრეტით ბოლოვდება. ცხვრის თავი აქაც სტილიზებულია. მრავალგზის გადაგრეხილ მძლავრ რქებზე კომპოზიციურად განლაგებულია შიშველი, გრძელწვერა, თავსაბურავიანი მამაკაცების ქანდაკებები (ტაბ. XII, 1, 2, 3.) ზარდამჭერები დაზიანებულია, ამიტომ ყველა სურათის გარჩევა არ ხერხდება[101]. ერთ შემთხვევაში მამაკაცს მარცხენა ხელი ადამიანისათვის თავში ჩაუვლია, მარჯვენათი კი დიდი, მოხრილი დანა მსხვერპლისათვის ყელზე მიუბჯენია; მხრებსა და მუხლებში მოხრილი მსხვერპლი მორჩილად დგას, ერთი ხელი მუხლზე დაუყრდნია, ხოლო მეორე — კისერთან აქვს მიტანილი. (ტაბ. XII, 3).

მეორე სურათზე ვხედავთ ჩანგზე დამკვრელ მამაკაცს, რომელსაც ერთი ხელი საკრავის ბოლოზე აქვს წავლებული, მეორეთი — სიმებს ეხება. იგი თითქოს ცხვრის რქებზეა ჩამომჯდარი.

---

[99] მოსკოვის ისტ. მუზ. ფონდები 75942.

[100] დაცულია საქართ. სახელ. მუზეუმში $\frac{2—02}{9/185}$ Коллекция Кавказского музея, V. 1902, таб. II, A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 125, სურ. 17.

[101] მოკლეტანიანი ნივთები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში $\frac{2—02}{7/189}$, $\frac{2—02}{7/182}$.

П. С. Уварова, Г. Радде. Коллекция Кавказского музея, III.

ამავე შტანდარტის მეორე მხარეზე გამოსახულია ფარიანი მამაკაცი, რომელიც თითქოს ნახტომისათვის ემზადება[102] (ნივთი ნაკლულია). პირველი ფიგურის სიმაღლე 3 სმ-ია, საერთო სიფართე ნივთისა 9,5 სმ, ცხვრის თავის სიგრძე — 3 სმ, რქების — 4 სმ, (ტაბ. XII, 1).

მესამე შტანდარტზე ქანდაკებები ძალზე დაზიანებულია, რის გამოც ამჟამად მათ შესახებ მსჯელობა მხოლოდ ფოტოსურათის მიხედვით ხერხდება[103]. ნივთის ერთ მხარეზე. ერთი მეორის უკან ორი მამაკაცია გამოსახული, პირველი უფრო დაბლა დგას, წელში მოხრილია, კისერზე გამობმული აქვს თოკი, რომელიც უკან მდგომ მამაკაცს მხარზე გადაუდის. უკან მდგომს მარცხენა ხელში ფარის მსგავსი ნივთი უჭირავს და ზურგზე რაღაც ტვირთი აქვს წამოკიდებული. დაახლოებით, ასეთივე სურათი (ნაკლული) ყოფილა გამოსახული ნივთის მეორე მხარეს. აქაც ფარიან მამაკაცს ხელზე ბაწარგამობმული წვეროსანი მიჰყავდა, ბაწარი უკან მიმავალ ფარიანს წელში ერტყმოდა და შემდეგ კვლავ წინა ადამიანის ხელს უკავშირდებოდა. (ტაბ. XII, 1).

№ 40 — ერთ-ერთ შტანდარტზე წყვილი მხედრის ქანდაკება დგას. მხედარიც და ცხენიც მარტივად, მაგრამ რეალისტურად არის გადმოცემული. ადამიანის ქანდაკება იერით ზემო აღწერილთაგან თითქოს რამდენადმე განსხვავდება. სალტის რკალზე ზარია წამოკიდებული. მხედრის სიმაღლე — 2,8 სმ-ია, რქების სიგანე — 3,7 სმ, ცხვრის თავის სიგრძე — 3,9 სმ, შემორჩენილი ნაწილის სიგრძე — 3,1 სმ, სიმაღლე — 3,8 სმ.[104] (ტაბ. XIII სურ. 1).

№ 41 — ეს ნიმუში განსხვავდება ყველა ზემოხსენებული შტანდარტებისა და ზარსაკიდებისაგან. შვერილი აქ ცხვრის თავე-

---

[102] ნივთი გამოფენილია საქ. სახ. ისტ. მუზეუმში, შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 15, (49, 53) П. С. Уварова, VIII, ტაბ. XXI, 6.

[103] ნივთი დაცულია საქ. სახ. მუზეუმში $\frac{2—02}{4/180}$ დასახ. ნაშრ. გვ. 127, სურ. 23—24; შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 15/51.

[104] ინახება სახელმწიფო ერმიტაჟში, კოლ. 1731, 130 (168) ყოფილი ოლშევსკის კოლექცია.

ბითა და ცხოველის ორ-ორი წინა ფეხით ბოლოვდება. როგორც ფეხებზე, ისე რქებზე ქანდაკებებს თითო ნახვრეტი აქვს, რაც, ალბათ, ზარის ჩამოსაკიდებლად იყო განკუთვნილი. ცხვრის რქები დაღარულია ხაზებით. ნივთის სიგანე — 13, 2 სმ-ია, სიმაღლე — 5,5 სმ, რქების სიგანე-8 სმ, მილის სიგრძე — 1,7 სმ[105].

№ 42 — ბუნიკისა[106] თუ კვერთხის თავი. იგი ჩაქუჩის ფორმისაა, გვერდებშეჭრილი, ყღარუნასებური ბურთულებით დაბოლოებული. ტარის დასაგებ მილში ხის ნაშთია შემორჩენილი. მილის სიგრძე — 9 სმ-ია, სიგანე — 18 სმ. ასეთივე ფორმის ნივთი ხელთ უპყრია სამ წყებად განლაგებულ ხარის რქებზე მდგომ ანთროპომორფულ გამოსახულებას (ტაბ. XI, 1).

საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის მასალებში მრავლად გვხვდება ზარის დასამაგრებელი ნივთები, მაგრამ ზუსტი ანალოგები ყაზბეგურ ნივთებს თითქმის არ მოეპოვებათ. მათთან ყველაზე ახლოს დგას ახალგორში აღმოჩენილი ბრინჯაოს შტანდარტი[107], აგრეთვე ყანჩაეთში მოპოვებული, ბრინჯაოს ჭვირული შტანდარტი[108]. ეს ნივთები მის შემცველ კომპლექსებთან ერთად ძვ. წ. V საუკ. თარიღდება[109] და სარიტუალო დანიშნულების ნივთთა ჯგუფს მიეკუთვნება[110].

ს. ბარნაველი ყაზბეგში აღმოჩენილ ამ ნივთებს ასურულ, კერძოდ, კაპადოკიურ დროშებს უახლოებს[111], მაგ., ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ლურისტანულ ალმებს. როგორც ს. ბარნაველი აღნიშნავს, ასურულ დროშებზე ღვთაების სადგარი არის ხარი, ხოლო ლურისტანულზე — ჯიხვის რქები. ასურულ დროშებზე გამოხატული ღვთაება მზის სიმბოლოებთან კავშირშია და ამი-

---

[105] ყაზბეგის განძში შემავალი მეორე ჯგუფის ზარსაკიდები 10 ცალია. ამათგან გ. ფილიმონოვის მიერ აღმოჩენილია სამი ზარსაკიდი, რომელზედაც ადამიანის ყელის გამოჭრის სურათია და ორიც უგამოსახულებო ზარდამჭერია (დანარჩენები კერძო კოლექციებიდანაა შემოსული).

[106] დაცულია მოსკოვის ისტ. მუზეუმში № 75942. გამოქვეყ. A. M. Tallgren დასახ. ნაშრომი, გვ. 148, 123, სურ. 15.

[107] Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ. № 94, გვ. 59—61.

[108] ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან 1964, გვ. 43, ტაბ. V.

[109] ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

[110] ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[111] ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953, გვ. 6;

ტომ ბუნების ძალების ღვთაებად არის მიჩნეული, ლურისტანულ დროშებზე კი გილგამეშია, რომელიც ასევე მზის კულტს უკავშირდება.

ყაზბეგურ ჯიხვებთან შტანდარტზეც ადამიანის გამოსახულებებია მოცემული, რომლებიც ასევე ნაყოფიერების, მზის ღვთაებას უნდა დავუკავშიროთ.

უეჭველია, რომ მილი ანუ სალტე განკუთვნილი იყო ხის ბუნიკისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი მასში ჩაერჭობოდა ზემოდან. გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ისინი განკუთვნილი იყო დროშის ტარის ბოლოზე წამოსაგებად. ისიც დასაშვებია, რომ ზოგი მათგანი ზემოდან გაყრილი ბუნიკის მეშვეობით ჩამოკიდებულია სახლის ჭერზე ან კერასთან, მსგავსად სვანურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ცნობილი სანათურებისა[112] (ლამტვარალები).

ი. გოგოშიძე შტანდარტს ხის ბოლოზე დასამაგრებელ ნივთად თვლის, რომელიც ხელში უნდა სჭეროდათ და მას საქართველოში გადმონაშთის სახით შემორჩენილ დროშებს უკავშირებს[113].

საყურადღებოა სამწყებად განლაგებულ ჯიხვის რქებზე მოთავსებული ქანდაკებები. სამი ქანდაკება ძირითადად განსხვავდება სხვა ყაზბეგური ქანდაკებებისაგან, მაგრამ საერთო მდგომარეობით, ხელების მოხრილობითა და ითიფალობით მათ შორის კავშირი იგრძნობა. ა. ტალგრენი ამ ქანდაკებათა პარალელებს სამხრეთში, კერძოდ, აზიურ-სირიულ სამყაროში ეძებს[114]. ზოგჯერ ძირითადი ნიშანი, რომელიც ყაზბეგის კერპებს აზიურ მასალებთან აახლოებს, არის შებრტყელებული სხეული, მომრგვალებული ხელები, ტანთან შედარებით არაპროპორციულად დიდი თავი, წაგრძელებული სახის ნაკვთები, წინ წამოწეული ქვედა ყბა, ფართო ცხვირი, გრძელი წვერი, იდაყვში მოღუნული მკლავები და მკვეთრად წინ გაშვერილი ხელები, რომლებშიც კვერი ან კვერთხი უპყრიათ. სირიულ კერპებს ყაზბეგურისაგან განასხვავებს გრძელი თმები და წელზე შემორტყმული ფართო სარტყელი; სირიულებს ითიფალობა არ ახასიათებთ, წელს ქვემოთ შემოსილნი

---

[112] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, გვ. 68.

[113] ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[114] A. M. Tallgren, Caucasische Anthropomorphe Figuren und der Vorderasiatische, Jpek, Berlin, 1930, გვ. 48—65.

არიან. უძველესი ჯგუფი სირიულ-აზიური კერპებისა ძვ. წ. 1400—1200 წწ.-ით თარიღდება[115].

შ. ამირანაშვილი ფიქრობს, რომ ყაზბეგში აღმოჩენილი, სართულებად განლაგებული ხარის რქებზე აღმართული გამოსახულება დაკავშირებული უნდა იყოს ოჯახის, კერისა და სამჭედლო ჭურის მფარველის კულტთან. მისი აზრით, ეს არის კვერით აღჭურვილი მჭედლობისა და ხელოსნობის მფარველი ღვთაება აფხაზების მიერ — შაშად, ხოლო სვანების მიერ — სოლონად წოდებული, რომელიც უთუოდ ქართველ ტომთა უძველესი ღვთაების თეშუბის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. ეს მოსაზრება მყარ საფუძველზე დგას, რადგან სავსებით დასაშვებია, რომ მეტალურგ ქართველ ტომებს ასეთი ღვთაება ჰყოლოდათ[116].

ყაზბეგური ქანდაკება, აგრეთვე ოდნავ წაგავს ყობანურ მამაკაცის ქანდაკებას, რომელიც ხარ-ირემის თავზეა მოთავსებული, მას ცხოველის რქებისათვის ჩაუვლია ხელი[117].

ამგვარად, ყაზბეგური ნივთების მიკუთვნება დროშისადმი ხერხდება მათზე ჩამოკიდებული ზარების მიხედვითაც, რადგან ეს უკანასკნელები, როგორც ცნობილია, მთაში დღემდე შემორჩენილი საკულტო დროშების აუცილებელი ნაწილია. რაც შეეხება რქებს, ისინი ღვთაებრიობისა და განსაკუთრებული სიძლიერის სიმბოლოდაც იყო მიჩნეული. მოკლული ცხოველის რქების შენახვა დღემდე მიღებულია კავკასიის მთაში. რქების შეწირვა ხატისათვის გავრცელებულ ჩვეულებას წარმოადგენდა. მაღალი რქები ცასთან დამაკავშირებელ-დამაახლოებელ სიმბოლოდ გაიაზრებოდა და ამიტომ რქებზე გამოსახვა განსაკუთრებული პატივის ნიშანი იყო.

აკიბული ჯიხვისა და ხარის თავებზე მდგომი მამაკაცის ითიფალური ქანდაკებანი წარმოადგენენ საწირავ ცხოველთა და ადამიანთა ამაღლებისა და კვლავ განახლების წარმოსახვას. ქართულ ხალხურ საწესო რიტუალებში ხორუმი, ზემყნური ქორ-ბეღელა განასახიერებს ზეაღსვლას, ამაღლებას ღვთის მოსილების მისაღებად. ამავე იდეას ემსახურება წარმართობისა და შემდეგ ქრის-

---

[115] A. M. Tallgren, The Kazbek Treasure, E S A, V, Helsinki, 1930 გვ. 161.

[116] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, გვ. 68.

[117] П. С. Уварова, VIII, ტაბ. XV.

ტიანობის პერიოდის სალოცავების მოწყობა მაღალსა და ცადაზიდულ გორებზე. ამავე ხასიათისა იყო სხვადასხვა ცხოველის „თავრიელით“ საბლის სვეტებისა და წინა შუბლის მორთვის ჩვეულება[118].

ამ ქანდაკებების თარიღის დადგენა პარალელური მასალის სიმცირის გამო, ძნელია. ამ საკითხის კვლევისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ზარებს, რომლებიც ამკობს ამ საგნებს. ასეთი ტიპის ზარები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ. წ. VII, VI, V სს-ის სამარხებში, არდასუბანში[119], ბრილში[120] და სხვ.

მცირე ზომის ბუნიკის ბოლოებზე მოცემული ქანდაკებები კომპოზიციურადაა განლაგებული. ერთ-ერთ ზარდამჭერზე დაცულია ჯგუფი ქანდაკებებისა, რომელზედაც გრძელწვერა მამაკაცი დიდი მოხრილი დანით თავს ჭრის ადამიანს.

აქ ან ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალია, ან ტყვის სიკვდილით დასჯასთან უნდა გვქონდეს საქმე (ტაბ. XII, სურ. 3).

ამგვარივეა მეორე ნივთი[121].

იმავე ზარდამჭერის მეორე მხარეზე მოცემული ყოფილა ორი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი[122], რომელიც თითქოს დატყვევების სურათს გადმოსცემდა

ამ ჯგუფის ქანდაკებების მსგავსი გამოსახულებანი ნაკლებად არის ცნობილი. ა. ტალგრენი ყაზბეგის ხსენებულ ქანდაკებებს ყუბანში, სტანიცა ცარსკაიაში (ახლანდელი ნოვოსვობოდნაია) აღმოჩენილ ფიგურებს ამსგავსებს[123]. მათი მსგავსება ყაზბეგურ გამოსახულებებთან პირობითია. ყაზბეგური ქანდაკებები ყველაზე ახლო ნათესაობას ახალგორული ბუნიკის ბოლოებთან ავლენენ. გამოსახულებანი ერთსა და იმავე ნივთზეა წარმოდგენილი, მაგრამ ახალგორული ქანდაკებები გაცილებით უფრო სტილიზებულია.

---

[118] დ. ალავიძე, ნ. რეხვიაშვილი, ჩანგი, საბჭოთა ხელოვნება, 1964, № 6, გვ. 35—38.

[119] ნ. თუშიშვილი, არაქეოლოგიური ძეგლები სოფ. არდასუბნიდან, 1962 წ., (ხელნაწერი).

[120] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. XIII, XVII.

[121] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, $\frac{2—02.}{8}$.

[122] დღეისათვის ნივთი დაზიანებულია და ქანდაკებები მომტვრეულია. ქანდაკებების ფოტო. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944.

[123] OAK. 1898, გვ. 83, სურ. 110.

ბ. კუფტინის აზრით, აღნიშნული ყაზბეგური ქანდაკებები ერთგვარ ანალოგებს პოულობენ კვიპროსისა და კიკლადების ტერაკოტებთან, რომლებიც წინაელინურ სამარხებშია აღმოჩენილი[124]. მაგრამ ტერაკოტების სცენები საყოფაცხოვრებო სიუჟეტებზეა აგებული, ხოლო კავკასიურ ქანდაკებებში საგმირო სიუჟეტებია გადმოცემული. ბერძნულ სამყაროსთან აახლოებს ყაზბეგურ ქანდაკებებს საკრავი ინსტრუმენტი, რომელიც ჩანგს მოგვაგონებს. ჩანგიანი გამოსახულებები ხშირია ბერძნულ ქანდაკებათა შორის, როგორც არქაულ პერიოდში, ისე შემდგომშიაც. მაგ., ჩანგიანი ეროტი, მარმარილოს ქანდაკება ქნარზე დამკვრელი მამაკაცისა — კუნძულ კეროსიდან[125]. ასეთივე თიხის ქანდაკება აღმოჩნდა უფლისციხეში, ნამოსახლარ ბორცვზე ძვ. წ. VII—VI საუკუნეთა ფენაში. ქანდაკება განასახიერებს გრძელწვერა მამაკაცს, ჩანგისებური საკრავით ხელში[126]. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხის ჩანგს აშურბანიპალის სასახლეში (ნინევიაში) ერთ-ერთ ბარელიეფზე (ძვ. წ. VII ს.) მოცემულ ჩანგს ადარებს[127]. ჩანგი უძველესი ქართული საკრავია, რომელიც გამოირჩევა ნაზი სასიამოვნო ჟღერადობით. ქართულმა ლიტერატურამ და ისტორიულმა წყაროებმა (ვეფხისტყაოსანი, ქართლის ცხოვრება), მხატვრულმა ძეგლებმა შემოგვინახა ამ საკრავის რამდენიმე სახე. ძირითადად ორნაირი ჩანგია ცნობილი — დასადგმელი (დიდი) და ხელში დასაჭერი (პატარა). ყაზბეგური საკრავი ხელში დასაჭერი პატარა ჩანგის წინა სახედ არის მიჩნეული[128]. ყაზბეგურისა და უფლისციხის აღმოჩენები მოწმობს, რომ ადრეანტიკურ ხანაში ჩანგისებური საკრავი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ყოფილა გავრცელებული. ყაზბეგის გამოსახულება აშკარად ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს. ამის ერთ-ერთი მანიშნებელია კომპოზიციის ზოგიერთი დეტალი, კერძოდ, მოხრილი სამსხვერპლო დანა (ტაბ. V, სურ. I), რომლითაც ერთი მამაკაცი თავს ჭრის მეორეს. ასეთი დანები, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ძლიერ გავრცელებული იყო ძვ. წ. VII

---

[124] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. 1, 1949, გვ. 245—246.

[125] Б. А. Куфтин, იქვე, გვ. 247.

[126] საქართ. ხელოვ. მუზეუმი, დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, 1964, გვ. 74, სურ. 3.

[127] იქვე.

[128] დ. ალავიძე, ნ. რეხვიაშვილი, ჩანგი, საბჭოთა ხელოვნება, № 5, 1964.

საუკუნიდან კავკასიის ტერიტორიაზე. ბუნიკის ბოლოებსაც ანუ შტანდარტებსაც რომლებზეც ეს გამოსახულებებია წარმოდგენილი, მოეპოვებათ თავისი ანალოგიები კავკასიაში ახალგორის, ქაბუნთისა და ეშერის ბუნიკისთავების სახით.

ამგვარად, ყაზბეგური ჯგუფის ქანდაკებებისათვის დამახასიათებელი ფალიურობა და სიშიშვლე ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო სურათების გადმოცემას გამორიცხავს; უფრო საფიქრებელია რომ ჩვენ საქმე გვაქვს მითურ ამბებთან, რომლებშიც ღმერთები იღებენ მონაწილეობას; შესაძლებელია ავი და კეთილი სულების ბრძოლაა წარმოდგენილი, ან რაიმე დღესასწაულის მსვლელობაა ასახული, როგორიც არის ბრძოლის იმიტაცია, დატყვევება, მსხვერპლის შეწირვა, ზეიმი და სხვ.

ეთნოგრაფი ნ. რეხვიაშვილი განიხილავს რა ჩანგიან ყაზბეგურ ქანდაკებას, ცდილობს მეცნიერულ საფუძველზე ახსნას მათი შინაარსი[125]. მისი აზრით, აქ მოცემულია ყელზარაკიანი ზვარაკის შეწირვისას ღვთის სადიდებელი ჰიმნის საკრავით შესრულების მომენტი. ერთ მამაკაცს ჩანგი უპყრია ხელთ, მეორეს — შესაძლოა — წინწილა (ურთიერთსახლელი თეფშები). ამგვარად, ზარი, მასზე წარმოდგენილი რქადახვეული ვერძის „თავრიელისა“ და ჩანგ-წინწილას დამკვრელი მამაკაცის ქანდაკება შეკრულია ერთიანი საწესო სიუჟეტით და განასახიერებენ რიტუალურ ცერემონიალს.

ზარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი იყო. მაგალითად, „ლომისის დღეობისას“, როდესაც „ლომისის ჯვარს სამყოფიდან მთიულეთ-ქსნის საზღვარზე მიაბრძანებდნენ სალოცავად, „ხატიონნი“ შემდეგი თანრიგით მიემართებოდნენ: წინ მიდის „მოიაზმე“ ხევისბერი. იგი ნათლავს გზას, მას მიყვება „მეზარე“ ხევისბერი; რომელიც ზარს რეკავს და ამცნობს ხალხს „ხატიონის“ მსვლელობას. მესამე წყებად მიდის — „მებაირახტრე“ ხევისბერი, რომელიც დროდადრო იცვლება ხატის სახელით. შემდეგ მიდიან მეკულუხე და მედროშე ხევისბერები, რომელთაც სამწყებად დაწყობილი „მომღერალნი“ (მგალობელნი) და მედღეობე ხალხი მისდევს თან. ზოგიერთი ხატობისა და ჯარაობისას მომღერალ-მგალობელთ თან ახლდათ მესაკრავენი და სადიდებელ ჰიმნებს ასრულებდნენ. მაგ., ალავერდობის დროს თეთრებში შემოსილი შემწირველი წინ მიუძღოდა საწირავ ხარს, რომელსაც ყელზე შებმული ჰქონდა

---

[125] დ. ალავიძე, ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35—39.

ზარი. მას უკან მიყვებოდნენ მესაკრავენი, ნათესავები და სხვა ოჯახის ახლობლები პირები, ზვარაკს იმ ხატისა და ჯვარის სახელს უწოდებდნენ, რომელსაც სწირავდნენ. ამ ცხოველის ყელნაბამი ზარები სალოცავის კარებზე რჩებოდა, როგორც ხატის განძი[130].

ამგვარად, შესაძლოა სწორედ მსხვერპლის შეწირვის სურათები და მათთან დაკავშირებული რიტუალებია მოცემული ყაზბეგურ შტანდარტებზე.

ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში აღმოჩენილი დიდი რაოდენობით ზარები, სწორედ ამ ცნობის მეშვეობით პოულობენ ახსნას.

აქვე უნდა მოვიტანოთ საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვით ალბანელები თავის ღვთაებას მსხვერპლად წირავდნენ ადამიანს. რომელსაც ტყეში იპყრობდნენ და ჯაჭვგამობმული მიჰყავდათ სამსხვერპლოში; აქ თურმე ერთი წელი ჰყავდათ და შემდეგ ღვთაებას მსხვრეპლად წირავდნენ[131]. შესაძლოა ტყვის მსხვრეპლად შეწირვის წესი ჩვენშიც იყო გავრცელებული, რომლის მხატვრული გადმოცემა უნდა დავინახოთ ყაზბეგურ სიუჟეტებში.

ყაზბეგის განძში წარმოდგენილია საინტერესო ფორმის ირმის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდები[132].

№ 43—58: ბრინჯაოს გამოსახულების ტანი დამზადებულია შუაში გაღუნული ბრინჯაოს ფირფიტისაგან. თავი და კისერი მასიურია. თითოეულს განტოტვილრქებიანი თავი მაღლა აქვს აწეული: რქებქვეშ ჩანს პატარა ყურები, თვალები რელიეფურადაა გამოყვანილი, პირი ხან ოდნავ, ხან ძლიერადაა გახსნილი. ზურგზე საკიდი ყუნწი აქვს. მასში ჯაჭვი ყოფილა გაყრილი, რომლის ნაგლეჯებია შემორჩენილი (ტაბ. XIV 1,2).

აღნიშნულ ქანდაკებათა შორის განირჩევა ორი ტიპი. ერთი ტიპი ზომით უფრო პატარაა — 8—9 სმ (რქებითურთ 18 სმ)[133],

---

[130] დ. ალავიძე, ნ. რეხვიაძვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 55—58.

[131] სტრაბონი, გეოგრაფია X, 1, 7. თ. ყაუხჩიშვილის რედაქციით თბ., 1957, გვ. 134.

[132] გ. ფილიმონოვის მიერ აღმოჩენილი იყო 10 ქანდაკება, რამდენიმე ცალი ამავე ადგილზე მოპოვებული კერძო კოლექციებში აღმოჩნდა. ა. ტალგრენი 15 ასეთ ქანდაკებას აღწერს.

[133] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები $\frac{2—02}{32/208}$; $\frac{2—02}{33/209}$ სახელმწიფო ერმიტაჟი, ოლშევსკის კოლექცია, 181.

პირი წაგრძელებული და ოდნავ გაღებული აქვთ; შეტყუპებული ფეხები სქემატურია, სახსრების აღუნიშნავად გამოკვეთილი (ტაბ. XIV, 1).

მეორე ტიპის ქანდაკებები უფრო დიდი ზომისაა. სიმაღლე — 24 სმ, სიგანე — 11—12 სმ[134]. ისინი, თითქოს, უფრო მეტი მონდომებითაა დამუშავებული. ირემს გრძელი დრუნჩი აქვს, პირი დაღებული და ერთ შემთხვევაში თითქოს კბილებიც შეინიშნება. თვალები რელიეფურია, უმეტესობას ასაკის მაჩვენებელი ღაბაბიც ემჩნევა. მომრგვალებული ტანი არაპროპორციულია (ტაბ. XIV, 2).

ამ ჯგუფის ქანდაკებებს ძალზე კარგად გამოკვეთილი ორი ფეხი აქვს, შეიმჩნევა ჩლიქები და სახსრებიც, ქანდაკებების ზურგზე ჯაჭვგაყრილი ჩამოსაკიდი ყუნწია შემორჩენილი[135]. ყველა ქანდაკება გამოსახავს, თითქოს, მორბენალ, მყვირალ ირემს.

გამოსახულებას პრიმიტივიზმთან ერთად ახასიათებს დინამიურობისა და განწყობის გადმოცემის მაუწყებელი ნიშნები, რაც ოსტატის მაღალ ხელოვნებაზე მეტყველებს.

ასეთი სახის ირმის ქანდაკებები დამახასიათებელია მხოლოდ კავკასიისათვის. მსგავს გამოსახულებებს ვხვდებით ყობანში, ფასყაუში[136], თუშეთში (სოფ. შენაქოში)[137], არაგვის ხეობაში (ჩაბარუხის განძი)[138], ალაიანში[139], სამთავროს ორმოსამარხებში[140]. სამთავროს იმ ორმოსამარხებს, სადაც ირმის გამოსახულებაა აღმოჩენილი, რ. აბრამიშვილი ძვ. წ. X საუკუნით ათარიღებს[141], ამავე პერი-

---

134 მოსკოვის ისტ. მუზეუმის ფონდებში კოლ. 75942.

135 იქვე; П. С. Уварова, МАК VIII. П. С. Уварова, Г. Н. Радде, Коллекц. Кавказск. музея, табл. III.

136 საქართველოს სახ. მუზეუმი $\frac{7—09}{4}$.

137 დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში.

138 ღუმეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები.

139 შ. ბარამიძე. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, „წარჩინებული მეომრის“ სამარხეული კომპლექსი სოფ. ალაიანიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, გვ. 124, ტაბ. I(3)

140 სამთავრო, ორმოსამარხი № 691.

141 რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის ტაბ. I; აკად. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXII ბ, 1961.

ოდით თარიღდება აღაიანის კომპლექსიც[142]. უფრო მოგვიანო პერიოდის (ძვ. წ. IX—VIII ს.) უნდა იყოს ჩაბარუხის განძში შემავალი ქანდაკებები. ზემოაღწერილ ქანდაკებათგან ყაზბეგურებს ასხვავებს ზომა და ზოგი დეტალი. სამთავროს სამაროვნის მასალების მიხედვით, აგრეთვე აღაიანში აღმოჩენილი სამარხის საფუძველზე ეს ქანდაკებები „წარჩინებულ მეომართა“ სამარხეულ კომპლექსების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს უნდა წარმოადგენდეს. „შესაძლოა ისინი „მეომრის“ ძალაუფლების სიმბოლოს გამოსახავენ[143].

კავკასიური ტომები გარეულ ცხოველებსაც ეთაყვანებოდნენ და ხშირად მათ გამოსახავდნენ ცალკე ან სხვადასხვა ნივთზე. ამ ცხოველთა შორის ირემს განსაკუთრებული საპატიო ადგილი ეკავა. ირმის რქებისაგან გაკეთებული „მეთაურის კვერთხი“ უფლებისა და ძლიერების სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ირმის გამოსახულებიან თიხის ჭურჭლის ხუფს ვხვდებით ისეთ ადრეულ ძეგლებში, როგორიცაა ურბნისის ქვაცხელა[144]. შუა ბრინჯაოს ხანით დათარიღებული თრიალეთური ცნობილი თასის ფრიზზე ვხედავთ ირმების ცერემონიულ სვლას. აქ ირმები რაღაც საღვთო წესის შესრულების მონაწილენი არიან[145]. გვიან ბრინჯაოს ხანაში, ლითონის ქანდაკებების გამრავლებასთან ერთად ირმის გამოსახულებანიც მატულობს. უამრავი ქანდაკება მომდინარეობს კავკასიის მთიანი ზოლიდან (ოსეთი, რაჭა). ქანდაკებების გვერდით ვხვდებით ამ ცხოველის გრაფიკულ გამოსახულებასაც, რასაც ზოგჯერ სტილიზაციის ნიშნებიც ახლავს. ირმის ქანდაკებები ცნობილია სომხეთშიც. ლჭააშენში ძვ. წ. XIII საუკუნით დათარიღებულ კომპლექსში[146]. ირმის გამოსახულებიანი ფირფიტები აღმოჩენილია ურში, შუბად დედოფლის სამარხში (ძვ. წ. — 2900 წ.)[147], აგრეთვე მიკენის კლდის სამარხში[148].

---

[142] მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, XXII—B 1961.

[143] იქვე.

[144] ა. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, 1952, ტაბ. XXV.

[145] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშ. X CI, ტაბ. XVI.

[146] А. О. Мнацеканян, Раскопки курганов на побережье озера Севан, С. А. 1957, № 2.

[147] Д. Н. Флитнер, Земледельческие культуры древней Месопотамии в свете последних раскопок. Труды отдела ист. культуры и искусства Востока, т. I, Ленинград, 1938 г.

[148] H. Shliman, Mikenae, გვ. 75.

ამგვარად, ირმის წარმოსახვა მეტად მიღებული იყო მთელს ძველ სამყაროში და განსაკუთრებით პატივსაცემ ცხოველად იყო მიჩნეული.

ძველი ადამიანების აზრით, ირემი თავისი მაღალი რქებით ცასა და დედამიწას აკავშირებდა ერთმანეთთან.

№ 59, 60 — არჩვის ორი ქანდაკება[149], ორივე მათგანი არამასიურია, ღრუა, ქვედა მხარეს გახსნილი. ცხოველს ჟირაფივით გრძელი კისერი, პატარა თავი და დიდი მოკაუჭებული რქები აქვს. თვალები რელიეფურად გამოსახული, მომრგვალებული ტანი აპრეხილი კუდითა და წყვილ-წყვილად ერთმანეთთან ტიხრით შეერთებული ფეხებით მთავრდება. მუცელზე ორ რიგად ამოჭრილია სამკუთხა სარკმლები (ერთ შემთხვევაში სამია, მეორე შემთხვევაში დაზიანებულია და რაოდენობის გარჩევა არ ხერხდება). ზურგზე საკიდი ყუნწი ახლავს. (ტაბ. XV, 1, 2).

ქანდაკების სიგრძეა — 6,6 სმ, სიმაღლე — 11 სმ, გავის სიგანე — 2,9 სმ, მკერდის სიგანე — 2 სმ, კისრის სიმაღლე — 4 სმ, რქების სიმაღლე — 1,7 სმ, დრუნჩის სიგანე — 11 სმ.

მეორეს სიგრძე — 6,6 სმ, სიმაღლე — 9,8 სმ, გავის სიგანე — 2.4 სმ, კისრის სიმარლე — 4 სმ, რქების სიგანე — 1,5 სმ.

№ 61 — არსებობს კიდევ ზემოთ აღწერილთა მსგავსი ცხოველის მესამე ქანდაკება[150], რომელიც ასევე ღრუა, ქვემო მხარეს გახსნილი და ტიხრით შეერთებული; ორივე გვერდი და მკერდი მას ხშირი სამკუთხედებით აქვს დაფარული. ცხოველს გრძელკისრიანი თავი მღლა აქვს აწეული, დატოტვილი რქები ბოლოებით ერთმანეთს უერთდება. ყურების ნაცვლად რგოლები აქვს, რომელშიც საყურეების მსგავსად კვლავ რგოლებია გაყრილი, თუმცა ცხოველი საერთო იერით ზემოაღწერილ არჩვებს ჰგავს, მაგრამ ირმისებური გადაგრეხილი რქებით მათგან განსხვავდება.

ეს სამი ქანდაკება დამზადების ტექნიკით და ფორმებითაც წააგავს ღარში (რაჭაში) აღმოჩენილ ირმის ქანდაკებას[151]. ეს უკა-

---

149 დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, სადაც კომაროვის კოლექციიდან შევიდა.

150 ინახება სახ. ერმიტაჟში № 1371, გამოქვეყნებულია A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 133, სურ. a—b.

151 Б. А. Куфтин, Археологическая Маршрутная Экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, XXX, II.

ნასკნელი შიგნიდან ღრუ და მრგვალტანიანია. ირემს ფართო გავა, ძლიერი რქები, კარგად გამოყვანილი ფეხები და ზურგზე საკიდი ყური აქვს. ღარის ქანდაკება, როგორც ჩანს, სარიტუალო ჯღარუნას დანიშნულებისა იყო.

ამ ტიპის ქანდაკების დასამზადებლად რბილი თიხის ან ქვისაგან ამზადებენ ცხოველის ტანის მოყვანილობის კოპს, შემდეგ მასზე შემოძერწავდნენ ცვილის თხელ ფენას; ცვილისაგანვე ამზადებენ ღავსა და კიდურებს; ამგვარ მოდელს ათავსებდნენ თიხის გარსაკრავში, რომელსაც ორ მოპირდაპირე მხარეზე თითო ნახვრეტი უნდა ჰქონოდა — ერთი თხიერი ლითონის ჩამოსასხმელად, მეორე — გამდნარი ცვილისა და ჰაერის გამოსადენად. თიხის გარსაკრავი ყალიბად იქცეოდა მას შემდეგ, რაც მას ცეცხლში გამოწვავდნენ და ცვილისაგან გაათავისუფლებდნენ. ამ პროცესის დროს სრულიად ადვილი იყო თიხის კოპის მდგომარეობის შეცვლა, რომლის თავიდან ასაცილებლად ყალიბის გამოწვამდე კოპს ლითონის წვრილი წკირებით ამაგრებდნენ თიხის გარსაკრავზე. ამგვარად დამზადებულ ყალიბში ასხამდნენ გამდნარ ლითონს, რომელიც იკავებდა ცვილის ადგილს და თხელი ფენის სახით შემოეკვრებოდა ხოლმე კოპს. გაცივების შემდეგ ყალიბს ამტვრევდნენ და გამოჰქონდათ სხმული[152].

№ 62 — ყაზბეგშია აღმოჩენილი შესანიშნავი ნივთი — ვერძის გამოსახულება. ნივთი შიგნიდან — ფუყე — ღრუ ყოფილა, მაგრამ დღეს დაზიანებულია და ორ ნაწილადაა გაყოფილი. ცხოველს გადაგრეხილი, კოხტად გამოყვანილი რქები აქვს, ლამაზად მომრგვალებული სხეული, რომელიც დაფარულია მცენარეული ორნამენტით, მხარზე კი როზეტია გამოსახული[153] (ტაბ. XV, სურ. 3).

იგი გამოირჩევა თავისი სინატიფით, დამზადების მაღალი ოსტატობითა და გამოსახვის რეალისტურობით. ი. სმირნოვი[154], აღნიშნულ ნივთს აქემენიდური ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს რაც მართებულად უნდა ჩაითვალოს.

№ 63 — საყურადღებოა, აგრეთვე, ტახის (?) გამოსახულებიანი ბრინჯაოს გარსაკრავი, ცხოველს ფეხები მოკეცილი აქვს, თავი

---

[152] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 219—220.

[153] Я. И. Смирнов. Восточное серебро, 1909, № 113—114.

[154] ნივთი გამოფენილია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, მომდინარეობს კომაროვის კოლექციიდან. П. С. Уварова, МАК, VIII, გვ. 150 სურ. 139.

დახრილი, თვალები, ყურები, ჯაგარი დიდი გულმოდგინეობით არის გამოსახული. ბარკლების ნაცვლად რელიეფური ხვიებია მოცემული. აქა-იქ სამანჭვლე ხვრელები აქვს დატანებული. ნივთის სიგრძე — 7,7 სმ., სიგანე — 3,8 მ[155]. შესაძლოა იგი ისრის ჩასაწყობის გარსაკრავს წარმოადგენდა.

---

[155] ოლშევსკის კოლექცია, სახელმწიფო ერმიტაჟი № 1731/179.
П. С. Уварова, МАК, VIII, зз. 151, сур. 140.

თავი მეორე

ცხენის აკაზმულობა და იარაღ-საჭურველი

ეშვის ფორმის ნივთები

გ. ფილიმონოვის მიხედვით, ყაზბეგის განძში შედიოდა გაურკვეველი დანიშნულების, ეშვის ფორმის ბრტყელი ბრინჯაოს ნივთები[1].

№ 64—72 — ერთ-ერთი მათგანი[2] წარმოადგენს ბრტყელ ფირფიტას, რომელსაც ზემო კიდეზე ერთი საკიდი ყური აქვს, ქვემოთაზე — სამი. ნივთი ცალმხრივია. ცალ მხარეს მთელ სიგრძეზე სამი რელიეფური ხაზი მიუყვება, მისი მეორე მხარე კი სადაა და ყველაზე ფართო ნაწილში, ბოლოსთან ორი რელიეფური ხვია ამკობს. ეს ხვიები განივი რელიეფურივე ხაზით არის გამოყოფილი ერთიმეორისაგან. ნივთის სიგრძე — 12 სმ-ია, სიგანე ყურთან — 3,3 სმ, ყურის გარეშე სიგანე — 2,6 სმ.

მეორე ასეთივე ნივთი[3] ფორმით ზემოთ აღწერილის ანალო-

---

[1] გ. ფილიმონოვის აღწერილობაში სამი ასეთი ნივთია მოხსენებული, სამივე ნივთი ამჟამად მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება. მეოთხე ასეთივე ნივთი იმავე მუზეუმში შესულია კომაროვის კოლექციიდან (П. С. Уварова, МАК, გვ. 142, ტაბ. XXI). გარდა ამისა, სოფ. ყაზბეგში აღმოჩენილი 4 მსგავსი ნივთი დაცულია სჰქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში. ოლშევსკის კოლექციაში შემავალი ერთი ეშვისებური ფორმის ნივთი მოხვედრილია სახ. ერმიტაჟში. ნივთი გატეხილია და ნატეხები ერთმანეთს არ უდგება. ა. ტალგრენის, პ. უვაროვასა და რ. ვირხოვის ცნობით, ყაზბეგში აღმოჩენილი 4 ასეთი ნივთი ინახება სენ-ჟერმენის მუზეუმში, პარიზში. დღეს ჩვენთვის ცნობილია 9 ასეთი სახის ნივთი.

[2] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. 75942, გამოქვეყნებულია A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 139, სურ. 53.

[3] გამოფენილია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, П. С. Уварова, ტაბ. XXI(1), A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 139, 53(6).

გიურია მაგრამ რელიეფური ხაზები არ ახლავს. ზედაპირი სადა აქვს და ფართო ბოლოებზე მხოლოდ ორი რელიეფური ხვიაა გაწოყვანილი. ეს ბოლო დაკბილულია. მეორე გვერდზე ნივთს სამი საკიდი ყური აქვს (ტაბ. XVII, 2).

მესამე ასეთივე ნივთი[4] სრულიად სადაა, განივკვეთში ლინზისებურია, შესქელებულ ნაწილში თანაბარი მანძილით დაშორებული სამი მრგვალი ნახვრეტი აქვს დატანებული, ნივთის სიგრძეა 15,8 სმ. სიგანე — 3,3 სმ. ნახვრეტების დიამეტრი — 9,6 სმ. (ტაბ. XVII, 1).

შემდეგი ნივთი[5] ზემოთ აღწერილთა ფორმას იმეორებს იმ განსხვავებით, რომ მას ქვედა კიდის გასწვრივ სამი საკიდი ყური აქვს გაკეთებული. ერთ-ერთ ყურში რკინის ჯაჭვია შემორჩენილი, რომელზეც ზარი უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული. ნივთის განიერ ბოლოზე ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, შუაში კოპით დამთავრებული ორი ზენური ხვიაა გამოსახული. ერთი მხრიდან ნივთი ოდნავ ჩაზნექილია, რის შედეგადაც მეორე მხარე უფრო რელიეფურადაა წარმოდგენილი. მის ზემო კიდეზე ყურის ორივე მხარეს ქანდაკებები ყოფილა აღმართული, მაგრამ ამჟამად ქანდაკებების ერთი ჯგუფი მოტეხილია. შემორჩენილი ნაწილი წარმოგვიდგენს რიტუალური განაყოფიერების სურათს, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ნაყოფიერების სიმბოლურ მაგიურ წესებთან. ყანწის სიგრძე — 13,6 სმ, სიგანე — 2,1 სმ, ქანდაკებების სიმაღლე 2 სმ-ს არ აღემატება (ტაბ. XVII, 3).

ერთ-ერთი ეშვის ფორმის ფირფიტა ოთხადაა გატეხილი და ნატეხები ერთმანეთს არ უდგება. ფირფიტა შუაში სამ ადგილას არის გახვრეტილი და მისი ყველაზე ფართო ნაწილი ტარისებურად არის გამოკვეთილი[6].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული 4 ნივთიდან ერთ-ერთი[7] სამადაა გატეხილი (ნატეხები ერთმანეთს არ უდგება). ფირფიტის ერთ მხარეს — ფართო ბოლოზე, ზენური ხვიაა გამოსახული, რომელიც ნივთის დანარჩენი ნაწილებისაგან რელიეფური ხაზითაა გამოყოფილი. ხაზს სამი კოპი ამკობს. მეორე შედარებით

---

[4] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. 75942.

[5] კომაროვის კოლექციისეული ნივთი დაცულია აქვე.

[6] ინახება სახელმწიფო ერმიტაჟში 173 (1), 178 ოლშევსკის კოლექცია.

[7] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები $\frac{2—02}{37/213}$.

ბრტყელია, სრულიად სადა მხარეზე სამი ყური აქვს გაკეთებული. განივკვეთში ნივთი მახვილკუთხა სამკუთხედის ფორმისაა. მისი სიგრძეა —15 სმ, სიგანე —3 სმ.

მეორე ეშვისებური ფორმის ნივთი[8], ერთი შეხედვით, თითქოს ბრტყელია, მაგრამ განივკვეთში ლინზას იძლევა. შუაში სამი ნახვრეტი აქვს დატანებული, ფართო ნაწილი ოდნავ შემაღლებულია და ტარის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნივთის სიგრძე — 15 სმ. სიგანე —3 სმ (ტაბ. XVI, 2).

მესამე ნივთი[9] ერთი მხრიდან ამოზნექილია, ხოლო მეორე გვერდი ღრუ აქვს. ზედაპირზე სამგან არის გახვრეტილი. როგორც ჩანს, ღრუ მხარეზე ნახვრეტების ქვეშ სამი ყური უნდა ჰქონოდა გაკეთებული. ნივთი შუაზე გატეხილი და ნაკლულია (ნატეხები ერთმანეთს არ უდგება), შემორჩენილი ნაწილის სიგრძე — 16 სმია, სიგანე —4 სმ. (ტაბ. XVI, 3).

მეოთხე ეშვისებური ფორმის ნივთს ქვედა კიდეზე შუა ნაწილში ერთი საკიდი ყური აქვს გაკეთებული, რომლის მოპირდაპირე ნაწილში ნივთი განივადაა გახვრეტილი. ნივთი შემკულია: ერთი მხრიდან დაკლაკნილი გველის გამოსახულებით, მეორე მხარე ნაწილობრივ სადაა, მხოლოდ გვერდის ფართო ნაწილი ტანისაგან რელიეფური კლაკნილი ხაზებითაა გამოცალკევებული და ორი ვერტიკალური ზენური ხვია ახლავს (ტაბ. XVI, 1).

როგორც აღვნიშნეთ, ამ ნივთების დაჯგუფება რაიმე ნიშნის მიხედვით ძნელია, რადგან მათ ერთმანეთისაგან განსხვავებით ორიგინალური ნიშნები ახასიათებთ. მიუხედავად ამისა, საკიდი რგოლების მიხედვით მაინც განარჩევა რამდენიმე ჯგუფი: პირველ ჯგუფს საკიდი ყურები ჩამოსხმული აქვს, მეორე ჯგუფის საკიდი მირჩილულია, მესამეს — საკიდი ყურის ნაცვლად ნახვრეტები აქვს დატანებული. მეოთხეს — ჩამოსხმული ყურიც ახლავს და ნახვრეტებიც, ხოლო მეხუთეს — მირჩილული რგოლებიცა და ნახვრეტებიც გააჩნია.

ნახვრეტებიან ნივთებს ორნამენტი საერთო არ ახლავს, ერთერთ მათგანს ფართო ნაწილი ტარივით აქვს გამოკვეთილი. ჩამო-

---

[8] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები $\frac{2—02}{35/211}$.

[9] იქვე, $\frac{2—02}{25/211}$, П. С. Уварова, Г. Радде, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. II(12).

სხმულ ყურიან ნივთებს ზურგის მხარეს, ფართო ნაწილზე, ზენისებური ხვიები აქვს დაყოლებული. ერთ-ერთს ზედაპირზე სამი გასწვრივი რელიეფური ხაზი მიუყვება. მეორე ცალზე მოცემული ზენური ხვიები გადაჯვარედინებულია, ხოლო ამ ნივთს, რომელსაც ჩამოსხმული საკიდი ყური აქვს, ნახვრეტიც და ზენური ხვიებიც ახლავს. მთელს სიგრძეზე გველის გამოსახულება ამკობს (ტაბ. XVI, 1).

ამ ნივთის დანიშნულებისა და სახელწოდების გარშემო აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. უმეტესი ნაწილი მკვლევრებისა რქის ანუ ყანწის სიმბოლურ გამოსახულებად მიიჩნევს[10], ზოგიც მასში ეშვის იმიტაციას ხედავს. ე. კრუპნოვი მათ ეშვის მინაბაძებად თვლის, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო კავკასიის ერთ-ერთ ტოტემურ ცხოველთან — ტახთან[11]. ამის საბუთად მას ენათმეცნიერული დასკვნებიც მოჰყავს. მაგ. ნ. მარის გამოკვლევით მეგრული „კერ“ („დერ“) და სვანური „კერ“ ნიშნავს „ტახსაც“ და „ღვთაებასაც“.

ტახის ეშვების ტარება ამულეტის სახით ძალზე გავრცელებული ყოფილა ევრაზიაში სკვითურ-სარმატულ ეპოქაში. სარმატების მიერ იგი გამოიყენებოდა სატევრების შესამკობლად. მაგრამ უფრო ხშირად მათ ვხვდებით, როგორც ცხენის აკაზმულობის ნაწილს[12].

ყველაზე დიდი რაოდენობით ტახის ეშვები აღმოჩენილია ვოლგისპირეთსა და და სამხრეთ ურალისპირეთის სავრომატულ ძეგლებში[13], ალტაის მხარეში[14], შუა აზიაში, მდ. კამის სანაპიროზე[15], უმეტეს ნაწილზე ამოკვეთილია ცხოველური სტილისათვის დამახასიათებელი მოტივები. უკრაინის სკვითები და სარმატები ასეთი ფორმის ნივთებს ამზადებდნენ თვით ტახის ეშვებიდან ან ძვლებიდან, ხოლო სხვაგან ეშვებთან ერთად ვხვდებით ლითონიდან ჩამოსხმულ მათ მინაბაძებს.

---

[10] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, შ. ამირანაშვილი ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1954, გვ. 74.

[11] Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 363.

[12] იქვე.

[13] К. Ф. Смирнов, Вооружение Савроматов, 1961, 92.

[14] Древности Приднепровья, вып. II, XXXI, 512.

[15] С. В. Киселев, Алтай в скифское время (маймерская культура), ВДИ, 1947, № 2, 157.

Труды Семиреченской археологической экспедиции, «Чуйская долина», XXXIX, I.

ს. კისელევმა შეისწავლა სკვითური პერიოდის (ძვ. წ. VII—VI სს.) ძეგლები ალტაიში და აღნიშნა, რომ ტახის ეშვები და ვათი მინაბაძები ცხენიანი სამარხებისათვის დამახასიათებელ ნივთს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ისინი გამოიყენებოდა ცხენის მოსართავების გასამაგრებლად[16]. ძვლის საყბეურები გვხვდება სოფ. კონსტანტინოვკაში[17] და თლის № 143 სამარხში[18].

რაც შეეხება ნივთებზე მოცემულ გამოსახულებებს, ისინი ადგილობრივი ორნამენტული მოტივებისა და მითური სიუჟეტების გამოყენებით არის შექმნილი. ერთ-ერთ ეშვისებური ფორმის ნივთზე მოცემულია განაყოფიერების სკულპტურა. სურათი მჭიდროდ უკავშირდება ძეგლის საერთო ხასიათს და ადგილობრივ წესჩვეულებებს, სვასტიკისებურად გადაჯვარადინებული ზენისებური ხვიები ადგილობრივ გავრცელებული ორნამენტული მოტივია.

როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ კავკასიაში გველი გაღმერთებულ ქვეწარმავალთა რიცხვს ეკუთვნოდა:

ვ. ითონიშვილის სიტყვით, სოფ. გერგეთში სუჯაშვილების სახლის კარის თავზე, ოჯახის დაცვის მიზნით ორი გველია გამოსახული. ნ. რეხვიაშვილის გადმოცემით, გველის გამოსახულება გვხვდება სახლის ბუხრის თავებზე.

გველს რელიგიურ-მითოლოგიური თვალთა ხედვით, კავშირი ჰქონია მზესთან და მიცვალებულთან. ძვ. წ. I ათასწლეულის ძეგლებზე გველთან ერთად ცხვრის გამოსახულებაცაა ხშირად მოცემული.

ამგვარად, ყაზბეგური ეშვის ფორმის ნივთების ადგილობრივი წარმოშობა უეჭველია. რაც შეეხება ფორმას, ანალოგიური ნივთები კავკასიაში არ არის ცნობილი. თუ არ ჩავთვლით ძვლის საყბეურებს. მაგრამ პერსეპოლისში აღმოჩენილია ტახის ეშვების ქვისა და ბრინჯაოს იმიტაცია, რომლებიც ცხენის მოსართავების სამაგრ კომპლექსში შედის[19]. ასევე პერსეპოლის რელიეფზე მოცე-

---

[16] ირმის რქები, როგორც საყბეურები, თრიალეთში ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს ხანაში იყო გამოყენებული. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XLVI.

[17] П. Д. Либеров, Курган у с. Константиновка, КСИИМК, 37, 1951, 142, 45, 6.

გვ. 37, 1951, გვ. 142, სურ. 45, 6.

[18] Б. В. Техов, Раскопки Тлийского могильника в 1966, С. А. 1970, № 4, с. 106, 10(6,7).

[19] E. Schmidt, Ihe Treasure of Persepolis, Chicago, 1939, გვ. 47. Pl. 3, 367, მისივე, Persepolis, VII, pl. 79, 3—5.

მულ ცხენის გამოსახულებებს თან ახლავს რაღაც ნისკარტის ფორმის ნივთები, რომლებიც ტახის ეშვების იმიტაციად უნდა მივიჩნიოთ[20]. ხ. პოტრახის დაკვირვებით აშურბანიპალის ერთ-ერთ რელიეფზე ყაზბეგური საყბეურის მსგავსი საყბეურია მოცემული.

არქეოლოგმა ლ. გერტმანმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ყაზბეგის განძში შემავალ ცხენის აკაზმულობას, მისი აზრით, ეშვის ფორმის ნივთების ერთი ნაწილი საყბეურის დანიშნულებას ასრულებდა, მეორე ნაწილი ეშვისებური ნივთებისა ამკობდა ლაგამებს ან საკიდად გამოიყენებოდა. ასეთ ეშვის ფორმის ნივთებს საკიდი ყურები ნაპირის გასწვრივ და უკან აქვს.

ალტაის სკვითური პერიოდის სამარხებში, ასირიაში და აქემენიდური ხანის ირანში ეშვის მინაბაძები, ტახის ეშვები ცხენის მოსართავების სამაგრებად გამოიყენებოდა. ალბათ, ყაზბეგურშიც იგივე დანიშნულებით მოიხმარებოდა[21].

რაც შეეხება ეშვისებურ ნივთზე მოცემულ ქანდაკებას, ტალგრენს ამ ნივთის პარალელურ მასალად მოჰყავს სომხეთში, ყიზილვანქში აღმოჩენილი ქოთანი, რომელზეც გამოხატული ყოფილა ეროტული სცენა. იქვე ყოფილა ადამიანის ქანდაკებებიც.

სქესობრივი აქტის სურათი გამოხატულია სამთავროში აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყელზეც, რომელიც ბრინჯაოს ფართო ფურცლისაგან არის დამზადებული და მასზე ამოკვეთილია სხვადასხვა სურათები. აქ არის უწყვეტი სპირალები, სამკუთხედები, ტალღისებური ხაზები, ნადირობისა და პურობის სცენები. აღწერილ სურათში წარმოდგენილია სამივე სამყარო: ქვესკნელი, დედამიწა და ზეცა. ქვესკნელს გამოსახავს სპირალები, თევზები და წყლის ფრინველები, დედამიწას ცხოველები და ადამიანები განასახიერებენ, ზეცას კი — მნათობები. სამივე სამყაროს დამაკავშირებელი არიან ჩიტები და მაღალრქიანი ირმები. რიტუალური პურობისა და განაყოფიერების სცენას სარტყელზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ცხადია, რომ აქ ნაყოფიერების ღვთაებაა გამოსახული, რომელზეც დამოკიდებულია გამრავლება, სიცოცხ-

---

[20] G. Rowlison, The five Great monarchies ტ. III, გვ. 234.

[21] Л. Н. Гертман, Детали конской узды в составе Казбекского клада, С. А. № 3, 1972, с. 341.

ლის აღმოცენება და არსებობა. სარტყლის შემცველ სამარხს ალ. კალანდაძე ძვ. წ. X—VIII სს-ით ათარიღებს[22].

აღსანიშნავია, რომ ყაზბეგური რქის ფორმის ნივთზე ყველაზე ფართო ადგილზე გამოსახულია ერთმანეთზე გადაჯვარედინებული „ზენისებური“ ხვიები, რომლებიც სვასტიკას წარმოგვიდგენდნენ. ეს ნიშანი კი, როგორც ცნობილია, მზეს უკავშირდება. იმავე მოყვანილობის მეორე ნივთზე ქვესკნელი მოცემულია გველის გამოსახულებით და ხვიებით. სამყაროს გადმოცემის მსგავსი ხერხები კიდევ უფრო აკავშირებს სამთავროს სარტყელს ყაზბეგის ქანდაკებებთან და მათი მომხმარებელი საზოგადოების იდეოლოგიურ ერთიანობაზე მიგვითითებს.

ეჟვნები

№ 73—108 — სოფ. ყაზბეგში აღმოჩენილი არქეოლოგიური კომპლექსისათვის დამახასიათებელი თავისებური ნივთების წყება, რომელსაც ჩვენ ეჟვნებს ვუწოდებთ, მათი რიცხვი 37-მდეა და მთელი რიგი ნიშნების გათვალისწინებით 4 ჯგუფად შეიძლება გაიყოს: 1. ცხენის თავიანი ეჟვნები. 2. ცხენზე მჯდომი შიშველ ითიფალურმხედრიანი ეჟვნები. 3. ცხოველთა ქანდაკებებით შემკული ეჟვნები და 4. სადა ეჟვნები (ტაბ. XX, 3).

ეჟვნების ძირითად ნაწილს ბრინჯაოს თეფშისებური ფირფიტები წარმოადგენს, რომლის ოდნავ შედრეკილ ქვედა მხარეზე, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ღეროებისაგან სათასმე ყურია შექმნილი. ზედა სიბრტყეზე კი თითო ფუყე დაფანჯრული ბურთი აზის. ყველა ასეთ ბურთს გვერდითი მხრიდან ამკობს მხედრის ცხენის ან ჯიხვის ქანდაკება. ზოგ შემთხვევაში თეფშისებურ ნაწილზე ბურთის ნაცვლად ცხენის თავ-კისერია ამოზიდული: ცხენის თავი მასიურია, ხოლო ფუყე ყელზე საკიდი და სამაგრი ყური აქვს გაკეთებული. ფაფარი ბრინჯაოს ფურცლითაა წარმოდგენილი.

ცხენის თავი საკმაოდ რეალურად არის გადმოცემული, თუმცა სტილიზაციის ნიშნები ეტყობა, განსაკუთრებით ყურების გამოსახვაში. დიდი ზომის ყურების გამო, ზოგიერთი მკვლევარი ასეთ ქანდაკებაში სახედრის გამოსახულებას ხედავს[23].

---

[22] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 1952, გვ. 81—82.

[23] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი.

ცხენებს პირი ოდნავ ღია აქვთ, თითქოს ჭიხვინებენ, ამჟამად ჩვენთვის ცნობილია 9 ცხენისთავიანი გამოსახულება (ეჟვანი)[24] (ტაბ. XVIII, 1, 2).

ეჟვნებიდან ექვსზე მხედარია მოცემული. ცხენის აკაზმულობის, მხედრის გამოსახულებისა და სხვა ნიშნების მიხედვით, ეს მცირე ჯგუფი შეიძლება ორ ტოლ ნაწილად გაიყოს: პირველი ჯგუფის ეჟვნებზე ცხენი უხეშად არის გამოქანდაკებული. მისი ფეხები და ტანი მეტად პრიმიტიულ იერს ატარებს. ყურის, თვალების, ფაფარის გარჩევა არ ხერხდება. ჩანს, ცხენი აკაზმულია და დაღებულ პირში ლაგამი აქვს ამოდებული; მხედარს ერთ ხელში აღვირი უჭირავს, ხოლო მეორე ხელით ცხენს მათრახს ურტყამს. მხედრის ფეხები ცხენის მუცელზე მჭიდროდ არის შემოჭრილი, ცხენის ყელზე საკიდი ყურია გამოყვანილი, რომელშიც რკინის ნატეხია შერჩენილი[25]. ქანდაკებების საერთო სიგრძეა 4,7 სმ, სიმაღლე — 4 სმ, კაცის სიმაღლე — 3,6 სმ ნივთი პატინისაგან გასუფთავებულია (ტაბ. XVIII, 3).

ამავე ჯგუფის მეორე ეჟვანი ზუსტად იმეორებს ზემოთ აღწერილს[26].

მესამე ნიმუშზე აღმართულია მხედარი, რომელსაც წელის ზედა ნაწილი აკლია[27].

მეორე ჯგუფი მხედრიანი ეჟვნების ღია მწვანე პატინით არის დაფარული (ტაბ. XVIII, 4).

შიშველი მხედრის ითიფალური ქანდაკება ზოგადად ისეთივე მდგომარეობაშია მოცემული, როგორც ქვემოთ იყო აღწერილი, ოღონდ უფრო მოხრილია და ბირთვისებური სადგომიდან თითქოს გადმოსახტომად ემზადება. მისი ცხენი შედარებით დახვეწილად არის გამოქანდაკებული, მაგრამ მის გადმოცემაში შეინიშნება სტილიზაციისა და პირობითობის ბევრი ელემენტი. ცხენს მოგრძო დრუნჩი, დაცქვეტლი ყურები და დაკბილული ფაფარი აქვს. ცხენი უბელოა და ამიტომ მხედარს ერთი ხელი მის ფაფარში აქვს

---

[24] ექვსი ცალი ჟღარუნა, გ. ფილიმონოვის მიერ ყაზბეგის განძის აღწერილობაში მოხსენიებული, და ერთიც კომაროვის კოლექციიდან მომდინარე — ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ოლშევსკის კოლექციისეული ეგზემპლარი, ოდნავ დიდი ზომისა, დაცულია ლენინგრადის ერმიტაჟში.

[25] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. 75942.

[26] " " " კოლ. 75942.

П. С. Уварова, МАК. VIII. ტაბ. XXI, სურ. 4,5. A. M. Talgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 139, სურ. 56, 77.

[27] ეს ნივთი აღმოჩენილია გზის გაყვანისას მიწის სამუშაოების დროს, 1874.

ჩავლებული, მეორეთი კი გავას ეყრდნობა. ქანდაკების სიგრძეა 3,2 სმ., სიმაღლე — 3 სმ, მხედრის სიმაღლე 2,4 სმ, ეჟვნების დიამეტრი —3,3 სმ[28].

მესამე ჯგუფის ეჟვნებზე შინაურ და გარეულ ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებაა[29] მოცემული. მათი რიცხვი 10-ია, რომელთაგან ორზე ირმის ქანდაკებაა აღმართული, ერთზე — ვერძის; ორს ჯიხვისა და თხის გამოსახულება ამკობს, ერთს — ცხვრის. ორ შემთხვევაში რაღაც რქიან ცხოველსაც ვხედავთ, რომელთაგანაც ერთს რქა აქვს წატეხილი (ტაბ. XIX, 1—4).

ეჟვნებს პ. უვაროვა, ა. ტალგრენი, გ. გობეჯიშვილი ცხენის სამკაულთა რიცხვს მიაკუთვნებენ. ამ სახის ნივთები საქართველოს ტერიტორიაზე იშვიათად გვხვდება. ყაზბეგური ეჟვნები ენათესავება აფხაზეთში აღმოჩენილ ზარისებრ ფორმის, ზოომორფული ფიგურებით შემკულ ბალთებს: მაგალითად ეშერში 1927 წ. მოპოვებული ორთავიანი ცხოველის გამოსახულებიან ბალთებს[30], რომელსაც თან ახლავს კოლხური ცული, მაშა და სხვა; 1929 წ. მგუდზირხვაში გათხრილი სამარხიდან მომდინარე ბალთებს, რომლის წვერზე სხვადასხვა ცხოველის სკულპტრული გამოსახულებაა[31]. მ. ივაშჩენკო მათ პირველი ათასწლეულის დამდეგით ათარიღებს. ყაზბეგური ეჟვნების მსგავსი ნივთი სფეროზე შემდგარი ცხოველის გამოსახულებით, არქეოლოგმა რესლერმა მოიპოვა ხოჯალში[32], ჰვირული ეჟვნები აღმოჩენილია ბრილში (რაჭა) 1953 წ. გათხრილ 26-ე სამარხში, ოღონდ მათ არ ახლავს გამოსახულებები. მიუხედავად ამისა, ყაზბეგურსა და რაჭულ ეჟვნებს შორის მსგავსება მეტად დიდია. თანმხლები მასალების საფუძველზე აღნიშნული კომპლექსი ძვ. წ. V საუკუნეს მიეკუთვნება[33].

---

[28] ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, კოლ. 75942, იქვეა დაცული კიდევ ორი მსგავსი ნივთი VII, 31 /17. П. С. Уварова, ტაბ. XXI; 15; A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 139, სურ. 56.

[29] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ოთხი ეჟვანი. გამოქვეყნებულია П. С. Уварова, Г. Д. Радде, колл. Кавк. музея. 1902, ტაბ. 11(12). დანარჩენი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში კოლ. 75942, А. М. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 144, სურ. 62, 63.

№ 2—02
21/197—200

[30] Б. А. Куфтин, Материалы к Археологии Колхиды, т. I, 1949, 155; М. М. Иващенко, Исследования Археологических памятников материальной культуры в Абхазии, Тифлис, 1935, I XVIII, 50.

[31] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 153, ტაბ. XII.

[32] ОАК за 1897 г, გვ. 48, სურ. 185.

[33] რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის 1953 წლის მუშაობის ანგარიში.

ეჟვნები თავისი ფორმით მოგვაგონებს ყუბანის ადრესკვითური დროის სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს: ფანტასტური ცხოველის გამოსახულებით დაბოლოებულ ბუნიკის თავებსა[34] და ცხენის თავით შემკულ ბუნიკის თავს. ეს უკანასკნელი ძალზე მოგვაგონებს უმბონებზე მოცემულ ცხენის თავებს[35]. ამ ნივთების პარალელებს მ. როსტოვცევი ჰურის და ამიერკავკასიის მასალათა შორის პოულობს. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ყუბანის უძველესი სკვითური სამარხების ინვენტარი უკავშირდება „ალაროდიულ-ხეთურს“ და ქალდურ კულტურულ სამყაროს, რომელთა კულტურული ნაკადები ამიერკავკასიაზე გავლით მიემართებოდა სამხრეთ რუსეთის ველებისაკენ.

ყაზბეგური ეჟვნები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ლურისტანისა და ორდუს ბრინჯაოს ნივთებთან. მაგ., ბროწეულის ნაყოფის ფორმის თავიან საკინძებთან და საკიდებთან. იქ ახლაც ჭრიან ბროწეულის ხის ნაყოფის ქერქს იმდაგვარად რომ დაჭრილი ქერქის ნაპირებიდან ამოაქვთ მარცვლები, კანი კი რჩება ლამაზად დაფანჯრული. მათი მიმბაძველობით უნდა იყოს დამზადებული ზემოაღნიშნული საკინძის თავები, საკიდები და ეჟვნები, რომლებიც უფრო მდარე ხარისხისაა, ვიდრე ყაზბეგურსა და ბრილში აღმოჩენილი ცალები[36].

ყაზბეგურ ეჟვნებს კიდევ უფრო უახლოვდება ორდუში აღმოჩენილი ბუნიკის თავი. ამ შემთხვევაში ბროწეულის ფორმის ნივთი სტილიზებულია, აქ მოცემულია, მხოლოდ ცილინდრზე შემოდგმული დაფანჯრული ბურთი, რომელიც ირმის შესანიშნავი ქანდაკებით ბოლოვდება. ადგილობრივი ხილის — ბროწეულის ნაყოფის ბრინჯაოში წარმოდგენას ე. ჰერცფელდი საკუთრივ ლურისტანელების შემოქმედებად მიიჩნევს[37]. ამგვარად, სრულიად მოსალოდნელია, რომ ყაზბეგური ეჟვნების პროტოტიპებს ლურისტანული და ორდუს ეჟვნები წარმოადგენენ, რომლებიც თავის მხრივ ბროწეულის ნაყოფის მიმბაძველობით არიან დამზადებული. მსგავსი ნივთების აღმოჩენა რაჭაში, ყაზბეგსა და ყუბანის სტეპებში, შესაძლოა, მომთაბარეთა მოძრაობის შედეგად იყოს გავრცელებული.

---

[34] М. И. Ростовец. Эллинство и Иранства на Юге России. 1918. Петроград, ტ. V, სურ. 4, 5.

[35] М. И. Ростовцев, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VI, სურ. 5.

[36] E. Herzfeld. დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

[37] იქვე, სურ. 289, გვ. 174, სურ. 293.

ყაზბეგში, მთიან რაჭაში ყუბანში ბროწეული არ ხარობს. მაგალითად, საფიქრებელია, რომ სწორედ კიმერიელთა მდევარმა სკვითებმა შემოიტანეს ეს მოტივი (ან თვით ნივთები) ყუბანისპირეთში, ყაზბეგის რაიონსა და რაჭაში. ისიც შესაძლოა, რომ კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის შედეგად შემოვიდა ასეთი ნივთები ამიერკავკასიაში და შემდეგ გადაეცა ყუბანის სტეპების მოსახლეობას.

ჟღარუნებზე და საერთოდ განძში აღმოჩენილ ნივთებზე დიდი რაოდენობითაა ცხოველთა გამოსახულებები, ექვს ჟღარუნაზე კი მხედარია მოცემული.

მხედრის გამოსახულება სხვადასხვა ნივთებზე და ცალკეც ხშირია კავკასიაში. მაგალითად, ყობანიდან მომდინარეობს ქინძისთავი ცხენოსანის გამოსახულებით[38]. ცხენოსანი ორფერდა სახურავიან სახლზე დგას. მხედარი ძალზე გვაგონებს ყაზბეგურ გამოსახულებებს, მაგრამ უფრო ადრეული ხანისა უნდა იყოს. საყურადღებოა აჯხაზეთში, აბგარხუკში აღმოჩენილი სარიტუალო ნივთზე მოცემული მხედრის გამოსახულება. მას კუფტინი ძვ. წ. V საუკუნით ათარიღებს[39]. განსაკუთრებით მრავლადაა ცნობილი მხედრის ნახევარჭანდაკებანი ჩმიდან[40], გოუზდაკიდან[41], ნალჩიკიდან[42]. საქართველოში, ყაზბეგის გარდა, მხედრის ჭანდაკებები ცნობილია ვანიდან, ახალგორიდან, კლდეეთის სამაროვნიდან[43], სამხრეთ-ოსეთიდან[44] (სარტყელის ბალთების სახით), მაგრამ ესენი რამდენადმე მოგვიანო ხანას განეკუთვნებიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს მხედრის სრული ჭანდაკება ბრილიდან (ძალზე ემსგავსება ყაზბეგურ მხედრებს) და ცაგერის მუზეუმში დაცული, საკმაოდ მოზრდილი ზომის მხედრის ჭანდაკება. ეს უკანასკნელი განსხვავდება ზემოთ აღწერილთაგან საერთო მდგომარეობით, ჩაცმულობით, სახის გადმოცემით. როგორც ეს ჭანდაკებები, ასევე ბაიერნის მიერ აღმოჩენილ ოქროს ფირფიტებზე გამოსახული

---

[38] П. С. Уварова, МАК, VIII, с. 132.

[39] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. I,. 1949. 243—245, სურ. 55. П. Уваров, МАК, VIII, ტაბ. VI.

[40] П. С. Уварова, МАК VIII. ტაბ. VI.

[41] ნალჩიკის მუზეუმის გამოფენა № 1503.

[42] ОАК. 1898, გვ. 130, სურ. 27.

[43] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957 წ. გვ. 73, სურ. 12.

[44] Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция. 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, таб. III.

მხედრები და სვანურ გრაფიკულ მხატვრობაში გავრცელებული ცხენოსნები[45], ხასიათდებიან მხედრის ერთნაირი გადმოცემით და თითქმის ერთსა და იმავე პიროვნებას გამოსახავენ.

ღვთაება მხედარი გვაგონებს ქრისტიანული პანთეონის პოპულარულ წევრს, ყოველთვის ცხენზე მჯდომ წმ. გიორგის. აქ საჭიროა გავიხსენოთ ხალხური თქმულება ღმერთის, ელიასა და წმ. გიორგის შესახებ, რომელშიც ნამდვილ მფარველად მწყემსს წმ. გიორგი ესახება. მწყემსი მას განსაკუთრებულ პატივს სცემს, თავის ღმერთად თვლის და სხვა ღვთაებებისაგან განასხვავებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმ. გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“[46], იგი შემოვიდა ქრისტიანულ პანთეონში წარმართობიდან და ახალმა შეისისხლხორცა. შესაძლოა, რომ ყაზბეგის ითიფალურ მხედრებში სწორედ წმ. გიორგის წინამორბედ ძველი ღვთაების გადმოცემასთან გვქონდეს საქმე. ეს მით უმეტეს, რომ ქართველი ტომების რელიგიური განვითარება იმ დროს კოსმოგენურ-ციური მნათობების გაღმერთების საფეხურზე იდგა. ხოლო ცნობილია, რომ წმ. გიორგის უკავშირებენ მთვარეს. ეს უკანასკნელი კი მამრობითობას ასახიერებდა[47].

ყაზბეგური ქანდაკებების ითიფალობაში ჩვენ ვხვდებით ქართველ ტომთა უძველესი რწმენის ბევრ გამოვლინებას, კერძოდ, ფალოსის კულტის ასახვასაც. მისი არსებობა ჩვენში დასტურდება არა მარტო ამონათხარი მასალით, არამედ მიწისზედა ძეგლებისა (თეთრი წყაროს სტელა, ჯავახეთის ქვა-კაცი, წითელ ხიდთან აღმართული ფალოსი) და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი დღესასწაულის გადმონაშთების მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ყაზბეგური ქანდაკებების ერთ ნაწილზე ცხენის თავია ამოზიდული, ქანდაკებების ერთი ჯგუფი შეუმკობელია, 6 ცალზე კი მხედრის ქანდაკებაა მოცემული, დანარჩენებზე შინაური და გარეული ცხოველებია გამოქანდაკებული.

---

[45] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. XXIII.

[46] В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957, с. 133. рис. 3(5); с. 151, рис. 21 (3,4).

[47] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 50; საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ საკითხთან დაკავშირებით ი. გაგოშიძეს ნაშრომში, „ადრეანტიკური ხანის ძეგლები ჭსნის ხეობიდან“, თბ., 1964, 36—40.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჟღარუნები ცხენის აკაზმულობის ნაწილს შეადგენდა. შესაძლოა, ასე მოკაზმული ცხენი რაღაც გარკვეული საზეიმო და სამგლოვიარო ცერემონიალის მონაწილე იყო. ცხენის ჩაყოლება მიცვალებულისათვის მეტად მიღებული იყო ძველად. მაგ., სოფ. ბალთაში გათხრილ სამარხებში პ. უვაროვა ადასტურებს ბევრ ასეთ შემთხვევას[48]; რაჭაში, ბრილის სამაროვანზეც ხშირად ვხვდებით ამ წესს[49], წიწამურშიც არის აღმოჩენილი ცხენიანი სამარხი; ვარსიმაანთ კარის სამაროვანზე ცხენის თავია დამარხული[50] და სხვ. მიცვალებულისათვის ცხენის აკაზმულობის ჩაყოლებაც ასევე მიღებული ყოფილა.

მრავლადაა აღმოჩენილი ცხენის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდები ინგუშეთში, ოსეთში, ბალყარეთში. ცხენის ნაცვლად მიცვალებულს ცხენის მოჭრილ ყურს ატანდნენ. ეს წესი შემორჩა შემდეგ საფლავის ძეგლად ქვის ცხენის ქანდაკებების გამოყენების სახით, რომელიც კავკასიაში მეტად გავრცელებულია. ძველი ხალხის რწმენით, ცხენი მიცვალებულს საიქიოში გასამგზავრებლად ესაჭიროებოდა[51].

რასაკვირველია, ასეთი გამოსახულებები ცხენის სატრანსპორტო საშუალებად გამოყენების შემდეგ შემოვიდა კავკასიაში.

ჟღარუნებზე მოცემულ ცხოველთაგან უნდა აღვნიშნოთ ცხვრის ქანდაკება.

ყაზბეგის განძში საერთოდ დიდი რაოდენობით შედის ცხვრის ქანდაკებები. ერთ შემთხვევაში ცხვარი მთლიანად არის გამოქანდაკებული და ეჟვანზე დგას, ვერძისათვის დამახასიათებელი პოზით. დანარჩენ შემთხვევაში ცხვრის მხოლოდ თავია გამოსახული. უმეტეს შემთხვევაში ისინი ზარდამჭერებს ამკობენ, თუმცა მშვილდსაკინძეზე, ხუთხელიან საკიდზე და ბრინჯაოს მასიურ რგოლზეც ვხვდებით. ყველა აღნიშნულს ახასიათებს პრიმიტივიზმი, მაგრამ ამასთან ერთად ისე ოსტატურად არის დაჭერილი ცხოველის საერთო იერი და დგომა, რომ ადვილად ხერხდება გამოსახულებაში ცხვრის გამოცნობა.

---

[48] П. С. Уварова, МАК, VIII, с. 132.

[49] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 1952, გვ. 54.

[50] ლ. წითლანაძე, ვარსიმაანთ-კარის სამაროვანი (ხელნაწერი).

[51] Л. Семенов, Арх. и Этнографические изыскания в Ингушетии в 1928 и 1929 гг., Известия НИИ, II—III, № 113—114.

ცხვრის სახე გავრცელებული მოტივია ძველ ქართულ ხელოვნებაში. ჯერ კიდევ ადრე, ბრინჯაოს ხანაში ვხვდებით თიხიდან ნაძერწ ცხვრის გამოსახულებებს[52] და იგი გვიან ფეოდალურ ხანამდე მიდის (საფლავის ქვებზე, სვანურ სახლებსა და კერებზე გამოსახულია ცხვრის თავის ქანდაკებები) ზეპირსიტყვაობაშიც შემონახულია ცხვართან დაკავშირებული ლეგენდები, როგორიც არის, მაგ., მითი ოქროს საწმისის შესახებ. ამ ცხოველის ასეთი ხშირი ასახვა სამეურნეო ყოფიდან გამომდინარეობს. საქართველოში მეცხვარეობა უძველესი დროიდან მეცხოველეობის ერთერთ ძირითად დარგს წარმოადგენს. უთუოდ ამან შეაპირობა ამ ცხოველის კულტიც[53]. მათ გამოსახულებას აპოტროპული ფუნქციებიც ენიჭებოდა. მასთან დაკავშირებით გარკვეული რიტუალი სრულდებოდა.

განსაკუთრებით მრავლად ვხვდებით ლითონისაგან დამზადებულ და ჩამოსხმულ ცხვრის ქანდაკებებს საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში (რაჭა, ყობანი, დიგორი). მათ ახასიათებს ფორმათა ნაირგვაროვნება და მრავალფეროვნება, მაგრამ შეიმჩნევა, რომ ქანდაკებათა ესა თუ ის ტიპი გარკვეულ რაიონებში უფრო მეტად არის წარმოდგენილი და სხვაგან მხოლოდ ერთეულებად გვხვდება. მაგ., შუა ბრინჯაოს ხანის რაჭა და დიგორი გარკვეული სახის ცხვრის თავის ქანდაკებას გვაძლევს. აქაური ქანდაკებებისათვის დამახასიათებელია პრიმიტივიზმი და სტილიზაცია. ცხვარს მასიური გადაგრეხილი რქები აქვს, მრგვალი ჭდეული ხაზებით გამოყვანილი თვალები, სამკუთხა ფორმის დრუნჩი. დრუნჩი და რქები ჭდეული ხაზებითაა შემკობილი. ასეთი ქანდაკებები, ცალკე საკიდის სახითაც გვხვდება და სხვადასხვა ნივთის სამკაულადაც, საკიდებს ყურის ნაცვლად რქებს შორის ნახვრეტი აქვს დატანებული, ხშირია მრავალგზის გადაგრეხილი რქები[54]. ყობანის სამარხებში ცხოველთა უამრავი ქანდაკება აღმოჩნდა. მათ შორის საკიდებად განკუთვნილი ცხვრის თავის გამოსახულებანი განსაკუთრებით ხშირია. ცხვარს მოგრძო, კარგად დამუშავებული სახე აქვს, ამობურცული თვალები, დიდი დატოტვილი რქები, რომელთა შორის

---

[52] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962, ტაბ. XXV.

[53] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 1952, გვ. 60.

[54] იქვე, ტაბ. XII; სურ. 1, ტაბ. II, გვ. 58.

ლამაზად არის ჩასმული საკიდი ყური; რქები და ყური ნაწილობრივ დაშტრიხულია ხოლმე.

ყაზბეგური გამოსახულებანი ზემოაღნიშნულ ცხვრის ჭანდაკებებს თუმცა ჰგავს, მაგრამ თავისი ორიგინალური ნიშნებიც ახასიათებს. ყაზბეგური ჭანდაკებები უფრო ენათესავება ახალგორულ გამოსახულებებს. ცხვრის ჭანდაკებები აქაც შტანდარტებზეა მოცემული[55], მაგრამ ახალგორული ცხოველის ჭანდაკებათა თავები უფრო სტილიზებულია. ერთ შემთხვევაში ცხვრის რქებზე არაფერია გამოსახული. თვით რქები თითქოს ფალიური ნიშნებით ბოლოვდება. მეორე შემთხვევაში, ისე როგორც ყაზბეგურ ნივთზე, ცხენის, ადამიანისა და ფრინველის გამოსახულებას ვხვდებით. ორთავიანი გამოსახულება კავკასიაში და მცირე აზიურ სამყაროში საერთოდ ძალზე გავრცელებული იყო, მაგალითად, ზემოთ უკვე მოხსენიებულ ორთავიან ცხოველზე მჯდომი ქალღმერთი[56]; ან კიდევ, ლურისტანის ბუნიკის ბოლოები, შემკული ორთავიანი ცხოველის თავებით[57]. ორთავიანი გამოსახულებები გვხვდება რუთხაშიც[58] და ეშერის მე-4 დოლმენშიც.

თხის გამოსახულება მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს, ყღარუნაზეა მოთავსებული[59]. ცხოველი გადმოცემულია ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნით: საკმაოდ დიდი რქებით, წვერითა და მოკლე კუდით. თხა საღვთო ცხოველთა რიცხვს მიეკუთვნება და მიწათმოქმედების დღესასწაულთან დაკავშირებული მისტერიის მთავარი მონაწილეა (გავიხსენოთ ბერიკაობა). თხის გამოსახულებიან ოქროს ფირფიტას ვხვდებით ურში, დედოფალ შუბადის სამარხში. თხის გამოსახულებიანი ოქროს ფირფიტების გვერდით ტყავზე დამაგრებული ყოფილა წვერიანი ხარებისა და ირმის გამოსახულებანი. თხა ძველი კოსმოგენური წარმოდგენების მიხედვით დედამიწის განმასახიერებელია.

საქართველოში თხის გამოსახულებიანი ბუნიკის თავი აღმოჩენილია სასირეთში[60]. განძად წოდებულ ნივთთა კომპლექსში (ძვ. წ.

---

[55] Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тб., 1934.

[56] М. М. Ростовцев, Эллинство и иранство на юге России, II, 1918.

[57] П. Уваров, МАК, VIII, таб. XXXIV, сур. 4, 5.

[58] Б. А. Куфтин, Мат. к Арх. Колхиды, т. I, 1949, 155.

[59] საქართველოს სახ. მუზეუმი, $\frac{2—02}{24\ 200}$.

[60] G. Nioradze, Der Verwàhrfun von Kvemo Sasirethi, ESA, VIII Helsinki, 1930.

XIII საუკ). მაგრამ ეს გამოსახულება როგორც დამზადების ტექნიკით, ისე სტილით განსხვავდება ყაზბეგურისაგან. ყაზბეგური გამოსახულებანი კავკასიის მთიანეთში (ყობანი, ჭამუნთაში), აღმოჩენილ ნივთებთან პოულობს ანალოგიებს[61].

ამგვარად, ყაზბეგის განძში წარმოდგენილია მცირე პლასტიკის ძეგლთა დიდი კომპლექსი, რომლის გასაკეთებლად გამოყენებულია ბრინჯაოს საშუალებით მათი გადმოცემის სხვადასხვაგვარი მეთოდი, რაც იმ დროის მეტალურგთა დიდ ოსტატობასა და მაღალ მხატვრულ გემოვნებას მოწმობს.

რით უნდა ავხსნათ ცხოველთა გამოსახულებების ეს სიმრავლე? ყაზბეგი არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. კავკასიაში მეტნაკლებად მსგავსი ჭანდაკებები მრავლად არსებობს. საფიქრებელია, რომ ესენი მარტო ესთეტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ უნდა შექმნილიყო. ცხოველთა მოშინაურების შემდეგ ადამიანი საქონელში ხედავს მეგობარს, მარჩენალს, რომელზედაც მისი კეთილდღეობა არის დამოკიდებული და ამ ნიადაგზე იწყებს მის გაღმერთებას, მფარველად აღიარებს და აქედან სათაყვანებელ საგნად აქცევს მას. ბ. ფარმაკოვსკის აზრით, „ელემენტებში“ ცხოველური სტილი საერთო იყო ყველა ხალხისათვის კაცობრიობის კულტურის განვითარების გარკვეულ სტადიაზე, როდესაც ეს სტილი რელიგიურ გრძნობებს ავლენს და როდესაც მის უკან იმალება რელიგიური სიმბოლური შინაარსი[62].

ცხოველთა კულტი უძველესი დროიდან არსებობდა კავკასიაში. ამაზე მიგვითითებს არქეოლოგიური მონაპოვრები მაიკოპისა და თრიალეთის ყორღანებიდან[63]. თრიალეთის ყორღანში, როგორც ითქვა, აღმოჩნდა ვერცხლის თასი რომელიც გადმოგვცემს სარიტუალო სცენას ცხოველებისა და ცხოველთა ნიღაბჩამოცმული ადამიანის მსგავს არსებათა მონაწილეობით.

ვ. კრუპნოვის აზრით, ცხოველთა ჭანდაკებების სიმრავლე ყაზბეგის განძსა და საერთოდ კავკასიაში გაპირობებული უნდა იყოს ტოტემისტური რწმენით[64]. ტოტემიზმი, როგორც ვიცით, გულის-

---

[61] П. С. Уваров, Мак, VIII, ტაბ. XXXV, XX.

[62] Б. В. Фармаковский, Архаический период в России, Материалы по археологии России, № 34, II, 1914, გვ. 15—78.

[63] Б. А. Куфтин, Археолог. раскопки в Триалети, I, 1941, გვ. 8.

[64] Е. И. Крупнов, Древняя История Северного Кавказа, М., 1960, с. 363.

ზმობს ადამიანის აუცილებელ კავშირს რომელიმე ცხოველთან, მცენარესთან და უსულო საგანთან[65]. უძველესი რელიგიური წარმოდგენა, ტოტემიზმი, წარმოიშვა გვაროვნულ საზოგადოებასთან ერთად და გადმონაშთის სახით შემორჩა პატრიარქალურ საზოგადოებას. ე. კრუპნოვი შესაძლებლად თვლის, რომ კავკასიის მთაში ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში არსებული ბრინჯაოს ჭანდაკებები ტოტემებს წარმოგვიდგენდნენ. ყაზბეგის განძში მათი არსებობა უნდა მივიჩნიოთ რომელიმე გვარის შეწირულებად თავისი მთავარი ღვთაებისადმი. მთავარი ღვთაება, მისი აზრით, ცხვრის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში საქართველოში არსებობდა საკულტო ადგილები, სადაც ცხოველებს თაყვანს სცემდნენ. ერთი ასეთი ადგილი სწორედ ყაზბეგის რაიონში ყოფილა. მაგ., ცდოში, ყაზბეგიდან 3 კმ. მანძილზე, მაღლობზე მდებარეობდა ოთხკუთხა შენობა, რომლის კედელზე ანდეზიტიდან გამოთლილი ცხვრის კერპი იყო[66]. მას უწოდებდნენ „კვირეის ყოჩს“. ცხვარს თავზე მიმაგრებული ჰქონდა ცალკე დამზადებული რქები, ფეხებზე სარიტუალო ჟღარუნები ეკიდა, კისერზე — ზარაკები. მისი დღესასწაული აღდგომის შემდგომ კვირაში მოდიოდა და წირავდნენ გაზაფხულზე მოგებულ პირველ ბატკანს, შესთხოვდნენ ცხვრისა და მამრობითი სქესის გამრავლებას, მტაცებლებისაგან დაცვას. ცხვრის კულტი აქ უკავშირდებოდა ნაყოფიერების ღმერთს — კვირიას. ამგვარად, მოხევეთა მთავარი ღმერთი კვირიას ცხვრის სახით წარმოგვიდგება.

ყაზბეგის მახლობლად არსებობდა კიდევ ერთი ვერძი, რომელსაც წვერის ანგელოზს უწოდებდნენ. მისი სადგომი მაღლა მთაში იყო. თვით კერპი ხის იყო, ვერცხლის ფირფიტებითა და რქებით შემკული. წვერის ანგელოზი იყო ღვთაება, რომელიც მფარველობდა ალპურ საძოვრებს. ამგვარად, ცხვარი — კვირია და წვერის ანგელოზი, მოხევეთა წარმოდგენაში, განასახიერებდა ორ ზებუნებრივ ძალას, რომელიც განაგებს ადამიანის კეთილდღეობას. კვირია უწყობს ხელს ცხვრის გამრავლებას, ხოლო წვერის ანგელოზი ცხვარს აწვდის საკვებს და იცავს მას საშიშროებისაგან[67]. ამრიგად,

---

[65] М. О. Косвен, Очерки истории первобытной культуры, с. 142.

[66] С. И. Макалатия, Культовые места и связанные с ними ритуальные обряды у грузин Мохевцев, Акад. наук СССР. XI. Москва-Ленинград, 1935.

[67] იქვე.

ცხვრის გამოსახულებიანი საკიდები სიკეთის მომტან სიმბოლოებს წარმოადგენენ. ფარმაკოვსკის[68] უნახავს ნივთი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო ცხვარი, ხოლო მეორეზე — მორიელი. ეს უკანასკნელი ძველ სამყაროში ავი თვალის საწინააღმდეგო თილისმად ითვლებოდა. ა. უვაროვი[69] მოგვითხრობს, რომ ვედის მიხედვით, ცხვრისთავიან საკიდს შეიძლება ეხსნა ადამიანი ყოველგვარი უბედურებისაგან.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცხოველთა ქანდაკებები დაკავშირებული იყო აგრეთვე მიცვალებულის კულტთან. ეს განსაკუთრებით ითქმის ქანდაკებებზე, რომლებიც სამარხებში ჩნდება. ამ ვარაუდის საფუძველს ჩვენ ვხედავთ მკვდრის სულთან დაკავშირებულ სვანურ ლიფანალასა და ადრე საგაზაფხულო დღესასწაულ ბემბლუში. რადგან ძველი რწმენით, მიცვალებული ყოვლისშემძლეა, საჭიროა მასთან კეთილგანწყობილებაში ყოფნა, რათა იგი ხელს უწყობდეს შინაური ცხოველების გამრავლებას. მიცვალებულის გულის მოსაგებად ასრულებდნენ მის სულთან დაკავშირებულ ყველა წესს. ლიფანალას დღესასწაულის დროს კლავდნენ საუკეთესო საქონელს, პურიდან ამზადებდნენ ყველა იმ ცხოველისა და ფრინველის გამოსახულებას, რომელთა ყოლაც სახლს უნდოდა, მათ შორის იყვნენ გარეული ცხოველებიც. ასეთ ნამზადს განსაკუთრებულ მაგიდაზე აწყობდნენ და წირავდნენ მიცვალებულს იმ იმედით, რომ მიცვალებულის შემწეობით საქონელი გამრავლდებოდა[70].

კავკასიელი ტომები გარეულ ცხოველებსაც ეთაყვანებოდნენ, რაც დაკავშირებული იყო მონადირეობასთან. კავკასიის მთაში ცოტა ხნის წინ კიდევ არსებობდა სამლოცველოები, სადაც მონადირე მთიულებს მიქონდათ მოკლული ჯიხვის რქები (მაგ., რეკომი), უეჭველია, რომ ყაზბეგის ქანდაკებებს ამ მოვლენებთანაც აქვთ კავშირი[71].

ამგვარად, ყაზბეგის განძის ცხოველთა ქანდაკებებს შეიძლება მივაწეროთ შემდეგი შინაარსი: ისინი წარმოადგენენ ავი თვა-

---

[68] Б. Ф. Фармаковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 175—178.

[69] А. С. Уваров, К какому заключению о бронзовом периоде приводят сведения о находках бронзовых предметов на Кавказе, Труды V-го археологического съезда.

[70] В. Бардавелидзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 163.

[71] იქვე, გვ. 164.

ლის საწინააღმდეგო თილისმებს, ტოტემებს, ასახიერებენ ღვთაებებს, რომელზეც დამოკიდებული იყო ნაყოფიერება, გამრავლება და სიუხვე. ამასთან ერთად განიხილებოდნენ, როგორც სამკაული და ხელოვნების ნიმუში, მათივე საშუალებით ვეცნობით იმ დროის ფაუნას.

ლაგმები

№ 109—111. — ყაზბეგის განძში აღმოჩნდა 3 ცალი ცხენის ლაგმის ნაწილი ძალზე დაზიანებული და დაჟანგული[72].

ბრინჯაოს ლაგმის ფრაგმენტი ტიპიური ამიერკავკასიური წარმომავლობისაა. ტაბ. XXI,1. უძრავი საყბეურები და ლაგმები ფართოდ იყო გავრცელებული ამიერკავკასიაში: საქართველოში, აზერბაიჯანში. ცალკეული აღმოჩენები ცნობილია ეგვიპტეში, ნიმრუდში, ათენში, ბულგარეთში, ოლინთში, ასეთივე ლაგმები აღმოჩნდა პოლტავშჩინაში[73], ქ. ლუმბნთან მიკვლეულ ყორღანში[74], ასეთივე ლაგმები ინახება კიევის ისტორიულ მუზეუმში. უკრაინის ტყე-სტეპიან ტერიტორიიდან ცნობილია მოცემული სახის რამდენიმე ვარიანტი, მაგ., კონსტანტინოვკიდან (ყორღან № 376 ბობრინსკის გათხრები)[75], აგრეთვე კიროვოგრადის მუზეუმის კოლექციიდან[76]. ანალოგიური საყბეური ცნობილია ბულგარეთიდან სოფ. ენდჯიდან[77]. აქაურ ლაგმებს ახლავს ბრინჯაოს ისრისპირები, რომლებიც ძვ. წ. VII—VI სს-ით თარიღდება.

უკრაინაში კავკასიური და ძველი აღმოსავლური ტიპის საყბეურების აღმოჩენის ფაქტი მიგვითითებს ტყე-სტეპის ტომების აღმოსავლეთ ქვეყნებთან დამყარებულ ურთიერთობაზე, სკვითური პერიოდის დასაწყისში.

---

[72] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. 75, 942:

[73] Г. Т. Тименко, Закавказские удила Найденные на полтавщине.

[74] T. Robinson, Excavation at Olynthus, London, 1941, CLXII, CLXIII.

[75] Отчет о раскопках, А. А. Бобринского в Черкасском и Чигиринском уезде, Киевской Губ. в 1901 г. и АКВ-4, В 32—33, I, 47.

[76] კიროვოგრადის მუზეუმი, № 750.

[77] Р. Попов, Могильные гробы при Эндже, Известия на Болгарская археологический инст., София, 1939, т. VI.

№ 112—116 — ყაზბეგის განძში შემავალი იარაღ-საჭურველი უმთავრესად რკინისაა, გამონაკლისს შეადგენს სატევრის 5 ტარი[78], 1 ცალი ისრისპირი და ბრინჯაოს ჭარჭაში. რკინის იარაღი: სატევარი, დანები, შუბისპირები ძლიერ დამსხვრეული და დაზიანებულია, რის გამოც ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი.

სატევრის ტარები ყველა მთლიანად სხმულია, წელში შევიწროვებულია. ერთს — წვერებით ერთმანეთისაკენ მიქცეული ორი სამკუთხა ამონაჭერი (სარკმელი) აქვს, რომელთაგანაც ერთი ღიაა, ხოლო მეორე — უცხო მასითაა ამოვსებული. ტარის სიგრძე — 10 სმ-ია. (ტაბ. XXII,1).

მეორე ტარი ნაკლებ მასიურია, თავთან მომრგვალებული, ქვედა ნაწილში, ვადასთან, მხოლოდ ერთი სამკუთხა ამონაჭერი აქვს. ტარის სიგრძე — 10 სმ-ია, (ტაბ. XXII, 2). არსებობს აზრი, რომ სატევრის ტარები ინკუსტრირებული ან ამოვსებული იყო რაიმე მასით, ან რკინით[79], თუმცა გამორიცხული არ არის მათი ღრუ და დაფანჯრული სახე. ხსენებული ბრინჯაოს ტარები მორგებული უნდა ყოფილიყო რკინის პირებზე, რომლებიც აღარ შემორჩა. განძში შემავალი რკინის სატევრის პირი არ მოერგო არც ერთ ბრინჯაოს ტარს. როგორც ჩანს, აღნიშნულ ტარებთან დაკავშირებული პირები სავსებით განადგურებულია.

ყაზბეგში აღმოჩენილი ბრინჯაოს ტარები განსაკუთრებით ემსგავსება ყობანის ანალოგიურ ნივთებს[80], მხოლოდ ყაზბეგურს თავი მომრგვალებული აქვს, ტარის შემკულობა განსხვავებულია და გააჩნია სამანჭვლეები, რის გამოც ივი უფრო ემსგავსება ეშერულ ანალოგიურ ნივთებს[81].

ა. ტალგრენის აზრით, ყაზბეგური სატევრის ტარები ვაცილებით უფრო ახლო ენათესავება და გენეტიკურ კავშირშია სამხრეთ კავკასიაში (რედკინ-ლაგერის, ყიზილ ვანქსში, ლენქორანში)

---

[78] ნივთები აღმოჩენილია გ. ფილიმონოვის მიერ და დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, მათგან ორი გამოფენილია, გამოქვეყნებულია პ. უვაროვას მიერ MAK. VIII. ტაბ. XX.

[79] П. С. Уварова, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[80] П. С. Уварова, დასახ. ნაშრ., ტაბ. VIII, სურ. 5; ტაბ. XVIII. I; ტაბ. IX, 2; ტაბ. X.

[81] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды I. ტაბ. XIII, სურ. 2.

აღმოჩენილ სატევრის ტარებთან. ამ შედარებას სათანადო საბუთიანობა აკლია[82].

გადმოცემით კომპლექსში შედიოდა სატევრის ხის ჭარჭაში პრინჯაოს გარსაკრავით დაფარული[83]. ამ ჭარჭაშის მხოლოდ ფრაგმენტებიღა დარჩა.

როგორც აღვნიშნეთ, განძის შემადგენლობაში, მრავლად ყოფილა რკინის იარაღი, მაგრამ ნაწილი მოპოვებისთანავე დაიშალა, ნაწილი დროთა განმავლობაში საცავებში განადგურდა. მთლიანი, ან ცოტათ თუ ბევრად გასარჩევი სახით — მცირე რამ შემორჩა.

სატევრისპირი[84] ორმხრივლესული, ბოლოსაკენ შევიწროებული, წვერწატეხილი, სატევარს ტარი ან სატარე ყუნწი არ გააჩნია, არც მისი ნაშთი შეინიშნა. შემორჩენილი ნაწილის სიგრძე — 26 სმ-ია, ყველაზე ფართო ნაწილის 5,5 სმ. სატევარი სკვითური აკინაკის მსგავსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცუდი დაცულობის გამო, ფორმაზე მსჯელობა ჭირს.

№ 117—121 — ყაზბეგის განძიდან ხუთი რკინის შუბისპირი შემორჩა, დაზიანებული, გრძელმასრიანი ფრთებფართო, შუაში მაღალქედიანი[85]. ზოგიერთს მასრაში ხის ნატეხი შემორჩენია (ტაბ. XXIII, 1. 2.).

შუბისპირების სიგრძე 1,21 სმ-ია, სიგანე —2,8 სმ, მასრის დიამეტრი — 2.5 სმ.

შუბისპირის სიგრძე — 20 სმ, სიგანე — 3 სმ, მასრის დიამეტრი — 2,6 სმ.

მესამე შუბისპირის სიგრძე — 20 სმ-ია, სიგანე — 4,7 სმ, მასრის დიამეტრი — 2,3 სმ და ა. შ.

15 ცალი რკინის შუბისპირი აღმოჩნდა 1874 წ. გზის გაყვანასთან დაკავშირებულ მიწის სამუშაოების დროს. ეს შუბისპირებიც ცუდათაა შემონახული. მათ შორის ვარჩევთ ყუნწიან და მასრიან შუბისპირებს[86].

---

[82] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[83] Г. Д. Филимонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

[84] П. С. Уварова, МАК VIII, с. 150. მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ფონდები, 54, გვ. 756.

[85] სამი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია, კოლ. 75942, ორი საქართველოს სახ. მუზეუმში $\frac{2—02}{114/306}$, $\frac{2—02}{115/307}$

[86] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. № 54746.

გრძელმასრიანი და მკვეთრად გამოხატული ქედიანი შუბისპირები გავრცელებული იყო ამიერკავკასიაში რკინის ფართო ათვისების ხანის პირველ საფეხურზე და მესამე საფეხურამდე აგრძელებდა არსებობას[87]. ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში იგი უფრო მოგვიანებით, კერძოდ, ადრე სკვითურ ხანაში ვრცელდება (ზემო ყობანი, ნესტოროვსკოე[88], კამენომოსტსკოე[89], ისთისუ[90]). ე. კრუპნოვის აზრით, ისინი თავდაპირველად გავრცელდნენ ამიერკავკასიაში, ხოლო შემდეგ ააღწიეს ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის სტეპებს[91].

ხსენებული შუბისპირების ამიერკავკასიურ წარმოშობას მხარს უჭერს აქ მათი პროტოტიპების არსებობა. კერძოდ, თლიში[92], სამთავროს ქვედა სართულის სამარხებში[93], თრიალეთში[94]. ბეშთაშენის ციხესთან აღმოჩენილა მათი ადრეული ფორმები.

გ. ფილიმონოვის ცნობით, განძში სპილენძის ისრისპირიც შედიოდა. მაგრამ ჩვენ მას ვეღარ მივაკვლიეთ. ამ პერიოდში ბრინჯაოს ისრისპირის გამოჩენა გამორიცხული არ არის, რადგანაც, როგორც ცნობილია ბრინჯაოს ისრისპირები, რკინის იარაღის გვერდით დიდ ხანს რჩება ხმარებაში.

მასალის მიხედვით აშკარა ხდება, რომ რკინამ განდევნა ბრინჯაო და გაბატონებული ადგილი დაიკავა ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა ბრინჯაო კვლავ გამოიყენებოდა სამკაულების, საკულტო დანიშნულების საგნებისა და სხვათა დასამზადებლად. საკვლევ კომპლექსში ბრინჯაოს ტარების არსებობა მეტყველებს ძველი ტრადიციების გადმონაშთებზე, რომელიც მთაში უფრო გვიანამდე შემორჩა, ვიდრე ბარში.

---

[87] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 373.

[88] Е. И. К р у п н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 482, ტაბ. XII (5).

[89] А. А. И е с с е н, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МИА. 3, 1941, გვ. 91, სურ. 43.

[90] О. А. А р т а м о н о в а-П о л т а в ц е в а, დასახ. ნაშრომი.

[91] Е. И. К р у п н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

[92] П. С. У в а р о в а, МАК VIII, ტაბ. XX, სურ (1).

[93] F. B a y e r n, დასახ. ნაშრომი, 1941 წ. ტაბ. XVI, გვ. 70;

[94] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалетии, тб., 1941, таб. XVI; таб. XIV, с. 70.

თავი მესამე

პირადი მოხმარების საგნები

სამაჯურები

№ 122—124 — ბრინჯაოს სამაჯურები. ერთ-ერთი სამაჯური ფართო ბრინჯაოს ფურცლიდანაა დამზადებული, თავები შეკრული არა აქვს. ორივე ნაპირის გასწვრივ მოუყვება ორნამენტი, რომელიც ირიბი ჰდეული ხაზებისაგან და წერტილებით ამოვსებული სამკუთხედებისაგან შედგება. სამაჯურის სიგანე 3,1 სმ-ია, დიამეტრის —5,2 სმ, თავებს შორის მანძილი —1,7 სმ-ია (ტაბ. XXIV, 1).

დანარჩენი ორი სამაჯურიც ასევე თავშეკრულია, მაგრამ ღერო ვიწრო აქვს. ერთი მათგანი განივკვეთში ოთხკუთხაა. მეორე მრგვალი და ბოლოებისკენ შევიწროებული. ამ უკანასკნელის ზედაპირი შემკულია განივი ნაჭდევი ხაზებითა და ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებით. სხვა ორი სამაჯურიც მსხვილი ბრინჯაოს მავთულისაგან არის დამზადებული და ბოლოებზე ზოომორფული გამოსახულებანი ახლავს, თვითეულის ზედაპირი, განივი მარცვლისებური ბურცობებითაა დაფარული[1]. (ტაბ. XXIV, 4).

№ 125—127 — იქვეა მავთულისებური სამი სამაჯურის ნატეხი.

სამაჯურები გვეხმარება განძის დათარიღების საკითხში. როგორც აღვნიშნეთ, სამაჯურების უმეტესობა ჩვეულებრივ ოვალური მოყვანილობისაა, ლითონის რგოლი ცხოველის თავების გამოსახულებითაა დაბოლოებული. გამონაკლისს წარმოადგენს ზემოთ აღწერილი ერთი სალტისებური, ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებული სამაჯური, რომელსაც ა. ტალგრენის სიტყვით მხოლოდ

[1] ვინაიდან სამაჯურები ადგილზე არ აღმოჩნდა, ვსარგებლობთ ა. ტალგრენის აღწერილობით. A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

ორნამენტაცია აკავშირებს ამ პერიოდის კავკასიურ მასალებსა და განძის სხვა ნივთებთან (ჩქიფებთან, სარტყლის შემკულობასთან)[2]. მისი პროტოტიპები გვიან ბრინჯაოს ხანის მასიურ სამაჯურებში უნდა ვეძებოთ. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ხვწეში აღმოჩენილი ერთ-ერთი სამაჯური[3].

ერთი სამაჯურის ღერო ყაზბეგური ფიბულებისათვის დამახასიათებელი მძივისებური ბურცობებით არის დაფარული, რაც, ერთხელ კიდევ აკავშირებს ერთმანეთთან ყაზბეგის კომპლექსში შემავალ ნივთებს. ანალოგიურ ნივთებს ვხვდებით, როგორც ამიერკავკასიაში, ისე ყობანურ მასალებს შორის[4] (ტაბ. XXIV, 4).

ყაზბეგში აღმოჩენილი ერთ-ერთი სამაჯურის ღერო ჭდეული ხაზებით არის ორნამენტული. მსგავსი სამაჯურები აღმოჩენილია ზემო რუთხაში[5], ნესტროვისა[6] და ლუგოვოს[7] სამარხებში, ურსუმარტანში[8]. ზემო რუთხას სამარხებს, რომელთა შორისაც სამაჯურების შემცველი განძი იქნა აღმოჩენილი, ე. კრუპნოვი ყობანის კულტურის მეორე ეტაპის დასაწყისს მიაკუთვნებს და ძვ. წ. VII—IV ათარიღებს[9].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განძში შემავალი სამაჯურები რკალშედრეკილი არა ჩანს (შესაძლოა დამსხვრეულთა შორის იყო ასეთებიც). რკალშედრეკილი ცხოველის თავებით დაბოლოებული სამაჯურები ძირითადში ძვ. წ. VI—IV სს ჩნდება ჩვენში, ე. ი. ყაზბეგის განძში შემავალი აღნიშნული სამაჯურები ძვ. წ. VI ს უფრო ახალგაზრდა არ უნდა იყოს.

მშვილდსაკინძები

№ 128—150[10]. — ყველა საკინძის დამახასიათებელია მაღალი მშვილდი და ფართო ბუდე. ზოგ შემთხვევაში (დიდი ნიმუშის)

---

[2] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

[3] Б. А. Куфтин, Археолог. маршрут. экспедиция, с. 28, ტაბ. VII (I).

[4] П. С. Уварова, МАК VIII, ტაბ. 34, სურ. 13.

[5] Е. Н. Крупнов, Древняя история Сев. Кавказа, გვ. 219.

[6] Е. Н. Крупнов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. X, VI, გვ. 468.

[7] Е. Н. Крупнов, დასახ. ნაშრომი, XI, გვ. 487.

[8] О. А. Артаманова-Полтавцева, Культура Северно-Восточного Кавказа в Скифской период. С. А. XIV, 1950.

[9] Е. Н. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[10] გ. ფილიმონოვის მიხედვით, ყაზბეგის განძში შედიოდა 21 ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, პ. ღვაროვა კი 22 ფიბულას იხსენიებს, აჯგუფებს მათ ზომების მიხედვით.

ბუდის სიგანე 5 სმ.-ს აღწევს. მშვილდი განივკვეთში უმეტესად მრგვალია (ზოგჯერ გრეხილი) და შემკულია განივი ნაჭდევი ხაზებით, რომლებიც ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად არის განლაგებული. ასეთი ჯგუფები ზოგან სამია, ზოგან — 10-მდე (ტაბ. XXVI,1). დიდი ზომის მშვილდსაკინძეთაგან ერთ-ერთი შემკულია სამ ჯგუფად განლაგებული სამკუთხედებით, რომლებიც ასევე ჭდეული ხაზებითაა შემოსაზღვრული. ამ ფიბულის ბუდეზე ზოომორფული გამოსახულებაა წარმოდგენილი. მეორე დიდი ზომის საკინძის მშვილდს ცხვრის თავის სამი სკულპტურული გამოსახულება ამკობს. ერთ მათგანზე ოდნავ შემორჩენილია წიწვისებური სახეების კვალი. მშვილდსაკინძების უმეტესი ნაწილი ცალი მხრიდან არის შემკული, მეორე მხარე — სადაა.

მდიდრულად არის შემკული მცირე ზომის მშვილდსაკინძები. ერთ-ერთი ასეთი საკინძის მშვილდი იმდენად ღრმად არის დალარული, რომ მისი რკალი მძივების ასხმას მოგვაგონებს. თავის მხრივ, ბურცობები გასწვრივი ხაზებით არის დახაზული (ტაბ. XXV, სურ. 4, 6, 7.). ერთ-ერთი ასეთი ფიბულის ბუდეზე სვასტიკაა მოცემული, ერთზედაც ბრინჯაოს ჯაჭვია შემორჩენილი, რომელზეც საკიდები უნდა ყოფილიყო დამაგრებული. მხოლოდ ერთი ნივთია განსხვავებული თავისი შემკულობით — სამ ჯგუფად განლაგებული სამკუთხედებით, რომლებიც შუა ნაწილში ფუძით ერთმანეთისკენ არიან მიქცეულნი და ჭდეული ხაზებით გამოყოფილი. სამკუთხედები თავის მხრივ, ჭდეული წერტილებითაა შევსებული. ზოგიერთ მშვილდსაკინძს ენა აკლია[11]. რვა მშვილდსაკინძის სიგრძე 22—17 სმ-ია, 3-ის სიგრძე — 14 სმ-ს არ აღემატება. 4 ცალის ზომა — 12—10 სმ-ია, ხოლო ექვსი ნიმუშის სიგრძე 4—2 სმ-ით განისაზღვრება.

მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ერთი ჯგუფი ნივთებისა, რომლებიც აღმოჩენილია 1874 წ. მიწის სამუშაოების დროს ყაზბეგის სახლმუზეუმის ეზოს მახლობლად, გზაზე[12]. სწორედ ეს მონაპოვარი გახდა საბაბი გ. ფილიმონოვის მიერ ყაზბეგების ეზოში გათხრების წარმოებისა. კოლექცია შედგება სხვადასხვა სახის მშვილდსაკინძებისაგან. მათი საერთო დამახასიათებელი ნიშნებია მაღალი მშვილდი, ფართო ბუდე და ცალი მხრიდან შემკული რკალი. უდიდესი ცალების მიახლოებითი სიგრძე 22 სმ,

---

11 A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

12 მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლექცია № 54746.

სიგანე — 4 სმ, სიმაღლე — 3 სმ. ზოგ შემთხვევაში საკინძის მშვილდი დაწახნაგებული ან მძივისებური ბურცობებითაა შემკული.

მეორე ჯგუფი წარმოდგენილია უფრო მომცრო ზომის ბშვილდსაკინძებით. ისინი ფორმით ზემოთ აღწერილებს ემსგავსებიან, მაგრამ შემკულობით — განსხვავდებიან. მათი მშვილდი ერთი მხრიდან დაწახნაგებულია და სამ ჯგუფად დანაწილებული სახეები ამკობს. თითოეული ჯგუფი შედგება სამ მწკრივად განლაგებული სამკუთხედებისაგან, რომლებიც თავის მხრივ შევსებულია წერტილებით. ორ შემთხვევაში სამკუთხედებს წვერები ერთმანეთისაკენ აქვთ მიქცეული, ორ შემთხვევაში კი — ფუძეებით ებჯინებიან ერთმანეთს. ხსენებული მშვილდსაკინძებიდან — ერთ-ერთზე ბრინჯაოს ჯაჭვია შემორჩენილი. ამ მშვილდსაკინძებს შორის ორი გრეხილრკალიანია. ერთი მათგანის სიგრძე — 7,4 სმ-ია, მეორის —17, ხოლო ერთის მშვილდი კვეთში ოთხკუთხედს იძლევა. ეს უკანასკნელი შემკულია წიწვოვანი ზოლებით, რომლებიც ურთიერთისაგან გამოყოფილია ჰდეული წერტილებით. ამ ფიბულების სიგანე — 6,3 სმ-ია, ბუდე საშუალო ზომისაა, ენა აკლია. განცალკევებით დგას სამი მშვილდსაკინძი[13]. ორი მათგანი ერთნაირია და მხოლოდ ზომებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი მაღალი რკალი შუა ნაწილში, წახნაგოვანია. ბოლოებისაკენ კი მომრგვალებული. მშვილდის ზედაპირი დაფარულია ჰდეული სამკუთხედებით. ფართო ბუდის ზედაპირზე ორნამენტია. პირველის სიგრძე — 22,5 სმ-ია, სიმაღლე — 14 სმ. მეორის სიგრძე — 7,3 სმ, სიმაღლე — 5 სმ. მესამე მშვილდსაკინძი ნაკლულია, შემკულია ღრმად ჩაღარული განივი ხაზებით, ზურგზე სამი საკიდი ყური აქვს, რომელზეც ჯაჭვია ჩამოკიდებული. თავის მხრივ ჯაჭვები ხუთკოპიანი საკიდებით ბოლოვდება. ფიბულის სიგრძე — 9 სმ-ია, სიმაღლე 7 სმ, ჯაჭვის სიგრძე — 2 მ.

ყაზბეგში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები, მშვილდის მოყვანილობისაა და შემკულობის მიხედვით შეიძლება დავყოთ რამდენიმე ტიპად:

I. სახეებით შემკულმშვილდიანი მშვილდსაკინძები.

ქვეტიპები 1. წიწვისებურად განლაგებული ჰდეული წერტი-

---

13 სამი მშვილდსაკინძი აღმოჩენილია სოფ. ყაზბეგში. მომდინარეობს ოლშევსკის კერძო კოლექციიდან, დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში, № 84. A. M. T a l l g r e n, დასახ. ნაშრ. გვ. 121, სურ. 10.

ლებით და გეომეტრიული სახეებით შემკული მშვილდსაკინძები.

2. ჰდეული განივი ხაზებით შემკული მშვილდსაკინძები (ტაბ. XXVII,1).

II გრეხილრკალიანი მშვილდსაკინძები.

III მძივისებურად დაჭრილ ზედაპირიანი მშვილდსაკინძები (ტაბ. XXV, 4—7).

№ 151 — საკინძები ყაზბეგის განძში შედარებით ცოტაა, ჩვენ მხოლოდ ერთი ნივთი შეიძლება დავასახელოთ მაშინ, როდესაც იგი მეტად გავრცელებული სამკაული იყო ამიერკავკასიაში. ჩანს, რომ საკინძების მაგივრობას აქ ფიბულები ასრულებდნენ, ან ჩაცმულობა დამხმარე ატრიბუტს არ საჭიროებდა. ყაზბეგური საკინძი თავკოპიანია და ფორმით კონუსისებურ ბალთას მოგვაგონებს, წააგავს სომხეთში[14] ყიზილვანჭში[15] და ოსეთში[16] აღმოჩენილ საკინძებს.

ჩ ჟ ი ფ ე ბ ი

№ 152—156 — ყაზბეგის განძში სხვა ნივთთა შორის შედიოდა 5 ცალი ბრინჯაოს ჩჟიფი. ეს ნივთები დაახლოებით ერთნაირი ფორმისაა, მაგრამ თითოეული მაინც რაღაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, (ტაბ. XXVIII, 1—5).

ერთ-ერთი ჩჟიფი[17] პატინისაგან გასუფთავებულია, მისი ორივე ბოლო მჭიდროდ ედება ერთმანეთს. მხოლოდ თავთან არის დარჩენილი რგოლის გასაყრელი სივრცე. ჩჟიფის ნაპირებს წიწვისებური შემკულობა მიუყვება, ზედა ნაწილში ხსენებულ შემკულობას ემატება ჰდეული წერტილებით ამოვსებული სამკუთხედები, რომელთა წევრები ერთმანეთისაკენაა მიქცეული. ნივთის ქვემო ნაწილში ჰდეული წერტილებით გამოსახულია ირემი, რომელსაც დიდი, გატოტვილი რქები და მოღერებული კისერი აქვს. ჩჟიფის მეორე გვერდიც შემკულია, მაგრამ ირმის გამოსახულება

---

[14] НАК, 290, საკინძები დაცულია მოსკოვის ისტ. მუზეუმში, კოლ. 75942.

[15] ESA, II, გვ. 205, სურ. 110 (1—2).

[16] ESA, გვ. 24, სურ. 12.

[17] მოსკოვის ისტ. მუზეუმი, კოლ. 75942.
A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, 140.

არ ახლავს. ნივთის სიგრძეა — 13,3 სმ, სიგანე — პირთან — 2,7 სმ, თავთან — 1,6 სმ, (ტაბ. XXVIII, 4).

მეორე, საკმაოდ დიდი ზომის ჩქიფი ასეთივე ტიპისაა[18], გასუფათვებულია პატინისაგან. მისი ზედაპირი ზოგ ადგილას დაფარულია ოდნავ შესამჩნევი ამოკაწრული სახეებით. ნივთის სიგრძეა 14,5 სმ, პირის სიგანე — 3 სმ, თავის სიგანე — 2 სმ.

მესამე ჩქიფიც მსგავსია ზემოთ აღწერილი ჩქიფებისა. მასაც თავთან საკიდი რგოლი ახლავს და პირთან, ბოლოში წიწვისებური ჭდეების მეშვეობით რაღაც გამოსახულებაა მოცემული. სიგრძე 14,8 სმ-ია, პირის სიგანე 2,8 სმ.

მეოთხე ჩქიფი ვიწრო გვერდებიანია. პირები რომ არ გაიშალოს და ელასტიურობა არ დაკარგოს, ბრინჯაოს რგოლით არის შეკრული: შემკულობა არ ახლავს, პატინისაგან გასუფთავებული არ არის. ნივთის სიგრძეა 14 სმ, პირის სიგანე — 1,6 სმ, თავის — 0,6 სმ[19].

მეხუთე ჩქიფი, ზემო აღწერილი სამი ჩქიფის მსგავსია, მაგრამ ზომით განსხვავდება. ჩქიფი შემკულია, ორივე გვერდზე ირიბი ჭდეული ხაზებით ორი ერთმანეთზე დადგმული სამკუთხედია მოცემული. ბოლოში რგოლი აქვს გაყრილი, რომელიც მსხვილ ჯაჭვს უკავშირდება. ნივთის სიგრძე 26,5 სმ-ია, (პირის დმ-3.8 სმ, თავის — 2,8 სმ, ჯაჭვის სიგრძე — 53 სმ. რგოლის დმ — 5 სმ.

ამგვარად, ყაზბეგურ კომპლექსში მოცემულია ორი ტიპის ჩქიფები: ფართოგვერდიანი შემკული და ვიწროგვერდიანი სადა. ყველა მათგანი დიდი ზომისაა. საფიქრებელია, რომ თავთან რგოლები ჰქონდათ და მასში გაყრილი ჯაჭვის საშუალებით სარტყელზე მაგრდებოდნენ.

ჩქიფები ამიერკავკასიაში გათხრილ ბევრ სამარხეულ კომპლექსშია აღმოჩენილი, რაც მათ ფართო გამოყენებაზე მეტყველებს. მაგ., სამთავროს სამაროვანზე მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა სახის ჩქიფები[20] ძვ. წ. XIII—VI სს-ის სამარხებში[21]. ბრინჯაოს ჩქიფები აღმოჩენილია კასპის (ძვ. წ. IX—XI სს)[22]. და ბრი-

---

[18] მოსკოვის ისტ. მუზეუმი 75942/2; A. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, სურ. 47.

[19] П. С. Уварова, МАК, VIII, ტაბ. XX, სურ. 4.

[20] სამარხი № 225, 289, 470 და სხვ.

[21] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და ტ. XXI-B 1957.

[22] მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, სამარხი № 14 (ხელნაწერი).

ლის, (ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანის) სამაროვნებზე[23]. აფხაზეთში აგუძერასთან[24] და 1927 წ. ეშერაში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ფართოპირიანი ჩქიფი.

ყაზბეგში აღმოჩენილ ერთ-ერთ ჩქიფს განსაკუთრებით უახლოვდება დვანის ნეკროპოლზე ძვ. წ. VII ს. მოპოვებული ცალი, რომელსაც ფორმით მსგავსებასთან ერთად ირმის გრაფიკული გამოსახულება და ზენისებური ხვიები აახლოებს[25] (ტაბ. VIII, 2).

ფანტასტიური ცხოველის გამოსახულებით შემკული ჩქიფი აღმოჩნდა სოფ. ზინდისში[26], ხოლო ოქორაში (სამხრეთ ოსეთში) ძვ. წ. VII საუკუნის სამარხში იპოვნეს ძალზე ცუდად დაცული ჩქიფი, რომლის ორნამენტაციის გარჩევა შეუძლებელი შეიქმნა.

ო. ჯაფარიძე ასხვავებს რა ერთმანეთისაგან საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ასეთივე სახის ნივთებს, აღნიშნავს, რომ ადრეული ხანისათვის დამახასიათებელია დიდი ზომის, ტლანქი ჩქიფები, ხოლო გვიანი პერიოდისათვის — უფრო მომცრო[27]. ყაზბეგში აღმოჩენილი ჩქიფები კი საკმაოდ დიდი ზომისაა.

ქრონოლოგიური მომენტის გათვალისწინების გარეშე, საერთოდ, შეიძლება განვასხვაოთ ფართო, თითქმის სწორგვერდიანი (ყაზბეგი), გამოყვანილ გვერდებიანი (ზინდისი) და ბოლოში გაფართოებული (აგუძერა) ჩქიფები. ფართოგვერდიანი ცალები უმეტესად ზოომორფული და სოლარული მოტივებითაა შემკული. ჩქიფებს, როგორც ჩანს, არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და გამოიყენებოდა უძველესი დროიდან მთელს მსოფლიოში. მაგ., ოქროს ჩქიფი აღმოჩენილია ურის მეფეთა სამარხში (მე-3, მე-4 ათასწლეული)[28], თუმც იგი თავისებური სახის ნივთია, შედგება ორი ერთმანეთთან შედუღებული ნაწილისაგან, რომელსაც თან ახლავს ყურის საჩიჩქნიც. ლითონის ფურცლისაგან დამზადებული ჩქიფი უძველესი დროიდან ცნობილია ეგვიპტეში, ეგეოსის

---

[23] გ. გობეჯიშვილი, ბრილის არქეოლოგიური ექსპედიცია, ანგარიში.

[24] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი I, 1949, с. 132, 148 (27).

[25] ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, 1953, გვ. 10, სურ. 4.

[26] ს. მაკალათია, დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, 1948.

[27] ო. ჯაფარიძე, არქ. გათხრები სოფ. ოქორაში, თბ., სახ. უნივ. შრ., ტ. 65, 1957, გვ. 203.

[28] G. Contenau, Manuel d'archeologie orientale depuis les origines jusqu'a l'epoque d'Alexandre, III, Paris, 1931, გვ. 1515, სურ. 924.

სამყაროში[29], კუნძულ კვიპროსზე, დუნაის ქვეყნებში, სამხრეთ მესოპოტამიაში[30], ჰალშტატში, სკანდინავიის ქვეყნებში, თეფი გავრაში. ამგვარად, ჩქიფების როგორც ქრონოლოგიური საზღვრები, ისე გავრცელების გეოგრაფიული არე საკმაოდ ფართოა. მათი დანიშნულების შესახებ მკვლევართაგან გამოთქმულია სხვადასხვა აზრი, ა. ტალგრენის მიხედვით, მაშა თმების, კერძოდ, წვერის საგლეჯად გამოიყენებოდა. რამდენადაც ძველად პირის საპარსი მოწყობილობა ხშირად დაკავშირებული იყო გარკვეულ კულტთან (სკანდინავიაში სამართებელი უკავშირდებოდა მზის სიმბოლოს, ეგვიპტეში — რელიგიური გაწმენდის იარაღი იყო), ამიტომაც მკვლევარი მას საკრალური დანიშნულების ნივთად მიიჩნევდა[31].

მედიცინის ისტორიკოსები ჩქიფებს უძველეს ქირურგიულ იარაღთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ[32]. ბორწყალის, ანუ ჩქიფის „დანიშნულება უნდა ყოფილიყო ჭრილობის ნაპირებისა და სხვადასხვა ქსოვილების გაწევა-გამოწევა, სხეულის სხვადასხვა მიდამოებში მოხვედრილი უცხო სხეულის ამოღება, ბამბის ბურთულით ჭრილობის ნაპირების მოწმენდა და სხვა“[33]. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩქიფებს მხოლოდ მამაკაცის სამარხებში ვხვდებით. შესაძლოა, მართლაც ქირურგიული ინსტრუმენტის დანიშნულება ჰქონდა და გამოიყენებოდა ჭრილობიდან ისრის წვერების ამოსაღებად.

ამგვარად, ბრინჯაოს ჩქიფები ახლანდელ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე გვხვდება.

სარტყლის ბალთები

№ 157—160 — საყურადღებოა აგრეთვე სოფ. ყაზბეგში აღმოჩენილი ცხოველის სტილიზებული გამოსახულებანი, რომ-

---

[29] D e C h e l l e t e, Manuel d'archeologie preistorique celtique et gallo-romanie, ტ. III, Paris, 1910, გვ. 340.

[30] G. C h i l d e, Die Bedeutung der altsumerischen metalltypen fur die chronologie der europischen Bronzezeit, B Mittoil anthrop Gesellschaft in uren LXIII, 36, 1933, გვ. 19.

[31] A. M. T a l l g r e n, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

[32] პ. ფ ი რ ფ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ზოგიერთი ქართული ხალხური საექიმო იარაღი, ხელსაწყო და ჭურჭელი. საქართველოს მეც. აკად. მოამბე. ტ. XIX, № 2; მ. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი და ა. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მედიცინის ისტორია, 1958.

[33] პ. ფ ი რ ფ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

ლებიც საკიდებს ან ბრტყელი ჭამრის ბალთებს უნდა წარმოადგენდეს[34].

ყველა მათგანი გამოსახავს მოძრაობაში მყოფ მწევარ ძაღლს (?) თუ ცხენს (?). ცხოველს თავი დახრილი აქვს, პირი ღია, ყურები უკან გადაწეული, კისერი და გავა ამოზნექილი, კუდი მოკლე და ზევით აპრეხილი, გავა მომრგვალებული, ძალზე სტილიზებული ფეხები მკერდთან და თავთან მიუტანია. თათები კაუჭის სახითაა წარმოდგენილი. ნივთს თან ახლავს ტყავის ნარჩენები. ნივთის სიგრძეა 13 სმ[35] (ტაბ. XXIX, 1—3).

მეორე ბალთა ზემოთ აღწერილის ანალოგიურია, მაგრამ ცხოველის გამოსახულება გაცილებით უფრო სტილიზებულია. ამ შემთხვევაში ცხოველის ძაღლთან მსგავსება უფრო მეტად შეინიშნება, ვიდრე პირველ ბალთაზე. ცხოველი მოძრაობაშია მოცემული. ყური უკან აქვს გადაწეული, სტილიზებული ფეხები მუცელსა და მკერდზე მჭიდროდაა მიკრული; კუდის ქვემოთ მრგვალი ყუნწი აქვს, რაც საგნის საკიდად გამოყენებას გვაფიქრებინებს. ნივთზე სამ ადგილას ღია სამკუთხედი მოყვანილობის სარკმელია გამოჭრილი, ბალთის სიგრძეა 14 სმ[36].

მესამე ბალთაზე[37] მოცემულ ცხოველს პირი დაღებული აქვს, ყურები უკან გადაწეული, კუდის ნაცვლად საკიდი ყური აქვს, რომელზედაც ჯაჭვია შემორჩენილი. ცხოველის თვალები გამჭოლი ხვრელით არის წარმოდგენილი, ტანი დაფანჯრული აქვს, სამკუთხა და კვერცხისებური ფორმის ამონაჭრებით, რომელსაც ბაწრისებური ორნამენტი შემოუყვება. კბილები ჭდეული ხაზებითაა მოხაზული. საკიდი ბალთა ორმხრივია. სიგრძე — 15 სმ-ის, სიგანე — 3,5 სმ[38].

არსებობს კიდევ აღნიშნული ბალთების მსგავსი სხვა ბალთაც. ამ შემთხვევაში ცხოველს ყურები და თათები გაერთიანებული აქვს, რაც მას განასხვავებს ზემოთ აღწერილი ბალთებისაგან.

---

[34] გ. ფილიმონოვი განძის შემადგენლობაში მოიხსენიებს ორ ასეთ ნივთს (გვ. 6, 15). П. С. Уварова, МАК, VIII, с. 142, ტაბ. VIII, სურ. 4, 5.

[35] ეს ნივთი ზემოაღნიშნულ მკვლევართა მითითებით, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჟამად ადგილზე არ აღმოჩნდა.

[36] გამოფენილია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, 1796; П. С. Уварова, МАК, VIII, ტაბ. VIII, 4; A.M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, 51.

[37] მესამე ბალთა მოსკოვის ისტ. მუზ. კამაროვის კოლექციიდანაა შევიდა.

[38] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, სურ. 47, III. E. Chantre 60:4.

№ 161—164 — ყაზბეგის განძში შედის, აგრეთვე, მთელი წყება ბრინჯაოს ბალთებისა[39] და ბრინჯაოს სარტყლის რამდენიმე ნატეხი[40].

ერთ-ერთი ბალთა წარმოადგენს ოთხკუთხა ბრტყელ ფირფიტას, რომლის ზედაპირი მთლიანად შემკულია[41]. ბალთას კუთხეების ნაცვლად მომრგვალებული თვლები აქვს. კიდეები შიგნით შეწეული და დაკბილულია. მხოლოდ ერთი მხარეა დაუკბილავი. შემკულობა ბალთის ფორმას ერწყმის. ფირფიტის მომრგვალებულ ნაწილში ბაწრისებური ორნამენტი სამ-სამ კონცენტრულ წრეს წარმოქმნის. თვალის ცენტრში მრგვალი გამჭოლი ნახვრეტია მოცემული. ამ თვლებს შორის ჰდეული წერტილებით შედგენილი სამკუთხედია მოთავსებული. თითოეული სამკუთხედი კიდევ სამკუთხედებითაა ამოვსებული. ბაწრისებური ორნამენტი დაკბილულ კიდეებსაც მიუყვება. ბალთის შუა ნაწილი სვასტიკისებური ტეხილი ხაზებით არის დაფარული და სიმეტრიულად განლაგებული კოპებით შემკული (ტაბ. XXX სურ. 1—3).

გ. ფილიმონოვის გადმოცმით, ამ ბალთას თან ახლდა ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული სარტყელი, რომელსაც ჰდეული წერტილები, სამკუთხედები და ტეხილი ხაზები ამკობდა. (ტაბ. XXXI).

დანარჩენი ორი ბალთა ზემოთ აღწერილის მსგავსია. ერთ მათგანს ბაწრისებური ჰდეული ხაზი ამკობს, რომელიც სამკუთხედებისა და რუსული ასო — М მაგვარ ნახატს წარმოქმნის.

---

[39] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, 2—02 $\frac{2—02}{40/216}$, გამოქვეყნებულია П. С. Уварова, Коллекции Кавказского музея, 1902 ტაბ. II; A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, სურ. 40, 50; პ. უვაროვას გადმოცემით, ერთი ასეთი ბალთა, ოლშევსკის კოლექციისეული, დაცული იყო სახ. ერმიტაჟში, მაგრამ დღეს იგი ადგილზე არ აღმოჩნდა.

ამგვარად, გ. ფილიმონოვი მოიხსენიებს ორ ასეთ ბალთას. 2 ცალი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია, ერთისა — კომაროვის კოლექციიდან შესულის ადგილსამყოფელი უცნობია. ა. ტალგრენი 5 ცალს აღწერს: ორს — ზემოთ აღწერილს, ერთს — კამაროვის კოლექციისეულს და ორს — თბილისის მუზეუმში დაცულს.

[40] გ. ფილიმონოვის მიერ წარმოდგენილ სიაში ირიცხებოდა სამი ბალთა-აბზინდა.

[41] A. M. Tallgren, გვ. 141, სურ. 61; გვ. 92, მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. 1795.

აღნიშნული ბალთა უფრო მომცროა[42]. მესამე ბალთა ნატეხის სახითაა წარმოდგენილი[43]. (ტაბ. XXX. 3).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ყაზბეგის განძში შემავალი წრიული მოყვანილობის ბალთები, რომელთა გარეპირი შუაში ამოზიდულია და ბოლოვდება მრგვალგანივკვეთიანი ბურთულით ან ბურთულების ჯგუფით შემკული ღეროთი. ბალთას ჩაზნექილ მხარეს გაკეთებული აქვს თასმაზე მისამაგრებელი რგოლი. (ტაბ. XXXIII,1)

№ 165—166 — განძში უშუალოდ ორი ასეთი ბალთა შედიოდა[44]. პირველი მათგანის გარეპირი შემკულია სამკუთხედებითა და ჰდეჟილი წერტილებით, შუა ნაწილში ბურთულები ვარსკვლავისებურად არის განლაგებული. ვარსკვლავის წვერებიდან ბალთის ნაპირისაკენ სხივებისმაგვარი რელიეფური ხაზები მიემართება. მეორე, ასეთივე ბალთის კიდეები ბაწრისებური სახეებით არის შემკული. მას წვერზე ბურთების ჯგუფი უნდა ჰქონოდა[45].

ბალთებს შორის გვხვდება ცალები წვერზე ხუთი ბურთით[46] ან ექვსი ბურთით[47]. ექვს ბურთიანს სამკუთხედებისაგან შედგენილი შემკულობა ახლავს.

ბალთებს შორის ვხვდებით მრგვალ ნივთს, რომელსაც შუაში ამოზნექილი ღერო გამჭოლად გახვრეტილი აქვს, როგორც ჩანს, თასმის გასაყრელად. საკიდი ყური არ გააჩნია. ნივთი ნაკლულია[48].

---

[42] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 144, სურ. 60.

[43] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები $\frac{№\ 2—02}{39—215}$ (გ. ფილიმონოვის აღმოჩენა).

[44] Г. Д. Филимонов, დასახ. ნაშრომი, № 17, გვ. 6.

[45] ბალთა მოსკოვის მუზეუმში ყოფილა დაცული, მაგრამ ამჟამად ადგილზე არ აღმოჩნდა. A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, ს. 145, სურ. 69, 70.

А. Артамонова-Полтавцева, Культура Северо-Восточного Кавказа в скифский период. СА, X. IV. 1950.

[46] აღმოჩენილია გზის გაყვანასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების შესრულების დროს, 1874 წ., დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, კოლ. 54746.

[47] აღნიშნული და კიდევ ერთი სხვა ბალთა მომდინარეობს ოლშევსკის კოლექციიდან, ინახება სახელმწიფო ერმიტაჟში 1731/171, 172. იქვე, ერმიტაჟის ფონდებში ირიცხება ვ. რომაჩენკოს კოლექციისეული ბალთა, რომელიც თითქოს ქსანშია მოპოვებული, მაგრამ თავისი მოყვანილობითა და შემკულობით იგი სავსებით იმეორებს ყაზბეგურ ნივთებს.

[48] ნივთი კომაროვის კოლექციიდან შევიდა მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, კოლ. 75942 (2).

ყველა ზემოაღწერილიდან განსხვავდება ცალკოპა ბალთა თაგისებური საკიდი ყურით[49]. საყურადღებოა ამავე ფორმის პაწაწინა ხუთკოპიანი ფირფიტა.

ამგვარად, ყაზბეგის განძიდან მომდინარეობს სამი სახის სარტყლის ბალთა: ცხოველის გამოსახულებიანი, კონუსისებური და ოთხკუთხა, დაჭრილი გეომეტრიული ორნამენტით შემკული ბალთები. ეს უკანასკნელი, როგორც მისი კაუჭის მიხედვით ირკვევა, აბზინდის მოვალეობას ასრულებდა. ასეთი სახის ნივთები ცნობილია ყობანიდან[50], არხონიდან[51], დაღესტნიდან[52] და დუშეთიდან[53]. ყაზბეგში აღმოჩენილი აბზინდები საკმაოდ უხეშია და თავისი ორნამენტით განძის სხვა ნივთებს თითქოს არ შეესაბამება (ტაბ. XXX, 1—3).

ო. არტამონოვა-პოლტავცევამ, შეისწავლა რა გუდერმესის მახლობლად ისთი-სუში აღმოჩენილი სარტყლის ბალთები, ყურადღება გაამახვილა გეომეტრიული ორნამენტით შემკულ ბრტყელ აბზინდებზე. მისი აზრით, ისინი წარმოადგენენ დიდი ზომის ფიგურული ბალთების განვითარების შემდგომ ეტაპს.

დიდი ზომის აბზინდა დამხმარე ბალთებითურთ ფრთებგაშლილი ფრინველის (სავარაუდოა არწივის) სტილიზებულ გამოსახულებას წარმოგვიდგენდა, რომლის ფორმასთან შერწყმული იყო ცხოველთა მფარველი ქალღმერთისა და ორი პანტერის გრაფიკული გამოსახულება.

ამ კომპოზიციის სიუჟეტი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან უნდა იყოს შემოსული. ისთი-სუს ბალთებზე ანთროპომორფული არსება ძალზე სტილიზებულია, ხოლო ბრტყელ ბალთებზე უკვე სავსებით სქემატური ხდება და გეომეტრიული ორნამენტის სახეს იღებს. ამგვარად, ყაზბეგური ოთხკუთხა ბალთები, ო. არტამონოვა-პოლტავცევას აზრით, უნდა წარმოადგენდნენ ისთი-სუს აღნიშნული ბალთების განვითარებას[54]. მათი განვითარება უნდა მომხდა-

---

[49] მოსკოვის ისტორიულ მუზეუმი კოლ. 75942; ასეთივე ბალთები ირიცხება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, 3 ც. № 204, 205.

[50] П. С. Уварова, МАК, VIII, ტაბ. XVIII, სურ. 3.

[51] П. С. Уварова, იგივე ნაშრომი, XXXV, 3 და 4.

[52] Е. И. Крупнов, Древняя История Сев. Кавказа, 1960, с. 490, таб. XXI (1, 2).

[53] О. А. Артамонова-Полтавцева, დასახ. ნაშრ., с 92, 46 (V).

[54] О. А. Артамонова-Полтавцева, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

რიყო არა ყობანის კულტურის არეში, სადაც მას სათანადო პროტოტიპები არ მოეპოვება, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, აქედან კი უკვე გამზადებული სახით უნდა გადმოსულიყო ყობანის ტერიტორიაზე[55]. ისთი-სუს სამაროვანი ძვ. წ. V—VI სს-ით თარიღდება. იმავე პერიოდში და შესაძლებელია უფრო მოგვიანებითაც, არსებობდა ხსენებული ბალთები. ო. არტამონოვა-პოლტავცევას მოსაზრება დამაჯერებლად გამოიყურება, მხოლოდ ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ ქრონოლოგიურად თითქმის ემთხვევა გეომეტრიული ბალთები თავის პროტოტიპებს.

რაც შეეხება კონუსურ ბალთებს, ო. არტამონოვა-პოლტავცევა მათ ისთი-სუსში აღმოჩენილ ფიგურულ ბალთებს უკავშირებს[56]. სარტყლის შესაკრავ თასმას უნდა გაევლო კონუსური ბალთის ყურში და ისე დაკავშირებოდა ფიგურულ ბალთას. მაგრამ იგი მარტო დიდი ზომის ბალთის დამხმარე ნაწილს კი არ წარმოადგენდა, არამედ დამოუკიდებლადაც არსებობდა. ასეთივე ბალთები გვხვდება ისთი-სუს სამარხებში (10 ცალამდე ყობანის ჭისებურ სამარხებში[57], კუმბულთას სამაროვანზე[58] და სხვ. ამიერკავკასიაში იგი გვხვდება თრიალეთსა და თაქ-ქილისას ერთ-ერთ სამარხში[59].

ლ. არტამონოვა-პოლტავცევამ მოახდინა ამ ბალთების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური დაჯგუფება. მისი დაკვირვებით, ადრეულ კონუსურ ბალთებს ნაპირის გასწვრივ მიუყვება რელიეფური ორმაგი სპირალი, ხოლო გვიანდელებში მიჯრილია ცენტრისაკენ, სადაც დიდი კოპია ამოზიდული, ნაპირებს კი პატარა რელიეფური ბურთულები ამკობს. უფრო მოგვიანო ხანაში ბალთის ზედაპირზე ორნამენტი სრულიად გაქრა, უკანა მხარეზე მხოლოდ თასმის გასაყრელი ყური გააჩნია.

არსებობს კიდევ კაუჭიანი კონუსისებური ბალთები, რომლებიც ორნამენტის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ბალთები სპირალური ორნამენტით და ბალთები დაჭრილი ზედაპირით. ეს უკანასკნელი უფრო გვიანდელად არის მიჩნეული. ო. არტამონოვა-

---

[55] იქვე.

[56] იქვე, გვ. 87.

[57] Е. П. Алексеева, Поздне-Кобанская культура центрального Кавказа, ученые записки, Л. Г. У. с. 200.

[58] Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 299, სურ. 33 (24).

[59] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалетии, 1941, с. 55, сур. 52.

პოლტავცევას აზრით, კონუსისებური ბალთების პროტოტიპად უნდა ჩაითვალოს გაურკვეველი დანიშნულების ნახევარსფეროსებური ბალთები, ორნამენტითა და შუაში ნახვრეტით, რომლებიც ცენტრალურ კავკასიაში გვიან ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ სამარხებში გვხვდება[60]. ისთი-სუს მასალების მიხედვით, კონუსისებური ბალთები ძვ. წ. VI—V სს მიეკუთვნება[61], თუმც მათი გვიანდელი ფორმები ა. წ. III ს შემორჩა. ა. ალექსეევა მათ ძვ. წ. VI—V ს-ით ათარიღებს და გვერდშეჭრილ ზარებთან, გრეხილმშვილდიან ფიბულებთან და ხვიებთან ერთად, ერთ ჯგუფში ათავსებს[62].

ო. არტამონოვა-პოლტავცევას ამ ბალთების პროტოტიპების შესახებ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რადგან მთელს ამიერკავკასიაში გვიან ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება უორნამენტო კონუსური ბალთები. მაგ., წელაანში[63], თაქ-ქილისაში[64], ულიანოვკაში[65], ლეჩხუმში[66], რაც მათ მასობრივ წარმოებაზე მიგვითითებს თუმც ამიერკავკასიაში ასეთ ბალთებს ცხენის სამკერდულებად მიიჩნევენ.

ყაზბეგის განძში, მკვლევართა აზრით (ა. ტალგრენი, პ. უვაროვა), სულ ცოტა სამი ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტი უნდა იყოს წარმოდგენილი.

ლითონის სარტყელი

ლითონის სარტყელი მეტად გავრცელებული იყო ძვ. წ. 1500—500 წწ. მთელს მცირე აზიაში, კავკასიასა და სამხრეთ ევროპაში. კავკასიაში ისინი გვიან ბრინჯაოს ხანიდან ჩნდება (ტაბ. XXXI).

ბრინჯაოს სარტყელი ლითონის ფართო ფურცლის წელსაკრავია, რომელიც იკვრებოდა თასმების მეშვეობით უაბზინდოდ, ზედ

---

[60] Б. Е. Деген, Курганы в Кабардинском парке г. Нальчик. МИА, СССР, вып. 3, М.-Л., 1941, IX, 9, XV, 1—5.

[61] О. А. Артамонова-Полтавцева, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, 100.

[62] Е. П. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 196, ტაბ. XI (1).

[63] კ. ფიცხელაური, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლები, სოფ. მელაანთან, თბ., 1962 (ხელნაწერი).

[64] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ. გვ. 55, სურ. 52.

[65] რ. აბრამიშვილი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, 1961.

[66] ქუთაისის მუზეუმის ფონდები.

ამოკვეთილი იყო სხვადასხვა რელიგიური შინაარსის სურათები. კავკასიური სარტყლებით დაინტერესდა მრავალი მეცნიერი (რ. ვირხოვი, დე-მორგანი და სხვ.), რომელთაც გამოთქვეს მოსაზრება სარტყლების წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ. მკვლევართა უმეტესობა მათ საკულტო საზეიმო ცერემონიალის ატრიბუტად მიიჩნევს, რადგან ასეთი სარტყლების ხმარება ყოველდღიურად მოუხერხებელი იქნებოდა. ამაზე მეტყველებს ზოგიერთ მათგანზე აღბეჭდილი საწესო ხასიათის მხატვრობა: ყაზბეგურ ითიფალურ გამოსახულებას შიშველ ტანზე მხოლოდ სარტყელი აქვს შემორტყმული, რაც გარკვეული ცერემონიის დროს მათ გამოყენებაზე უნდა მეტყველებდეს.

ყაზბეგში აღმოჩენილი სარტყლები გაცილებით უფრო ვიწროა, მხატვრობა თითქოს არ ახლავს და იკვრებოდა აბზინდით.

ო. არტამონოვა-პოლტავცევას მიხედვით, ყობანის კულტურის გავრცელების პერიოდში, ხეთურ სარტყლებზე აღბეჭდილმა საწესო-სარიტუალო სურათებმა გადაინაცვლეს აბზინდებზე სტილიზებული სახით, ხოლო სარტყელი სადა დარჩა. ყაზბეგურის ანალოგიური აბზინდებიანი სარტყელი აღმოჩნდა დუშეთში. ოღონდ დუშეთის სარტყელზე ირმის გამოსახულებაა, რომელიც ყაზბეგურ ჩქიფზე მოცემულ სახეს მოგვაგონებს.

სამკაულები

№ 167 — ერთ-ერთ შესანიშნავ მონაპოვარს წარმოადგენს ოქროს შვიდსხივიანი საყურე (ტაბ XXXIV, 4), რომელიც ნიადაგში აღმოჩნდა ნივთებით სავსე თასის ზემოთ;

№ 168—169 — იქვე იყო ორი მინისებური პასტის მძივი — ერთი ცილინდრული, მეორე მრგვალი — თვალისებური ხაზებით შემკული. მინისებური პასტის მძივები თხრის პროცესში აღმოჩნდა[67]. თვლიანი მძივის დიამეტრი 2 სმ-ია, (ტაბ. XXXIV,3).

№ 170 — ყაზბეგის განძში რამდენიმე სახის საკიდია, მათგან საყურადღებოა გულის ფორმის, შუაში გაღუნული, ბოლოზე მრგვალი ნახვრეტის მქონე ბრინჯაოს ფირფიტა[68]. კიდეების გასწ-

[67] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 145, სურ. 64.

[68] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. 75942 ასეთივე ბალთები ირიცხება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (3 ც.)

ვრივ და შუაზე მას მიუყვება ჰდეული წერტილებით შემოსაზღვრული წიწვისებური ორნამენტი, ხოლო მთელი ზედაპირი დაფარულია ჰდეული წერტილებისაგან შედგენილი კონცენტრული წრეებით. საკიდის შიდა მხარე სადაა — ნახვრეტში ბრინჯაოს ჯაჭვია გაყრილი, ნივთის შუა წიბოს სიგრძე — 8,5 სმ-ია, სიგანე — 6.2 სმ, ჯაჭვის სიგრძე — 46 სმ. (ტაბ. XXXIV, 1).

№ 171 — მეორე ფირფიტა სავსებით იდენტურია პირველისა[69]. მხოლოდ ჯაჭვი არ ახლავს. მისი სიგრძე 8 სმ-ია, შუა წიბოს სიგრძე — 4 სმ[70].

№ 172 — არის კიდევ შედარებით დიდი ზომის წყვილი საკიდი, რომელთა ფორმა იგივეა, მაგრამ ფირფიტები შუაში არ არის გალუნული[71] და არც შემკულია. საკიდები ჯაჭვითაა ურთიერთ დაკავშირებული, რომლის სიგრძე 70 სმ. შუა ნაწილში ჯაჭვს სხვა ნაკეთზე დასამაგრებლად განკუთვნილი დამატებითი რგოლი აქვს.

№ 173 — საყურადღებოა გ. ფილიმონოვის მიერ 1877 წ. აღმოჩენილი საკიდი ნივთი[72]. იგი წარმოადგენს მასიურ ღერძს, რომელსაც ხუთი კონუსისებური თავით დაბოლოებული შვერილი ახლავს. ყოველი კონუსი ხუთი კოპითაა შემკული. ღერძი ბოლოში მომრგვალებულია და საკიდი ხვრელი აქვს დატანებული, რომელსაც ვერძის თავის წყვილი გამოსახულება ამკობს. ნივთის სიგრძე 11,5 სმ-ია, (სიგანე — 8 სმ. ასეთი სახის საკიდი სულ სამია[73]. ტაბ. XXXIV, 2).

№ 174 — ყაზბეგში აღმოჩნდა კიდევ ერთი საინტერესო ფორმის საკიდი[74]. იგი შედგება კონუსის ფორმის ღერძისაგან, რომელ-

[69] მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, კოლ. 75942.

[70] ერთი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია გამოფენილი.

[71] სახელმწიფო ერმიტაჟი, რომანჩენკოს კოლექცია 84/10; გ. ფილიმონოვისეულია მხოლოდ ერთი წყვილი ასეთი საკიდი. Г. Д. Филимонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 5 (7). П. С. Уварова, დასახ. ნაშრომი, გვ. 142; A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—76, 134, სურ. 66.

[72] გამოფენილია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, 1824. П. С. Уварова, МАК XIII, ტაბ. XX, 7, A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 135, სურ. 36.

[73] ორი სხვა ასეთი ფორმის საკიდი ოლშევსკის კოლექციიდან შევიდა სახ. ერმიტაჟში. კოლ. 1731/170, 109.

[74] საკიდი ოლშევსკის კოლექციიდან შევიდა სახ. ერმიტაჟში, კოლ. 1731/175.

საც სამ-სამი კოპით დაბოლოებული ექვსი სამწახნაგა ღერო უკავშირდება. თვით ღერძიც ბურთით მთავრდება.

№ 175 — აღსანიშნავია თხელი ბრინჯაოს ფირფიტისაგან დამზადებული თოხის ფორმის საკიდი, ვიწრო ბოლოზე რგოლგაყრილი ნახვრეტით. ნივთის სიგრძე — 2,2 სმ-ია, პირის სიგანე — 1,7 სმ.

№ 176 — ყაზბეგის განძს დიდი რაოდენობით ახლდა თან ბრინჯაოს ჯაჭვები, რომელთა საერთო სიგრძე რამდენიმე ათეულ ნეტრს აღწევს. ოვალური, მრავალგანივკვეთიანი ბრინჯაოს რგოლები უკავშირდება ერთმანეთს, მჭიდროდ და ლამაზ, სხვადასხვა სისქის ჯაჭვებს ქმნის. ჯაჭვები მოცემულია როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა ნივთებთან კავშირშიც. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ბრინჯაოს ორი ტიპის გარსაკრავები: თხელი ბრინჯაოს ხვეული სალტეებისაგან შემდგარი ცილინდრები, რომლებიც მასიური ბრტყელი ფუძით ბოლოვდება და მასიური ხვიებისაგან შედგენილი მილები. პირველი ჯგუფის გარსაკრავებს ძირზე, შუა ნაწილებში და სალტეებზე სამანჭვლე ხვრელები აქვს დატანებული. ასეთი სახის ხვია ოთხი ცალია და მათი დიამეტრი განსხვავებულია მეტად მცირედ: 1,41 მ, 1,6 სმ, 1,7 სმ, 1,2 სმ, ძირები ერთნაირი ზომის აქვთ. თითოეული სალტის სიგანე 1,2 სმ-ს უდრის. ხვიების სიგრძე სხვადასხვაა. ზოგიერთ მათგანში ხის ნაშთია შემორჩენილი[75], (ტაბ. XXXII, 1).

№ 177 — მეორე ჯგუფის გარსაკრავები 14 ცალია[76]. მისი შემადგენელი სპირალური ხვიები განივკვეთში სამკუთხაა და ტალღისებურ ზედაპირს წარმოქმნის. თითოეული ხვიის დიამეტრი 2 სმ-ია, სიგრძე — 1,2 სმ-დან 2,5 სმ-მდე, ზოგიერთში ხის ნაშთებია შერჩენილი (ტაბ. XXXII,2).

№ 178 — განძში შედიოდა მსხვილი სარდიონის მძივების ასხმა. მძივები მრგვალი მოყვანილობისაა, პრიალა ზედაპირიანია, სა-

---

[75] 2 ცალი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია; ერთი—საქ. სახ. მუზეუმში. П. С. Уварова, МАК, VIII, XIX, 3, A. M. Tallgren, გვ. 134, 43.

[76] ორი ცალი დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში $\frac{2—02}{102/295}$ და $\frac{2—02}{295}$, დანარჩენი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია, კოლ. 75 942.

ძაფე ნახვრეტიც მრგვალია. მძივების დიამეტრი მერყეობს 30 მმ-დან 12 მმ-დე. (ტაბ. XXXIV, 3).

სხივებიანი ოქროს საყურეების გავრცელების არე მხოლოდ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიით შემოიფარგლება. საქართველოს მთიან ნაწილში თუ ბარში ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანის ძეგლთა შორის ხშირია მათი აღმოჩენის ფაქტები. ცხადია, ისინი ყველა ერთგვაროვანი არ არის — ზოგი უფრო დიდი ოსტატობით არის დამზადებული, ზოგი კი უფრო პრიმიტიულია. გარდა ამისა, სხვაობა შეინიშნება სხივთა რაოდენობაში და ზომებშიც, მაგ., ყაზბეგურ საყურეებს სხივების რაოდენობა ბევრი აქვთ და ზომით დიდები არიან. მასში უხვად არის გამოყენებული იმდროინდელი ოქრომჭედლური ხელოვნების ხერხები: ფილიგრანი, გავარსი და სხვ. ყაზბეგის საყურის საკიდი რგოლი ვარდულით არის შემკული და ერთ ნაწილზე ოქროს ფირფიტა აქვს გადაკრული, მაშინ, როცა ბეშთაშენის ციხესთან აღმოჩენილ ხუთსხივიან საყურეს ანალოგიური დეტალები არ ახლავს, ღარიბულადაა შემკული და საერთოდ უფრო მდარე ხარისხისაა[77]. სამარხს, რომელშიც საყურე აღმოჩნდა ბ. კუფტინი ადრე აქემენიდური ხანით ე. ი. ძვ. წ. VI საუკ. ათარიღებს და მთელ კომპლექსს ყაზბეგის განძზე უფრო გვიანდლად თვლის.

ასეთივე წყვილი საყურე ელექტრუმისაგან დამზადებული აღმოჩნდა ზუგდიდის რაიონში სოფ. ჭითაწყაროში კოლხურ მონეტებთან ერთად[78]. ჭითაწყაროს სხივიან საყურეებს, კოლხური მონეტები ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით ათარიღებს. ხუთსხივიანი ოქროს საყურე შემთხვევით არის მოპოვებული სოფ. ბორში 1902 წ[79] ასეთივე საყურე მომდინარეობს სოფ. იკოთიდან (ლენინგორის[80] რაიონი) და სოხუმიდან[81]. სოხუმში აღმოჩენილი საყურე დიდი ზომისაა და ოთხი სხივი გააჩნია. ბრილის სამაროვანზე არაერთი შემთხვევაა სხივებიანი საყურის აღმოჩენისა. მათ შორის ვხვდე-

---

[77] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалетии. Тб., 1941, 43, სურ. 40 (2).

[78] Б. А. Куфтин, Материалы к Археологии Колх., т. II, с. 41, სურ. 9.

[79] Е. Придик, Новые Кавказские клады. МАР, вып., 1914.

[80] დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში, III—13:1.

[81] დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში, საბჭოთა აღმოსავლეთის განყოფილებაში.

ბით ორსხივიან საყურეებსაც. კომპლექსები, რომლებშიც ეს საყურეებია აღმოჩენილი ძვ. წ. VI—V საუკუნეებით თარიღდება[82].

ვანის რაიონში სხივებიანი საყურეების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევა გვაქვს. სოფ. მთისძირში 1952 წ. აღმოჩნდა განძი, რომლის შემადგენლობაში სხვა ნივთებთან ერთად, შედიოდა შესანიშნავი ხელობის ოქროს საყურე, ამ ნივთებს ნ. ხოშტარია ძვ. წ. VI საუკ. ათარიღებს[83]. ორი წყვილი ოქროსსხივებიანი საყურე შედიოდა 1961 წ. ვანში აღმოჩენილ მდიდრულ სამარხში, რომელსაც გამთხრელი არქეოლოგი ძვ. წ. V საუკუნეს მიაკუთვნებს[84].

ყველაზე ზუსტად საყურის დათარიღების საშუალებას ქობულეთის (ფიჭვნარის) აღმოჩენები იძლევა. იქ ორქოსსხივიანი სამი საყურე იქნა მოპოვებული და მათ თან ახლდათ კოლხური თეთრი და კიზიკინი. ამ მონეტის გავრცელების პერიოდი საყოველთაოდ არის ცნობილი ძვ. წ. V საუკუნე[85].

რაჭაში აღმოჩენილი საყურეები ნაკეთებია ოქროს. ეგრცხლისა და ბრინჯაოსაგან. ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ბრინჯაოს საყურის შემოტანა სხვა ქვეყნებიდან ძალზე საეჭვოა. მითუმეტეს, რომ ჯერჯერობით არსად არ არის აღმოჩენილი საქართველოს გარდა. ყოველივე ზემოთქმული სხივებიანი საყურის ადგილობრივ წარმოშობაზე მეტყველებს.

ცხადია, გადაწყვეტით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ საყურეების დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით აღმოჩენის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ამ ნივთების დამზადების ცენტრი დასავლეთ საქართველოში უნდა ვეძებოთ, შესაძლოა, რიონის ხეობაშიც კი.

სხივებიანი საყურე რთული საიუველირო ნაწარმია, რომლის დამზადება მოითხოვდა დიდ ოსტატობასა და ცოდნას, ეს კი, როგორც ჩანს, საკმარისად გააჩნდათ იმდროინდელ ოსტატებს.

---

[82] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 1952, ტაბ. XLVII.

[83] Н. Хоштария, Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II. 1959.

[84] ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჰყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში, 1967, ვანი, I, თბ., 1972. გვ. 217.

[85] ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ისტორიისათვის ანტიკურ ეპოქაში (ქობულეთი, ფიჭვნარი), 1965, (ხელნაწერი).

გარდა ამისა, საყურე საჭიროებდა ოქროს საკმაოდ დიდ რაოდენობას, დიდ შრომასაც. რის გამოც იგი საკმაოდ ძვირად ღირებული უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, მრავალსხივიანი ყაზბეგური, ვანური, საყურე მაინც. ყოველივე ამის გამო ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინი გვარის ყველა რიგითი წევრისათვის ხელმისაწვდომი სამკაული ყოფილიყო. უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი საყურეები შეძლებულსა და დაწინაურებულ პირებს ეკუთვნოდა. შესაძლოა საპარადო დანიშნულების ყოფილიყო იგი. სხივები, როგორც ჩანს, მზის სხივებს განასახიერებდა და გამორიცხული არ არის მისი მატარებელი პიროვნებაც უფრო მაღლა მდგომი წარჩინებული უნდა ყოფილიყო.

სამარხებში პროფესიის მაჩვენებელი ნივთების ჩაყოლების ფაქტებს ვხვდებით სამთავროს სამაროვანზეც[15].

მაგრამ დიდი რაოდენობით იარაღის ჩატანება მიცვალებულისათვის, ნივთების ჭურჭელში ჩაწყობა და ჯაჭვთა შეკვრა, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხებისათვის დამახასიათებელი არ არის.

შესაძლოა გვევარაუდა, რომ კრემაციული სამარხის ინვენტართან გვაქვს საქმე. კრემაციის წესი ძველი დროიდან ცნობილია საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებისათვის. მაგ., სამგორის ყორღანებში[16], თრიალეთში[17] და ბრილში ძვ. წ. I ათას წლეულის სამარხებში[18]. სვანეთში (ლარილარის სამაროვანზე)[19] ძვ. წ. VI—V სს. აფხაზეთში (წითელი შუქურას — ძვ. წ. VIII—VI ს. სამარხებში)[20]. კრემაციის წესშიც განსხვავება არსებობდა. მაგ., ბრილის სამაროვანზე მამაკაცის ნეშტს წვავდნენ სამარხში ნივთებთან ერთად. ყაზბეგის განძის ნივთებიდან მხოლოდ ერთს, ვერცხლის თასს ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. მიცვალებულის დაწვა და შემდეგ ფერფლის ურნაში მოთავსებაც მიღებული ყოფილა კავკასიაში.

ბოლო წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად სოფლებში პალურში[21], ნიგვზიანში[22], მუხურჩაში[23] გამოვლინდა ძვ. წ. I ათას-

---

[15] მ. ლორთქიფანიძე, არმაზის ხევისა და ბაგინეთის გვიანანტიკური ძეგლები, 1958 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ გემათა კატალოგი, II, 1962 წ.

[16] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 191;

[17] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, 1941, 81.

[18] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190—191.

[19] შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი, კრებული, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 300.

[20] М. М. Трапш, Красномаяцкий некрополь, труды, т. II, Сухуми, 1969, с. 78.

[21] მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, პალურის სამლე (1968 წლის გათხრების შედეგები), მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, 1974, გვ. 96—120.

[22] თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974—75 წწ. მუშაობის ძირითადი შედეგები (ხელნაწერი).

[23] ე. გოგაძე, ლ. ფანცხავა და სხვები, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი).

წლეულის I ნახევრის საძვლეები, სადაც ჩანს მიცვალებულის მეორედ დაკრძალვა, ნაწილობრივი კრემაციის თანხლებით. დამსხვრეული ძვლები და მასალა ბუდეებად და ორმოებადაა განლაგებული, ხშირად ერთმანეთში არეული. ფ. ბაიერნისა და არქეოლოგიური კომისიის წევრების მიერ მოპოვებული მასალები ასეთი სამაროვნის არსებობას გვავარაუდებინებს, მაგრამ გ. ფილიმონოვისეული კომპლექსი ადამიანის ნაშთის გარეშე საგანგებოდ ჩაწყობილი, შენახული ნივთების შთაბეჭდილებას ტოვებს, და თითქოს გამორიცხავს ამ შემთხვევაში სამაროვნის არსებობას.

1974 წელს გზის გაყვანისას ყაზბეგის მახლობლად აღმოჩნდა განძის შემცველი ნივთების მსგავსი მასალა, სამარხის ნაშთის გარეშე. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე შემთხვევაში ძღვნად მირთმეულ ნივთებთან უნდა გვქონდეს საქმე. მოხევეები ჯერ კიდევ ახლო წარსულში წირავდნენ ღმერთს მოკლული ცხოველის რქებს, თასებს, ზარებს და სხვადასხვა ნივთებს.

სოფ. მელაანში და მელი ღელეში, იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა სამლოცველოებში (ძვ. წ. XV—VII სს) ვხვდებით თიხის ჭურჭლის, საომარი იარაღის, ცხენის აკაზმულობის ფრაგმენტების, საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნივთების შეწირვის ფაქტებს[24]. ნივთები ჯგუფ-ჯგუფად იყო ჩალაგებული ნაცრითა და ნახშირით სავსე ორმოებში, ან თიხის ჭურჭელში იყო მოთავსებული.

ურარტუს სამეფოს ცნობილ ტაძარ მუსასირში, დიდი რაოდენობით შეწირულ საომარ ნივთებთან ერთად, ყოფილა სპილენძის ჭურჭელი, ტანსაცმელი, მეფეთა ქანდაკებები, ხარის ქანდაკებები, ბრინჯაოს ზოდები და სხვ[25].

პირადი მოხმარების საგნების შეწირვის ფაქტებს ვხვდებით საბერძნეთში, მაგალითად, კუნძულ როდოსზე, თესალიაში, აგროსზე[26].

ამრიგად, იარაღის, ჭურჭლის, პირადი მოხმარების საგნების, ცხენის აკაზმულობის, სარიტუალო ნივთების შეწირვა ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ ქვეყნებში, ძალზე მიღებული იყო

---

[24] კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.) თბ., 1973, გვ. 118;

[25] Н. М. Дьяконов, Ассиро-Вавилонские источники по истории Урарту, ВДИ, 1951, № 2.-

[26] A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

ცოცხალი ზვარაკის შეწირვა (ცხვრის, ხბოს, ძროხისა და ცხენის სახითაც).

ცენტრალური კავკასიონის მთიან ნაწილში მთელ რიგ ადგილებში გვიანამდე შემორჩა სამლოცველოები, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ხატებს უწოდებენ. ხატი ქვებისაგან მშრალად ნაგებ ნიშას წარმოადგენს ცხოველთა რქებითა და ზარებით შემკულს. იგი მაღლობზეა აღმართული. ნიშაში შუა ადგილზე სალოცავი ხატია მოთავსებული. მოსახლეობის რწმენით, ეს ადგილები „ღვთაებათა სადგომი“ უნდა ყოფილიყო[27]. ძველად ხევში თითოეულ გვარს თავისი ხატი ჰყავდა, მაგრამ არსებობდა აგრეთვე მთელი ხევისთავის საერთო ხატები, როგორიც იყო სპარსანგელოზი და სამების ხატები. ქრისტიანული ეკლესიის მესვეურნი ცდილობდნენ ხატების ახლოს ეკლესიების აშენებას და ამით ძველი წარმართული რელიგიისათვის მეტოქეობის გაწევას[28], რასაც შედეგად მოჰყვა ქრისტიანული და წარმართული წეს-ჩვეულებების ღღესასწაულების შერწყმა.

ყაზბეგის რაიონში ცნობილი ხატებია: სპარსანგელოზის, სამების, ბეთლემის, კვირია ღვთისშვილის, ნათლისმცემლისა და სხვ. კვირია ძველი ნაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაების სახელია, რომელიც ქრისტიანობას შემორჩა, ახალი ღვთაებების სახელების გვერდით.

ხატებს თავისი უძრავი და მოძრავი ქონება ჰქონდათ: მიწა, ტყე, საქონელი, რომელსაც დეკანოზი განაგებდა. იქვე იყო ხატის მსახურებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაგებობა: სალუდე, ხატის ბელელი, მეხატეთა სადგომი ქოხები. დღესასწაულების დროს ხატს განსაკუთრებით დიდი შემოსავალი ჰქონდა. შესაწირავი სხვადასხვა სახის იყო, მათში პირადი მოხმარების საგნებიც შედიოდა. პროფ. ს. მაკალათია მოგვითხრობს, რომ მთიულების ყველაზე დიდი ხატის ლომისობის დღესასწაულზე ხატისაგან დამიზეზებული და აღქმადადებული პირი სხვადასხვა რიტუალს ასრულებდა, მაგ., ჯაჭვით კისერზე მუხლით შემოუვლიდა ხატს, შემდეგ ყელის შარნებს, საყურეებს, ბეჭდებს და სხვა სამკაულებს იხსნიდა და იქვე ტოვებდა[29]. იქვე რჩებოდა მლოცველთა მიერ

---

[27] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 150.

[28] ი ქ ვ ე.

[29] ი ქ ვ ე, 174.

მიტანილი დროშები, საკლავის ყელზე მიბმული ზარები[30], მოკლული ცხოველის რქებს მორწმუნეები ახლაც სწირავენ ხატს.

შეწირული ნივთებიდან შედგებოდა ხატის განძი, რომელსაც საშიშროების შემთხვევაში დეკანოზები მალავდნენ ხოლმე[31].

ფილიმონოვის მიერ აღმოჩენილი ნივთები შესაძლოა რომ ხატის განძს წარმოადგენდეს. ამ ვარაუდის საფუძველს პირველ რიგში თვით ნივთების ხასიათი გვაძლევს, რადგან ჰარბობს საკულტო დანიშნულების საგნები როგორც ფალიური ქანდაკებები, ზარები, ბუნიკის ბოლოები, შესაძლოა — ვერცხლის თასიც. აქ არსებული პირადი მოხმარების საგნები, იარაღი და სხვა მსგავსი ნივთები ხატისადმი მიძღვნილ შესაწირავს უნდა წარმოადგენდეს. ა. ბობრინსკის, პ. უვაროვას, ა. კრუგლოვის ცნობით, სახლმუზეუმის მიდამოებში ადრე ყოფილა ცხვრის კერპი, რომელსაც მოხვეები ეთაყვანებოდნენ. კრუგლოვს თითქოს მისი ნაშთებიც უნახავს. ამდენად გამორიცხული არ არის, უძველეს დროში ამ მიდამოებში ხატი არსებულა, ამას ხელს უწყობს აღმოჩენის ადგილის მდებარეობა მყინვარწვერის პირდაპირ დარიალის ხეობისაკენ მიმავალ გზაზე. მთიელ ტომებში ძველთაგანვე ცნობილია მწყერვალებისა და გადასასვლელების კულტი.

ამგვარად, ფილიმონისეული კომპლექსის ხატის განძად მიჩნევა დასაშვებად მიგვაჩნია, თუმცა გადაჭრით ამის თქმა ძნელია დამატებითი ახალი მასალის უქონლობის გამო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყაზბეგის განძის სახელით ცნობილი კომპლექსი შეიცავს მრავალფეროვან მასალას, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის უძველესი მთის მოსახლეობის ყოფის, სულიერი კულტურისა და მთელი რიგი რელიგიური წარმოდგენების შესახებ.

ამგვარად, ფილიმონოვისეული კომპლექსის შესწავლამ მომავალი აღმოჩენების შუქზე, შესაძლოა, მოგვცეს ახალი დასკვნების გამოტანის უფლება. ახლა კი სავარაუდოა, რომ ალ. ყაზბეგის სახლმუზეუმისა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებობდა საკულტო სარიტუალო ხასიათის ადგილი, სადაც სრულდებოდა ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ცერემონიალი. ამავე დროს ხდებოდა ადამიანთა დაკრძალვაც.

---

[30] იქვე, 171.

[31] ლ. წითლანაძე, შუა კავკასიონის მთის მოსახლეობის კულტურა ძველი წელთაღრიცხვის VI—I სს. ხევის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, თბ., 1966, ხელნაწერი.

ყაზბეგის განძის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან მონაპოვარი სტრატიგრაფიულ მონაცემებს მოკლებულია. გ. ფილიმონოვის მიერ მოწოდებული ცნობები ძეგლის ასაკის დასადგენად, არაფრის მთქმელია. გარდა ამისა, როგორც კვლევამ დაგვანახვა, ნივთები თითქოს თანადროული არ ჩანს და ბოლოს გაურკვეველია. თვით ძეგლის ხასიათიც, რაც კიდევ უფრო ართულებს მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების მეტ-ნაკლებად სიზუსტით მოხაზვას.

როგორც ცნობილია, გ. ფილიმონოვი ამ მასალას „რკინის საუკუნის პირველ პერიოდს მიაკუთვნებდა“[32]. ა. ტალგრენმა, რომელმაც უფრო საფუძვლიანად შეისწავლა ყაზბეგის განძი, მისი შემადგენელი ნივთები თანადროულად არ მიიჩნია და მხატვრული სტილის, ორნამენტაციისა და შედარებითი მეთოდის გამოყენების გზით მოპოვებული მასალა ძვ. წ. X—VI სს-ის ჩარჩოებში მოაქცია[33].

ბ. კუფტინს ყაზბეგის განძი სპეციალური კვლევის საგნად არ დაუსახავს, მაგრამ მან პირველმა სცადა, შვიდსხივიანი ოქროს საყურეზე დაყრდნობით დაედგინა მისი ადგილი ამიერკავკასიის ამ პერიოდის სხვა ძეგლთა შორის. ფ. ბაიერნის მიერ ყაზბეგში ასევე საყურე აღმოჩენილი იყო ადამიანის სახის მქონე მინისებური პასტის მძივებთან ერთად. ბ. კუფტინმა გაითვალისწინა, რომ ასეთი მძივები ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსა და ცენტრალურ ევროპაში ხმარებაში იყო ჰალშტატის ბოლოსა და ლატენის ეპოქის დასაწყისში და განძიც ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანით დათარიღდა[34].

პროფ. შ. ამირანაშვილი შეეცადა მასალის მხატვრული ანალიზის საფუძველზე დაედგინა განძის ზოგიერთი ნივთის ასაკი. ვერცხლის თასს იგი აქემენიდური (ძვ. წ. VI—IV) ხანისად მიიჩნევს, ხოლო ბრინჯაოს მათარებს ძვ. წ. VII—VI სს. მიაკუთვნებს, მისი აზრით, არქაულია განძში შემავალი მშვილდსაკინძებიც[35].

ე. პ. ალექსეევამ გვიანყობანური კულტურების ქრონოლოგიის საკითხებზე მუშაობისას, ყაზბეგის განძში შემავალი ნივთები ორ ჯგუფად დაყო: ერთნი, რომლებიც თითქოს დამახასიათებელნი

---

[32] Г. Д. Филимонов, დასახ. ნაშრ., გვ. 26, 33.

[33] A. M. Tallgren, დასახელებული ნაშრომი.

[34] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

[35] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1944, გვ. 97, 103.

არიან ჩრდილო კავკასიის მთის კულტურული სამყაროსათვის და მეორენი, რომლებიც უფრო ამიერკავკასიური წარმოშობისა ჩანან. ამიერკავკასიური წარმოშობის ნივთებს იგი უფრო ადრეულად თვლის, ხოლო ჩრდილო კავკასიურ მასალებს უკავშირებს ყობანის, ცარცასა და არხონის მონაპოვრებს. ძეგლებსაც გვიან ყობანური კულტურის I პერიოდით ანუ ძვ. წ. VI—IV სს-ით ათარიღებს. ე. ალექსეევა იქვე აღნიშნავს, რომ ა. კრუგლოვიც თავის დროზე ასევე ათარიღებდა ყაზბეგის განძის მასალებს. ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია განძის ძვ. წ. IV ს-ით დათარიღება, რადგან მასში ერთადერთი ნივთის — ზარაკის გარდა, არც ერთი მონაპოვარი ძვ. წ. V ს-ზე გვიანდელი არ ჩანს.

ფრანგი მეცნიერი კლოდ შეფერი, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ქრონოლოგიის საკითხებს, ყაზბეგის განძში შემავალ ნივთებს სინქრონულად არ თვლიდა. ცნობილ ვერცხლის თასს ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით ათარიღებდა, ხოლო ზოგიერთი ბრინჯაოს ნივთის თარიღს ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსაც უახლოვდება: ა. ყაზბეგის განძის თარიღს ძვ. წ. 1000—500 წლებით შემოსაზღვრავდა[36].

არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი, ყაზბეგურ კომპლექსს ძვ. წ. VI საუკუნით ათარიღებს.

ამგვარად, ყაზბეგის განძი, სათანადო პარალელური მასალის სიმცირის გამო, მრავალი ვარაუდის საფუძველს იძლეოდა. უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილმა ახალმა არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა, როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, გამოავლინა ახლო ანალოგიური მასალა და შესაძლებელი გახადა მთელი კომპლექსის ასაკის დაზუსტება. იმ ფაქტმა, რომ ყაზბეგის განძი შედგება არაერთდროული ნივთებისაგან, გვაიძულა ნაშრომის წინა თავში ცალ-ცალკე გაგვეხილა კომპლექსში შემავალი ყოველი ნივთი ან მსგავსი ნივთების ჯგუფი.

ყაზბეგის განძში შემავალ ნივთთა შორის ყველაზე ფართო განხილვის საგანი იმპორტული ვერცხლის თასი გახდა, რომელსაც მთელი რიგი მკვლევრებისა ყველაზე „ახალგაზრდა“ ნივთად მიიჩნევდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელ ხანებში ამავე ტიპის თასების აღმოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. VI—V ს-ების ძეგლებში და იალისოსის სამაროვანზე ანალოგიური ფი-

---

[36] F. A. Cl. Schaeffer, Stratigraphie comparee et Chronologie de l'Asie Occidentale IIIe IIe , London, 1948.

ალების მიკვლევამ თითქოს უფლება მისცა მკვლევრებს ყაზბეგის თასი ძვ. წ. VI—V საუკუნისათვის მიეკუთვნებინათ[37].

ყაზბეგის განძში შემავალი ნივთები, ქრონოლოგიის თვალსაზრისით, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ნივთები, რომლებსაც პარალელები ძვ. წ. I ათასწლეულის მასალებს შორისაც მოეძებნებათ და ნივთები, რომლებიც მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა საუკუნეებში გვხვდება. შესაძლოა პირველი ჯგუფის მასალები ძველი ტრადიციების მიხედვით იყოს შექმნილი, რადგანაც ისინი ტიპოლოგიურად ადრეულ მასალებს უფრო უახლოვდებიან, ასეთებია: სტილიზებულტანიანი ირმის ქანდაკებები, სამ სართულად განლაგებულ ცხოველის რქებზე მდგომი ქანდაკებები და სხვ. სტილიზებულტანიანი ირმის ქანდაკება აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის სამარხეულ კომპლექსებშიც[38], რომელსაც რ. აბრამიშვილი ძვ. წ. XI—X სს მიაკუთვნებს[39]. ამავე ხანით თარიღდება აღაიანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების კომპლექსი, რომელშიც შედის მსგავსი ქანდაკება[40]. ასეთივე ქანდაკებებს ვხვდებით არაგვის ხეობაში ფასანაურსა და ჩაბარუხში აღმოჩენილ განძში, (ა. კალანდაძე ძვ. წ. IX—VIII სს ათარიღებს)[41] შენაქოში[42] (თუშეთი) — შვერილიან და ხუთკოპიან საკინძებთან და მასიურ ბრინჯაოს რგოლებთან ერთად.

აღნიშნულ მასალებთან შედარებით, ყაზბეგური ქანდაკებები დამზადების ტექნიკით, ფორმათა დახვეწილობით, გაცილებით უფრო განვითარებულია. ეს განსაკუთრებით ითქმის დიდი ზომის ქანდაკებებზე, რომლებსაც რეალისტურად აქვს მოცემული არა მარტო რქები, არამედ დრუნჩი და ასაკის მაჩვენებელი ღაბაბი თუ ჩლიქები. ამიტომ შესაძლებელია, რომ ქანდაკებები პირველი ათასწლეულის დასაწყისში კი არ იყო დამზადებული, არამედ შუა ხანებში (ძვ. წ. VII—VI სს), რადგანაც ბარისათვის დამახასიათე-

---

37 არქეოლოგიის სახელმძღვანელო, თბ., 1959, გვ. 201.

38 სამარხი № 591, 38, 96, 56, 208, 240. საქ. სახ. მუზეუმის ფონდები.

39 რ. აბრამიშვილი. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX A, XXI B. 1957 წ.

40 მ. ბარამიძე, წარჩინებული მეომრის სამარხი აღაიანიდან, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1954 წ.

41 საქ. სახ. მუზეუმისა და დუშეთის მუზეუმის ფონდები.

42 დაცულია არქეოლოგიის განყოფილებაში.

ბელი არქეოლოგიური ფორმები მთაში უფრო გვიან გვხვდება და დიდხანსაც არსებობს.

სტილისტური ანალიზის საფუძველზე არქაულ ნივთად ითვლება სამ სართულად განლაგებული ხარისა თუ ჯიხვის თავებზე მდგომი ქანდაკებები. დასკვნა უმეტესად სტილისტური ანალიზის საფუძველზეა გამოტანილი (შ. ამირანაშვილი[43], კ. შეფერი[44] და სხვა). მათ დასათარიღებლად შეგვიძლია მოვიშველიოთ დიდი ზომის სადა გვერდჩაჭრილი ზარები, რომლებიც არქაულად არის მიჩნეული და განსხვავდება სხვა ცალებისაგან. ამ ზარებს ანალოგები რაჭის[45] (ბრილის), სოხუმის[46], არდასუბნის[47] და სხვა მასალათა შორის მოეძებნებათ. მათი გავრცელების თარიღი ძვ. წ. VII—VI სს. ემთხვევა. თუ ზარების მეშვეობით ვიმსჯელებთ, სამ სართულად გამოსახულ ცხოველის თავებზე მდგომი ქანდაკებები დაახლოებით ამ ხანისად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ, ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ ზარები შემდეგ იყოს ჩამობმული. ამრიგად, დიდი ზომის გვერდშეჭრილი ზარები ძვ. წ. VII—VI სს-ებით ათარიღებს ჩვენს მონაპოვარს. საშუალო ზომის ზარები გვხვდება უფრო გვიანდელი ხანის ძეგლებში. ახალგორსა და დაბლა-გომში. ყაზბეგის განძში ასეთი ზარები უკავშირდება ეშვისებური ფორმის ბრინჯაოს ნივთებს, რომლებიც ალტაიში ძვ. წ. V საუკუნის სამარხშია აღმოჩენილი[48].

ძვ. წ. III ს შემდეგ დიდი და საშუალო ზომის გვერდშეჭრილი ზარები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღარ გვხვდება[49], მათ ცვლის აჟურული და პატარა ზომის ზარაკები.

ისეთი მასალა, რომელიც მხოლოდ პირველ ათასწლეულის შუა საუკუნეებშია გავრცელებული ჩვენში, განძში შედარებით ბევრია. მათ შორისაა იმპორტული ვერცხლის თასი და ბრინჯაოს მათარები, რომელთაც აკად. შ. ამირანაშვილი ძვ. წ. VII—VI სს მი-

---

[43] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[44] F. A. Cl Schaeffer, დასახ. ნაშრომი.

[45] გ. გობეჯიშვილი, ბრილის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, 1951 წ. მისივე, არქეოლოგიური გათხრების საბჭოთა საქართველოში, გვ. 99.

[46] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 55.

[47] ნ. თუშიშვილი, ბოგვისხევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი. მაცნე, № 3, თბ., 1970, გვ. 127—140.

[48] С. В. Киселев, Алтай в скифское время, ВДИ, 1947, № 2, с. 157.

[49] არქეოლოგიის სახელმძღვანელო, თბ., 1959, გვ. 226.

აკუთვნებდა[50], რაც საკსებით მართებული არ უნდა იყოს, რადგან ბრილსა[51] და ითხვისში[52] მსგავსი მათარები ძვ. წ. V ს. კომპლექსებში აღმოჩნდა. ზემოთ აღნიშნული ჭურჭლები მოუხატავია, ხოლო ყაზბეგურ მათარებზე მოცემულია ადრე ანტიკური ჭურჭლების მსგავსი მოხატულობა მათ არქაულ სახეს აძლევს.

ძეგლის არქაულობაზე მიუთითებს სარდიონის მძივები, რომელთა გავრცელების თარიღი ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის შუა საუკუნეებს ემთხვევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხივებიან ოქროს საყურეს საკმაოდ მყარი არქეოლოგიური თარიღი მოეპოვება — ძვ. წ. V ს.

ყაზბეგის განძში შემავალი ეჟვნების ზუსტ ანალოგებს მხოლოდ ბრილის 1953 წ. გათხრილ 26-ე სამარხში ვხვდებით, რომელიც ძვ. წ. V ს. მიეკუთვნება.

საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ბრინჯაოს სამაჯურები, რომლებიც ტიპოლოგიურად თითქოს წელშედრეკილ სამაჯურებს უსწრებენ.

გადაწყვეტი მნიშვნელობა განძის დათარიღების საკითხში იარაღ-საჭურველს უნდა ჰქონოდა, მაგრამ შერჩენილი სატევრის 5 ტარი ამ მხრივ ნაკლებ საიმედოა. რკინის იარაღი, რომელიც ფილიმონოვის ცნობით, საკმაოდ მრავლად ყოფილა წარმოდგენილი, საბედნიეროდ, მიწაში ძალიან ცუდად შენახულა და მკვლევრებსაც ყურადღება უმთავრესად ბრინჯაოს ნივთებზე გაუმახვილებიათ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ შემორჩენილ ფრაგმენტებზე დაყრდნობით ძნელია მათი ფორმების შესახებ მსჯელობა. საერთოდ კი, როგორც მათი რაოდენობრივი მონაცემები მოწმობს, ამ დროს ბრინჯაოს იარაღი სავსებით გამოსულია ხმარებიდან, რასაც მხოლოდ განვითარებულ რკინის ხანაში ძვ. წ. VII—VI სს ჰქონდა ადგილი. ეს ის ხანაა, რომელსაც რ. აბრამიშვილი[53] სამთავროს სა-

---

[50] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, 1944, გვ. 97.

[51] გ. გობეჯიშვილი, ბრილის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, 1953.

[52] რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, 1962—1963 წწ.

[53] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII, 1961, გვ. 373.

მაროვნის მასალებზე დაყრდნობით რკინის ფართო ათვისების III პერიოდს უწოდებს და ძვ. წ. VII—VI საუკ. ათარიღებს. ეს ავტორი ყაზბეგის განძსაც დაახლოებით ამ საუკუნეებს აკუთვნებს. როგორც მასალის განხილვამ დაგვანახა, შეუძლებელია არ გავიზიაროთ გ. გობეჯიშვილისა და ბ. კუფტინის შეხედულება ყაზბეგის განძის ნივთების უმეტესი ნაწილის ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში, კერძოდ, ძვ. წ. VI—V სს დათარიღების შესახებ.

---

[54] არქეოლოგიის სახელმძღვანელო, გვ. 203.

[55] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалетии, Тб. 1941, с. 45.

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ХЕВИ

Резюме

Археологическое изучение горной части Центрального Кавказа началось с прошлого века. Отдельным его памятникам посвящено немало трудов; издано также большое число монографий обобщающего характера. И все же указанная территория исследована крайне неравномерно. Числу слабо изученных принадлежит район, известный под названием Хеви (ныне Казбегский район Грузинской ССР), расположенный в бассейне верхнего течения Терека, вдоль древнего пути, соединяющего Закавказье с Северным Кавказом (военно-грузинская дорога). Несмотря на то, что науке был известен факт обнаружения здесь в семидесятых годах XIX в. уникальных археологических предметов, в Хеви до сих пор не производились крупные раскопки. Все изыскания на этой территории, в том числе и экспедиции Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили Академии наук Грузинской ССР в 1962—1966 гг., 1972—1973 гг., носили разведочный характер. Тем не менее накопился значительный археологический материал, освещающий многие стороны древней культуры не только Хеви, но и сопредельных горных районов Кавказа.

Предлагаемая работа, посвященная изучению памятников старины, в основном хевских, создавалась на основании, главным образом, уже известных археологических находок, к которым относится археологический комплекс предметов, открытый Г. Д. Филимоновым в 1877 г. и хранящихся в настоящее время фондах государственных музеев Москвы, Ленинграда, Тбилиси и Казбегского краеводческого музея.

Вступительная часть работы знакомит со всеми известными археологическими памятниками Хеви: Казбегским кладом, материалами, добытыми Ф. Байерном, А. С. и П. С. Уваровыми, В. Б. Антоновичем, А. А. Бобринским и Хевской археологической экспедицией АН ГССР.

Подробно рассматриваются предметы, обнаруженные Г. Д. Филимоновым 1877 г. на территории усадьбы генерала

Казбеги, а позднее известный под названием «Казбегского клада», дается описание и тех находок, которые были расхищены во время раскопок Г. Д. Филимонова грабителями. Все эти находки рассматриваются в свете многочисленных параллельных археологических материалов с привлечением этнографических данных.

Особое внимание уделяется предметом культового назначения из Казбегского клада. Они являются основой всего комплекса и определяют его характер. Все предметы этого комплекса подразделяются на следующие группы:

1. Металлическая посуда и предметы ритуального назначения.
2. Конское убранство и оружие.
3. Предметы личного потребления.

Металлическая посуда представлена серебряной чашей, двумя бронзовыми флягами и сосудом типа Ситулы с крышкой.

Роскошная серебряная чаша с омфалосом, украшенная миндалевидными выступами с чередующимися с ними лебедиными головками, пальметами и цветами лотоса, а также со знаками арамейской письменности, привлекает внимание многих исследователей. По мнению одних, эта чаша сирийского происхождения, другие считают ее изделием ассирийского искусства, третьи отдают предпочтение смешенному стилю ионийско-ахеменидского искусства.

Орнаментальные мотивы, действительно сходны с такими же мотивами на памятниках финикийской, ассирийской и ахеминидской культур, однако форма омфалоса этой чаши, а также наличие двух идентичных чаш в погребении VI века до н. э. на острове Родосе в Ялисосе дают основание причислить ее к произведениям ионийского искусства, или ионийско-ахеменидского искусства. Украшенная орнаментами и рисунками восточного характера, она, вероятно, была предназначена специально для экспорта. Арамейская надпись, как полагают, могла быть нанесена и на Кавказе с той же целью. В то же время не исключена возможность ее бытового употребления в кругу социальной верхушки местного общества. Аналогичные чаши встречаются в кладах (Даблагоми, Казбеги) или исключительно в богатых погребениях (Ахалори, Вани) в середине первого тысячелетия до н. э.

Фляги казбегского клада аналогичны некоторым сосудам из погребений V в. до н. э., обнаруженными в Западной Грузии (Геби, Итхвиси) и являются произведением местных

мастеров. Это доказывается их распространением исключительно на территории горной и предгорной части Грузии, а также украшающими эти фляги местными орнаментальными мотивами.

Что же касается происхождения ситулы, то ее принадлежность производственному очагу первого тысячелетия до н. э. горной части Центрального Кавказа, полностью доказано рядом исследователей (Е. И. Крупнов, А. А. Иессен, Б. Б. Пиотровский, Б. А. Куфтин, Г. Ф. Гобеджишвили, Л. С. Сахарова и др.).

Особый интерес представляют Штандарты, навершья из Казбегского клада, с зооморфными головками, на рогах которых расположены человеческие фигуры. Статуэтки изображают бородатых мужчин в голом виде. Характерная для статуэток итифальность и ритуальная обнаженность, указывают на божественное начало некоторых изображенных особ и на участие других в религиозных церемониях.

Фигурки мужчин, стоящие на трехъярусных рогах туров, являются более архаичными и очевидно представляют собой божества, связанные с металлургией (Ш. А. Амиранашвили, Г. Ф. Гобеджишвили).

Группа фигурок композиционно расположенные на фантастически закрученных рогах барана не итифальны. Среди них находятся две статуэтки, изображающие связанных пленников, третья, олицетворяющая палача, готового обезглавить человека и четвертая, представляющая человека с музыкальным инструментом в руках. В совокупности эти фигурки, возможно, передают сцену приношения в жертву человека. К такому заключению приводят сопоставления этой сцены с сообщением Страбона, согласно которому в Албании существовало посвященное лунному божеству святилище, куда для жертвоприношения приводили рабов этого храма, связанных священной цепью. В недалеком прошлом в горной части Центрального Кавказа шествие с жертвоприношением, правда не людей, а животных, сопровождалось пением и своеобразной музыкой (С. И. Макалатия, Д. Т. Алавидзе, Н. Б. Рехвиашвили).

Всадники, расположенные на навершьии с головами баранов итифальны, они может быть представляют божество в роде популярного в Грузии святого Георгия Победоносца, занявшего место предшествующегося языческого божества Луны (И. Джавахишвили).

Отдельные казбегские статуэтки напоминают древнехеттские, древнеперсидские и раннегреческие изображения. Но

в основном, они находят близкие аналоги на территории Кавказа и в частности Грузии (Мелаани, Зекари, Бомбори). По чертам лица мужские фигурки казбегских статуэток родственны рачинским и самтаврским статуэткам эпохи железного века.

Таким образом, выясняется, что Казбегские итифаллические изображения связаны с культом плодородия и обрядом чевствования соответствующих божеств, пережитки которых сохранились и в христианской религии.

Среди казбегских находок множество зооморфных бронзовых изображений. Они представлены отдельными фигурками или же являются украшением какого-либо предмета: набалдашников, блях и др. техника передачи их форм разнообразна. Они представлены в виде массивных круглых скульптур или рельефных и плоских изображений. Во всех случаях в них передана местная фауна, при чем чаще всего встречаются баран и олень, т. е. животные, к которым придавалось культовое значение.

Баран в Хеви являлся святым существом. По этнографическим данным божество плодородия Квириа, которому посвящались мистерии и празднества, изображался в виде барана. Подобное скульптурное изображение (квириас Кочи) долго сохранилось вблиз Казбегской церкви, а скульптура с тем же изображением в настоящее время можно видеть в селении Цдо.

Существование такого божества у племен, занимающихся скотоводством, в частности, овцеводством, вполне закономерно.

Вообще же, по мнению этнографов, бронзовые фигурки животных имели различное содержание. Они олицетворяли божества, от которых зависело плодородие и изобилие; имели апотропейческое значение; были связаны с культом мертвых или являлись просто украшением; наконец, их приносили в жертву с целью умножения скота (В. В. Бардавелидзе).

Остальные предметы Казбегского клада носили бытовой характер. К ним относились: бронзовые фибулы, булавки, пояса и поясные бляхи, браслеты, пинцеты и оружие.

Инвентарь Казбегского клада включает в большом количестве предметы конского убранства, удила, ажурные бубенчики, репьи, колокольчик, бляшки, кликообразные пластины с изображением животных и фалических человечиков.

Бронзовые удила принадлежат к Кавказскому типу удил. Что касается других принадлежностей конского убранства,

они весьма оригинальны, но все же находят аналоги среди археологических памятников Абхазии (Абгархук, Ешери), Рачи (Брили), Картли (Ахалгори), древнего Алтая и в ране скифских памятниках Кубани.

Очевидно тут представлены не каждодневные убранства коней, а праздничное украшение лошади, участницы какого-то торжественного ритуала или шествия. По поводу происхождения Казбегского комплекса имеются, в основном две точки зрения: одни считают их группой предметов (кладом), а другие погребальным инвентарем.

Во многих местах горной части Центрального Кавказа сохранились святилища (молельни), которые местные жители называют Хати. Они представляют собой выложенную сухой кладкой нишу, где помещалась икона, украшенная рогами животных и колокольчиками. По верованиям горцев в этих святилищах обитали божества. У каждого рода было свое Хати. Но существовали Хати общие для всего Хеви (например, Самеба, Спарсангелози).

Христианское духовенство старалось вытеснить старые божества и вообще языческие верования. С этой целью церкви строились рядом с Хати. Прямым смешением христианских и языческих богов в горной части Грузии являлось наряду с Троицей (Самеба) существование Хати. Хати имело свое движимое и недвижимое имущество: землю, лес, скот и др. Тут же находились разные архитектурные строения, связанные с Хати: для хранения продуктов, для обслуживающего персонала, для поломников. Особенно много приношений получал Хати в дни праздников. Среди даров были и предметы личного пользования.

Во время праздника св. Ломиса люди, давшие обет Хати, выполняли разнообразные ритуалы (С. И. Макалатия). Одни с цепью на шее ходили вокруг здания, другие носили железную обувь или железный обруч на шее. После окончания обрядов, эти предметы оставлялись в Хати. Там же хранились фляжки, принесенные поломниками, колокольчики от жертвенной скотины и рога животных. Таким образом, постепенно создавался клад Хати, за которым следили его служители: хевисбери и деканози. Когда кладу угрожала опасность расхищения, его переносили и укрывали в надежном месте.

Нельзя исключить принадлежность этих предметов к богатому погребению какого-либо властителя или Хевисбери (старейшины, который являлся верховным жрецом и командующим войск). Тем более, что автор раскопок Г. Д. Фи-

лимонов придерживался именно этого мнения. Он считал, что открыл грунтовое погребение разрушенное во время строительных работ.

В Казбегском кладе мы встречаем предметы характерные для богатых погребений Иберийского общества и Колхиды (срав. Ахалгори, Алгеты, Канчаети, Брили, Итхвиси, Вани). К тому же, на той же территории позднее были обнаружены каменные ящики, и ряд предметов характерные для погребений VI, V, IV в. до н. э., которые могли относится к разрушенному могильнику.

Не исключается факт кремации, или вторичного захоронения с кремацией, распространенного в Колхиде в средних веках I тысячелетия до н. э. (Палури, Нигвзиани, Мухурча, Брили).

Так или иначе, Казбегский клад дает многосторонний материал, характеризующий быт, духовную культуру и обычаи населения Центрального Кавказа и интересующую нас эпоху.

При датировке, в основном, использован метод сравнительного анализа, широко привлечен хорошо датированный параллельный материал.

Одним из точно датирующим элементом является боевое оружие. Оно в Казбегском кладе представлено фрагментарно. К нему относятся бронзовые рукоятки, по всей вероятности, принадлежащие железным кинжалом; плохо сохранившиеся железные наконечники копий и кинжал, обломки железных кривых ножей. Они свидетельствуют о том, что в рассматриваемый период железное оружие заняло господствующее положение, окончательно вытеснив бронзовое.

Судя по материалам Самтаврского могильника, на территории Грузии этот процесс происходил в VII—V вв. до н. э., то есть на третьей ступени широкого освоения железа (Р. М. Абрамишвили). Наконечники копий Казбегского типа появляются на первой ступени широкого освоения железа и сохраняются до третьего периода.

Некоторые предметы Казбегского клада имеют более архаичный вид. Так, напр., аналогичные изображения оленей со стилизованным туловищем встречаются в комплексах Самтавского могильника X—IX вв. до н. э. и в Пасанаурском кладе (IX—VIII вв. до н. э.). Фаллаческие фигуры на трехярусных рогах тура и Фибулы также не известны среди памятников Кавказа начала первого тысячелетия до н. э. Не исключена возможность вторичного использования в кладе изделий более раннего периода. Остальной материал

довольно точно датируется путем сопоставления его с находками относящимися к VI—V вв. до н. э. Так, например, бронзовые фляги Казбегского типа, обнаружены в погребениях V вв. до н. э. в Брили и Итхвиси, ажурные бляхи-бубенчики — в Брили V в. до н. э., браслеты — рутхинских комплексах VII—IV вв. до н. э., золотая серьга — в находках Пичвнари и Вани (Западная Грузия V в. до н. э., серебряная чаша — в каменном ящике VI в. до н. э. на Ялисоском могильнике (о. Родос) и т. д. Хотя Лушей причисляет их к фиалам V в. до н. э. Эти и им подобные данные не оставляют сомнения о том, что казбегский клад содержит предметы в основном VI—V вв. до н. э.

Все это приводит к заключению, что население Хеви в интересующих нас эпохах жило единой жизнью с племенами всего Кавказа, однако оно имело и некоторое своеобразие, проявленное, особенно, в художественном оформлении, скульптурных изображений культовых предметов. Хеви поддерживало культурные и экономические связи как с соседними племенами горного Кавказа и населением его равнин, так и более отдаленными очагами цивилизации, воспринимая от них многое из достижений в области культуры. Этому, конечно, во многом способствовало расположение Хеви на древнем пути, соединяющем Южный Кавказ и через него Передний Восток, с Северным Кавказом и степями Восточной Европы. Однако, тяжелые условия жизни в высокогорном районе, малопригодном для развития интенсивного земледелия, все же давало знать и отпечатывалось на памятниках материальной культуры.

ტაბულები

ტაბულების აღწერილობა

I — თასი (ვერცხლის)
II_1 — მათარა (ბრინჯაოსი), II^2 — იგივეს დეტალი
III_1 — მათარის ფრაგმენტები; III_2 — სიტულის ფრაგმენტები
IV — სიტულის სახურავი
V — ზარაკები
VI — ზარაკები
VII, VIII — ანთროპომორფული ქანდაკებები
IX—XIII — შტანდარტის ნაწილები
XIV — იარმის ქანდაკებები
$XV_{1,2}$ — არჩვის ქანდაკებები (ბრინჯაოსი) XV_3 — ვერძის ქანდაკება (ვერცხლის)
XVI, XVII — ეშვის ფორმის ნივთები
XVIII—XX — ყღარუნა ბალთები
XXI — ცხენის აკაზმულობის ნაწილები
$XXII_{1,2}$ — სატევრის ტარები (ბრინჯაოსი); XXII_3 — ისრისპირები (რკინის)
XXIII — შუბისპირები რკინის
XXIV — სამაჯურები (ბრინჯაოსი)
XXV—XXVII — მშვილდსაკინძები
XXVIIII — ჩქიფები
XXIX — ზოომორფული საკიდები
XXX — სარტყლის აბზინდები
XXXI — სარტყლის ფრაგმენტები (ბრინჯაოსი)
XXXII — გარსაკრავები (ბრინჯაოსი)
$XXXIII_{1,2}$ — ბალთები; XXXIII_3 — ჯაჭვები
$XXXIV_{1,2}$ — საკიდები; XXXIV_3 — მძივები; XXXIV_4 — საყურე.
XXXV — რგოლები (ბრინჯაოსი)
XXXVI — კვერთხისთავი და გარსაკრავები (ბრინჯაოსი)



1



2

II



1



2



1



2

IV



1



2



1



2



3





4

VI



1



2



3



4



1



2



3

VIII



1



2



4





1



2



1



2



4



3



5

XII



1



2



3



1



2



3

XIV



1



2



1



2



3

XVI



1



2



3



1



2



3

XVIII



1



2



3



4



1



2



3



4



1



2



3



4



1



2



4



3



XXII



1



2



3



1



2

XXIV



1



2



3



4


1
2
3
4
5


6


7


8


1
2
3



1



2



3

XXVIII



1



2



3



4



5



1



2



3



4



1



2



3



1



2



3

XXXII



1



2



1



2



3

XXXIV





1



2



3



4



1



2

XXXVI



1



2



3

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3

შესავალი 5

თ ა ვ ი I 17
ლითონის ჰურჭელი და საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთები 17

თ ა ვ ი II . . . . . .
ცხენის აკაზმულობა და იარაღ-საჭურველი 54

თ ა ვ ი III . . . . . .
პირადი მოხმარების საგნები 76

დ ა ს კ ვ ნ ა 96

რეზიუმე 108

ტაბულების აღწერილობა 116

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ო. ლორთქიფანიძე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
ტექრედაქტორი ც. ჭამუშაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი გ. გრძელიშვილი

გადაეცა წარმოებას 16.6.76; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.11.76;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 9.75;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.33;

უე 01577; ტირაჟი 900; შეკვეთა № 2087;

ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

Леила Георгиевна Цитланадзе

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ХЕВИ

(Казбекский клад)